

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ე. მამისთვალიშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი ნ. ხაზარაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი თ. იველაშვილი

უააკ(UDC) 94(100)
ჩ 812

შ მ ს ა ვ ა ლ ი

ქართულ-ებრაული ურთიერთობების ისტორია საუკუნეებს ითვლის, რომლის შესწავლა თანდათანობით ერთიანი, სისტემური, უწყვეტი პროცესის სახეს იძენს. ამ ორი უძველესი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების სრულად ასახვა ერთ ნაშრომში ერთობ რთული და შეუძლებელი საქმეა. ჩვენ შევეცადეთ, მხოლოდ ზოგიერთი ასპექტით და გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩოებით შემოვფარგლულიყავით.

ებრაელი ხალხის ისტორია ძველი მსოფლიოს ხალხთა ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაწილია „არც ერთ ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხდენია. ამ ოდესმე დიდებულს და სახელგანთქმულ ერს ბედმა ხელიდან გამოსხლიტა სამშობლო და თვითმყოფელობა და განაბნია იგი მთელს დედამიწის ზურგზე“ [108, 12]. ისტორიაში ღვთის რჩეული ერის სახელწოდებით დამკვიდრებული ხალხის ცხოვრების გზა მართლაც გამორჩეულია. ისტორიული მეხსიერების მქონე ხალხის ცხოვრება, მათივე მეტაფორული თქმით, „ბიბლიური ლოტის ცოლს ჰგავს, უკან მიხედვისას მარილის სვეტად რომ იქცა“ [2, 7].

ებრაული ტომები პალესტინაში პირველად გამოჩნდნენ ძვ. წ. XIV ს., ებრაელმა ხალხმა საუკუნეების ქართველიები გამოიარა. მისი მატთან სავესეა მოწინააღმდეგებთან გამარჯვებებითა თუ დამარცხებებით. დიდი ცივილიზაციის მქონე ხალხები, რომლებიც გაცილებით ადრე წარმოიშვნენ, აღარ ჩანან ისტორიის სარბიელზე: ბაბილონელები, ფინიკიელები, ხეთები, ასურელები... აღიგავნენ პირისაგან მიწისა, ხოლო ებრაელობა დარჩა, როგორც თვითმყოფადი ერი თავისი კულტურით, რელიგიით, ისტორიით...

ებრაული სამეფოს დიდება ძვ. წ. X საუკუნიდან იწყება, როდესაც ისრაელის მეფედ აირჩიეს დავითი. მან ქვეყანა აღმოსავლეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოდ გადააქცია. დავითის მემკვიდრის — სოლომონის დროს (990-950) საისტორიო ტრადიცია ისრაელის სამეფოს აყვავებას უკავშირებს. სოლომონის დროსვე აშენდა იერუსალიმის ტაძარი — ყველა დროის ებრაელთა მთავარი სიწმინდე. ძლიერი მეფის გარდაცვალების შემდეგ ისრაელის სამეფო ორად გაიყო: ისრაელისა

და იუდეას სამეფოებად, რომლებმაც ურთიერთშორის ბრძოლები გააჩაღეს. ამით დასუსტებული ქვეყანა მტრებისათვის ადვილი დასაპყრობი გახდა. ძვ. წ. 722 წ. ასურეთის მეფე სარგონ II-მ (722-705) ისრაელის სამეფო გაანადგურა, ხოლო იუდეაში ჯერ ეგვიპტელები გაბატონდნენ, შემდეგ კი ახალბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორ II-მ (604-562) იუდეა დაიპყრო და მოსახლეობა ბაბილონში გადაასახლა. ამ დროიდან დაიწყო ებრაული მოსახლეობის მთელ მსოფლიოში გაფანტვა, დიასპორა ანუ გალუთი. მკვლევართა მეტი ნაწილი თვლის, რომ ებრაულ-ქართულ მჭიდრო ისტორიულ ურთიერთობებს სწორედ ამ ხანიდან ეყრება საფუძველი. ძვ. წ. 537 წ. სპარსეთის მეფე კიროსმა (553-529) ბაბილონი აიღო და ებრაელები ტყვეობიდან გაანთავისუფლა. ამის შემდეგ იუდეას სამეფო სპარსეთზე იყო დამოკიდებული, ვიდრე ძვ. წ. IV ს-ში ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოს შემადგენლობაში არ შევიდა. ებრაულ სახელმწიფოებრიობას საბოლოოდ მოეღო ბოლო ახ. წ. I ს-ში, როცა რომის იმპერიამ ძლევამოსილად დაამთავრა „იუდაური ომი“ და მთელ მსოფლიოში კვლავ გაფანტა ებრაელები. ამის შემდეგ შეწყდა ებრაული სახელმწიფოებრიობის ისტორია და მათი მატთანე იმ სახელმწიფოს მატთანეს შემადგენელი ნაწილი გახდა, რომელშიც მას მოუწია ცხოვრებამ.

როგორც აღვნიშნეთ, ძვ. წ. VI ს-დან ებრაელთა ისტორიას ემატება დიასპორის ისტორია და ებრაელთა მატთანის სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია დიასპორის ისტორიის გარეშე. ერთ-ერთი უძველესი დიასპორა ებრაელებს საქართველოში დაუარსებიათ. ქართული ისტორიული ტრადიცია ებრაელთა საქართველოში დასახლებას ძვ. წ. VI ს-ით ათარიღებს. იმ დროიდან ქართლში დასახლებული ებრაელები ერთვებიან საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, არ წყვეტენ კავშირს ისტორიულ სამშობლოსთან „ისინი ქართლის ქალაქებში საკუთარ უბნებს და სალოცავებს ქმნიდნენ“ [118, 261]. ქართლში ებრაელთა დასახლების პირველი კერებიდან ისინი თანდათანობით სხვაგანაც სახლდებოდნენ [95, 6-7]. ებრაელთა ფართო განსახლება საქართველოში იმიტომ მოხდა, რომ მათ დახვდათ ქართველების კეთილგანწყობა და შეექმნათ ნორმალური პირობები არსებობისათვის. მათი საქართველოში დამკვიდრება შემთხვევითობა არ ყოფილა, რადგან „...ეს იყო ხალხი, რომელმაც საკუთარი ხელისგულივით იცოდა იმდროინდელი ოიკუმენა და რომლის ცნობისმოყვარე თვალმა სამიოთხეშიც კი შეიჭვრიტა“ [120, 1]. ქრისტი-

ანობის შემოსვლის შემდგომ ებრაელთა განსახლება უფრო მასობრივი გახდა, რასაც ხელს უწყობდა ბაგინების გაქრისტიანებაც.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მოკრძალებულ ცდას, წარმოვაჩინოთ ებრაელთა ისტორიის ზოგიერთი ასპექტი, კონკრეტულად ებრაულ-ქართული ურთიერთობანი. თემა შედგება შესავალის, წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვის, ექვსი თავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

პირველ თავში მიმოვიხილეთ ებრაელთა ისტორია იმ დროიდან, როდესაც ისინი პალესტინაში გამოჩნდნენ, ე.ი. ძვ. წ. XIV ს-დან. ვცადეთ გაგვერკვია ზოგიერთ წყაროში დაცული ცნობის – ჰიქსოსებისა და ებრაელების იდენტურობის მცდარობა, ებრაელთა დამკვიდრება პალესტინაში, მათი საზოგადოებრივ-სოციალური მდგომარეობა, ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მისი დაშლა და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლა, ებრაული სახელმწიფოების ტრაგედია ძვ. წ. VIII და ძვ. წ. VI ს-ში, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდიდან იწყება დიასპორა, ანუ უშუალო შეხება სხვა ხალხებთან და ქვეყნებთან, მათ შორის ქართველურ ტომებთანაც.

მეორე თავში ვცადეთ გაგვერკვია, როდის გაჩნდა პირველი ებრაული დასახლება საქართველოს მიწაზე და რამ განაპირობა ამ პატარა დასახლებიდან ძლიერი ეთნო-რელიგიური თემების ჩამოყალიბება, როგორი იყო ქართლის პოლიტიკური მოწყობა და როგორ შეეგუა მას დიასპორის ებრაელობა, როგორია მკვლევართა დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი.

მესამე თავში განვიხილეთ ებრაელის აღმნიშვნელი ტერმინები ქართულში და ქართველის აღმნიშვნელი ტერმინები ებრაულში, ვინაიდან ვთვლით, რომ ამ ორი უძველესი ხალხის ურთიერთობა ათასწლეულებს ითვლის. აქედან გამომდინარე, ერთმანეთის აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები გაცილებით შორეულია, ვიდრე პირველი ებრაული დასახლებანი ქართლში.

მეოთხე თავში ვიხილავთ იმ უნიკალურ მოვლენას, რასაც ტერმინი „ქართველი ებრაელი“ გულისხმობს. სხვა ხალხებისათვის სწორედ რომ გამოცანად რჩებოდა ორი ხალხის საუკუნოვანი, მშვიდობიანი თანაცხოვრება. გაჩნდა აზრი მათი ეთნიკური ნათესაობის და საერთო ფესვიდან წარმომავლობის შესახებ (ეს ეხება არა მხოლოდ ბიბლიურ სიუჟეტს). შუასაუკუნეების ევროპაში კი ჩამოყალიბდა შეხედულება იმის შესახებ, რომ დაკარგული ათი ებრაული ტომი, რომელიც ასურეთის

სამეფოს რისხვამ შეიწირა ძვ. წ. VIII ს-ში, სწორედ საქართველოში შემოიხიზნა. საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ანთროპოლოგიურად განსხვავებული ტიპი, რომელმაც შეითვისა როგორც ქართული, ისე შეინარჩუნა ებრაული ანთროპოლოგიური ტიპაჟისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ჩვენ შევეცადეთ, გაგვეჩვენოთ ამ პროცესის მიზეზები.

მეხუთე თავში განვიხილეთ ებრაელთა სოციალური მდგომარეობა ქართლში, ვინაიდან ვთვლით, რომ ებრაელები საუკუნეების მანძილზე ქართლის მოსახლეობის განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ.

მექექსე თავში აღვნიშნეთ ებრაელების უდიდესი როლი ქართლის გაქრისტიანებაში ქართული წყაროების მიხედვით.

ებრაულ-ქართული ისტორიული ურთიერთობების კვლევა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ ერთეულ შვედურ-ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ნაშრომის აქტუალობას, ჩვენი აზრით, განაპირობებს ის, რომ პალესტინის და საქართველოს კავშირ-ურთიერთობა, რომლის სათავეც საუკუნეთა სიღრმეში იკარგება, აქ მაცხოვრებელი ხალხების შემეცნებითი და სულიერი სამყაროს სიმდიდრე მსოფლიოს ისტორიის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

ებრაელთა ისტორიის შესახებ წყაროებისა და ლიტერატურის სიუხვე განაპირობა იმან, რომ ებრაელთა რელიგიის – იუდაიზმის წიაღში აღმოცენდა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რელიგია – ქრისტიანობა. ქრისტიანული ტრადიცია აღმოცენების დღიდანვე დიდი ინტერესით მოეკიდა ძველი აღთქმის წიგნებს და მისი მთავარი მორალურ-ეთიკური ნორმები თავისი იდეოლოგიის პრიორიტეტად გამოაცხადა.

მიუხედავად პალესტინა-საქართველოს ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა, ამ ორი გეოგრაფიული რეგიონის, მისი მოსახლეობის ურთიერთკავშირის ამსახველი დოკუმენტური წყაროები სიმრავლით არ გამოირჩევა. ჩვენ შევეცდებით, შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ ის მასალა, რომელიც უშუალოდ ეხება ებრაელებისა და ქართველური ტომების ურთიერთობას. უძველესი დროიდან ახ. წ. IV საუკუნემდე, ე.ი. საქართველოში ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებამდე.

ა) ნარატიული წყაროები.

ბიბლია ებრაელთა ისტორიის უმნიშვნელოვანეს წერილობით წყაროს წარმოადგენს. იგი ებრაული რელიგიურ-ლიტერატურულ-ისტორიული ძეგლების კრებულია, რომელიც ორი დიდი რელიგიის – იუდაიზმისა (მხოლოდ ძველი აღთქმა) და ქრისტიანობის (ძველი და ახალი აღთქმა) წმინდა წიგნს წარმოადგენს.

ებრაულ რელიგიაში ბიბლია (ძვ. აღთქმა) სამ ნაწილად იყოფა: პირველი – კანონი (ებრაულად თორა). მის შედგენას ტრადიცია მოსეს მიაწერს და ხუთი წიგნისაგან შედგება (დაბადება, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე სჯული); მეორე ნაწილი – წინასწარმეტყველნი (ისუ ნავესი, მსაჯულთა, მეფეთა პირველი და მეორე წიგნები, ესაია, იერემია, ეზეკიელი და თორმეტი მცირე წინასწარმეტყველი); მესამე ნაწილი – წერილები (ფსალმუნნი), სოლომონის იგავები, იობის წიგნი, ქებათა ქება, იერემიას გოდება, ეკლესიასტე და წიგნები ესთერისა, დანიელისა, ეზრასი, ნემიასი და ნეშტთა (პირველი და მეორე).

ბიბლიის უძველეს ნაწილად მიჩნეულია „წინასწარმეტყველ ქალ დებორას სიმღერა“, რომელშიც აღწერილია პალესტინაში შეჭრილი ებრაელების ერთ-ერთი შეტაკება ქანაანელებთან ძვ. წ. XII ს-ში. ძეგლის შედგენის თარიღად მიჩნეულია ძვ. წ. XI ს. ყველაზე გვიანდელ ძეგლად კი ძვ. წ. II ს. III მეოთხედის „დანიელის წიგნი“ ითვლება.

ქრისტიანული რელიგია ბიბლიას ორ ნაწილად ჰყოფს: ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა. ძველ აღთქმად მიჩნეულია ბიბლიის ის ნაწილი, რომელიც დაწერილია ქრისტეს დაბადებამდე, ხოლო ქრისტეს დაბადების შემდგომ – ახალ აღთქმად.

ბიბლია ბერძნულად ნიშნავს წიგნებს. ეს სახელწოდება ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში გვხვდება (დანიელი IX, 2), ახალ აღთქმაში კი კლიმენტი რომაელთან (მეორე კორინთელთა მიმართ, 14). მიუხედავად ამისა, ბიბლია, როგორც ძველი და ახალი აღთქმის აღმნიშვნელი ტერმინი ბერძნულ ეკლესიაში მკვიდრდება ჯერ ორიგენეს (III ს.), ხოლო შემდეგ იოანე ოქროპირის (IV ს.) მიერ. ძველ აღთქმას ჯერ კიდევ პავლე მოციქული უწოდებს (მეორე კორინთელთა მიმართ 3, 14), მაგრამ საერთო ხმარებაში შემოვიდა III ს-ში, როდესაც იგი ტერტულიანემაც გამოიყენა.⁶

ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ ბიბლიაზე მოთხოვნილება განსაკუთრებით გაიზარდა.

ბიბლიის ქართული თარგმანები საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისთანავე უნდა შესრულებულიყო. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში არსებული ებრაული დიასპორის მეშვეობით ქართველებსათვის მისი ცალკეული წიგნები ადრევე უნდა ყოფილიყო ცნობილი [94, 4-5]. ბიბლიის ფრაგმენტები გვხვდება V-VII სს. ხანმეტ ტექსტებში. ქართული ბიბლიის უძველესი ხელნაწერია ე.წ. ოშკის ბიბლია, რომელიც

⁶ გარდა კანონიკური წიგნებისა, ბიბლია შეიცავს არაკანონიკურ წიგნებსაც, რომლებსაც აპოკრიფები ეწოდება. ბიბლიის კანონიზაცია დაიწყო „ბაბილონის ტყვეობის“ შემდეგ ძვ. წ. V ს-ში და დამთავრდა ახ. წ. II ს-ში [141, 202-212].

ბიბლიის ებრაულმა ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია საკმაოდ გვიანდელი 916 წლის ხელნაწერით (ე.წ. მასორეტული ბიბლია). უნდა აღინიშნოს, რომ 1947-65 წწ. მკვლარი ზღვის რაიონში ე.წ. კუმრანის აღმოჩენამ გამოამხეურა მასორეტულზე ადრინდელი ბიბლიის ნაწილები [91, 355]. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის ძველ ბერძნულ თარგმანს ე.წ. „სექსუაგინტას“ ანუ „სამოცდაათისეულს“, რომელიც ძვ. წ. 283-282 წწ. უთარგმნია 72 სწავლულს ეკვიპტის მეფის პტოლემეაიოს II ფილადელფოსის ბრძანებით.

978 წ-ით თარიღდება. ყველაზე სრულყოფილ გამოცემად ითვლება საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა [10].

ებრაელებისა და ძველი მსოფლიოს ისტორიის შესახებ მრავალ ბრწყინვალე ცნობას გვაძლევს I ს-ის ისტორიკოსი იოსებ ბენ მატაფია (ფლავიუსი). იგი ღვთისმეტყველთა წრიდან იყო გამოსული და ახალგაზრდობაში ასკეტიზმითაც იყო გატაცებული, ხოლო, როცა იუდაური ომი დაიწყო, სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. იოტაპატის ციხის აღების შემდეგ იოსები რომაელთა მხარეზე გადავიდა და მფარველი იმპერატორების – ფლავიუსების გვარი მიიღო. მის კალამს ეკუთვნის „იუდაური სიძველენი“, „იუდაური ომები“ და „აპიონის წინააღმდეგ“. ქართველებთან დაკავშირებით იოსებ ფლავიუსი განიხილავს ჰეროდოტეს ცნობას კოლხების ეგვიპტელთაგან წარმომავლობისა და წინადაცვეთის შესახებ (ქართულ ენაზე დაიბეჭდა „მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუებისანი“ I და II [51; 57].

მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ ზოგიერთი ტენდენციური შეხედულების მიუხედავად შესანიშნავი პირველწყაროა არა მარტო სომხეთის, არამედ შორეული თუ მეზობელი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების შესასწავლად. მოვსეს ხორენაცი V ს. მოღვაწეა. იგი ვრცლად ეხება ბაგრატიონთა წარმომავლობის ლეგენდას, მათ დამკვიდრებას კავკასიაში, რითაც ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარა, როგორც სომხური, ისე ქართული სამეფო სახლების წარმომადგენელთა გენეტიკურ კავშირს ებრაულ სამყაროსთან. სწორედ ხორენაცი გვაძლევს ცნობას ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ იბერიელთა მოდგმის შესახებ⁵, რომელთა მეთაურად გუგარელთა პიტი-ახშები, დარეჰის ნახარარის მიჰრდატის შთამომავალნი დაუწესა ალექსანდრე მაკედონელმა.

ებრაულ-ქართული ურთიერთობის ამსახველი პირველი ვრცელი ინფორმაცია დაცულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში, რომელიც ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ისტორიული თხზულებაა. ცნობილია მისი შატბერდული (X ს-ის 70-იანი წლები) და ჭელიშური (XIV-XV სს) ვარიანტები. იგი ერთი სათაურის ქვეშ გაერთიანებული ორი თხზულებისაგან შედგება – I ნაწილში მოკლედ არის გადმოცემული ქართლის ისტორია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან IX ს-მდე, II ნაწილი – ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად

⁵ იგი იმეორებს სებეოსის ცნობას.

გამოცხადებას გადმოგვეცემს. სწორედ ეს უკანასკნელი ჰქონდა მიზნად „მოქცევა“-ს ავტორს, ხოლო I ნაწილი მას ნაწარმოების ფონად ესაჭიროებოდა. მიუხედავად ამისა, მემატინისათვის ებრაელთა ქართლში მოსვლა იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ აუცილებლად ჩათვალა ამ ისტორიული მოვლენის ნაწარმოების შესავალშივე მოხსენიება. „მოქცევა ქართლისა“-ში ვრცლად არის მოთხრობილი პალესტინა-საქართველოს ურთიერთობების შესახებ, როგორი მჭიდრო იყო ეს ურთიერთობები, რამდენად მრავალრიცხოვანი იყო ქართლში ებრაული, დასახლებები, რომელ სოციალურ საფეხურზე იმყოფებოდნენ, რამდენად დიდი როლი შეასრულეს ებრაელებმა ქართლის გაქრისტიანების საქმეში. „მოქცევა ქართლისა“-ს რული ტექსტი მოცემულია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების“ I წიგნში. მას ეყრდნობოდა ძველი საქართველოს ისტორიით დაინტერესებული თითქმის ყველა მკვლევარი.

„ქართლის ცხოვრება“ უმნიშვნელოვანესი ძეგლია საქართველოს ისტორიის, მისი სხვა ხალხებთან ურთიერთობის და, საერთოდ, მსოფლიო ისტორიაში ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ადგილის განსაზღვრისათვის. მისი მეცნიერული შესწავლა ჯერ კიდევ XVIII ს-ში ვახტანგ VI-ის დროს დაიწყო, როდესაც „სწავლულ კაცთა კომისია“-მ უდიდესი სამუშაო ჩაატარა ამ ძეგლის რედაქციისათვის. მისი უძველესი ნუსხა მიეკუთვნება XV ს. და „ანასეული ხელნაწერის“ სახელითაა ცნობილი. დღეისათვის, მიუხედავად უდიდესი ინტერესისა და ხანგრძლივი მუშაობისა, მკვლევართა შორის არ არის თანხმობა „ქართლის ცხოვრების“ კრებულითა თვდაპირველი შედგენის თაობაზე. ვ. დონდუა ამ ძეგლს VII-VIII ს-ით, გ. მელიქიშვილი VIII-LX ს-ის მიჯნით, პ. ინგოროყვა X ს-ით, შ. მესხია, ვ. გუჩუა XI-XII ს-ის მიჯნით, ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი XII ს-ით, კ. კეკელიძე XII ს-ის II ნახევრით, რ. კიკნაძე XII ს-ის I ნახევრით ათარიღებენ [67, 14-17].

XII ს შუა წლებისათვის „ქართლის ცხოვრება“ რომ არსებობდა, უდავო ფაქტია. ამის დასტურია ის, რომ „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანი, რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიით მთავრდება, XII ს. II ნახევარშია შესრულებული და მასში ვახტანგამდელი ყველა ნუსხის შემადგენლობა ერთნაირია [61, 21].

„ქართლის ცხოვრების“ მთელი რიგი პასაჟები გვამცნობენ არა მარტო მსოფლიო ისტორიის მთელ რიგ მოვლენებს (მათ შორის ებრაელთა შესახებაც), არამედ საქართველოს ადგილს ამ მოვლენებში. „ქართლის

ცხოვრებაში“ ებრაული თემა უაღრესად თვალში საცემია და აქტუალური, როგორც ქრისტიანობამდელი, ისე ქართლის მოქცევის შემდგომი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიისათვის. უფრო მეტიც, მთლიანობაში „ქართლის ცხოვრება“ ბიბლიურ სქემას ეფუძნება და ქართლოსიანნი ბიბლიური ნოეს უფროსი შვილის იაფეტის უშუალო ჩამომავლებად არიან მიჩნეულნი. „ქართლის ცხოვრების“ ავტორი ებრაელებს იმ მომენტიდან იხსენიებს, როგორც კი ისინი ისტორიის ასპარეზზე გამოჩნდნენ – ე.ი. მათი ეგვიპტიდან გამოსვლისთანავე. ავტორს თავის ნაწარმოებში თითქმის მთლიანად აქვს შეტანილი უძველესი ქართული მატთანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

ებრაულ-ქართული ურთიერთობების კვლევის ისტორია ათწლეულებს ითვლის. პირველი წიგნი, რომელიც ამ ურთიერთობების შესახებ დაისტამბა, ეკუთვნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ზ. ჭიჭინაძეს [95]. მას განხილული აქვს ებრაელების საქართველოში მოსვლის, დამკვიდრების და მათი ამიერკავკასიაში განსახლების ისტორია. ავტორი თვლის, რომ ებრაელები რამდენჯერმე შემოვიდნენ ქართლში, გამრავლდნენ, რადგან აქ დახვდათ ქართველების კეთილგანწყობა და საქართველოდანვე გაიფანტნენ მთელ კავკასიაში.

კ. წერეთელი ებრაულ ენის, ისტორიის და მისი ქართულთან ურთიერთკავშირის ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარია. იგი განიხილავს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ებრაულ წარწერებს, მათ მიმართებას ქართულ ისტორიულ სინამდვილესთან, განხილული აქვს ებრაელის აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში, ებრაელთა საქართველოში დასახლების ეტაპები, მათი სალოცავები, რა ენაზე მეტყველებდნენ ებრაელები საქართველოში დასახლებისას, „ებრაიზმების“ ქართულში დამკვიდრების ისტორია და სხვა. არ დარჩენილა ებრაულ-ქართული ურთიერთობის თითქმის არც ერთი სფერო, კ. წერეთელს საყურადღებო მოსაზრება რომ არ გამოეთქვას, მათ შორის, ებრაულ სამყაროში ასე ცნობილი ქართველის ეთნიკური ტერმინის შესვლის თაობაზე.

ქართულ-ებრაული ურთიერთობების ერთ-ერთ აღიარებულ მკვლევარად ე. მამისთვალისშვილი ითვლება. მას ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევა ქართველ ებრაელთა ისტორიის შესახებ [93]. მონოგრაფია მოიცავს ქართველ ებრაელთა ისტორიას უძველესი დროიდან XIX ს. ბოლომდე, ნაშრომში განხილულია ებრაელთა ეთნიკური ტერმინები, ანთროპოლო-

გიური მონაცემები, ქართველ ებრაელთა გვარ-სახელები, მათი როლი ქართლში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში, ებრაელთა სამართლებრივი მდგომარეობა და სხვა. ქართული და ბიბლიური სამყაროს ურთიერთკავშირებს, ბიბლიური პერსონაჟებისა და სიუჟეტების გამოყენებას ქართულ მწერლობაში მიეძღვნა ე. მამისთვალიშვილის მორიგი მონოგრაფია [94], ხოლო „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიაში“ მოხმობილია ცნობები ქართველების მიერ წმინდა მიწის ათვისების შესახებ [29].

ებრაულ-ქართული ისტორიული ურთიერთობის თვალსაჩინო მკვლევარია ისრაელელი მეცნიერი, ყოფილი ჩვენი თანამემამულე იცხაკ დავიდი (დავითაშვილი). მან ისრაელშიც გააგრძელა მეცნიერული მუშაობა. მის კალამს ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომი «История евреев на Кавказ» I და II ტომი და „ქართული პალესტინიანა“-ს ორტომეული [155; 54; 55], სადაც ავტორს განხილული აქვს ებრაულ-ქართული ურთიერთობის თითქმის ყველა ასპექტი. ი. დავიდი წყაროებზე დაყრდნობით მოგვითხრობს ორი უძველესი ერის კავშირ-ურთიერთობებზე, ავლებს ორი ხალხის ისტორიული ცხოვრების საინტერესო პარალელებს და გვთავაზობს მეტად გაბედულ თეორიას ებრაელი და ქართველი ხალხის საერთო ეთნიკური წარმომავლობის შესახებ.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქრისტიანული რელიგიის კვლევამ. აქედან გამომდინარე, იმატა ებრაულ-ქართული ურთიერთობების ინტერესმა. ამ ურთიერთობებს თავიანთ ნაშრომებში ეხება ი. პაპიაშვილი, ლ. პატარიძე, გ. ბოლქვაძე, ქურდიანი მ., ...

ბ) არქეოლოგიური მასალა

ანტიკური საქართველოს ქალაქებისა და სოფლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ებრაელთა დასახლებები და უბნები: საუკუნეთა მანძილზე ეს დასახლებები საქართველოს ისტორიის ჭირ-ვარამს ინაწილებდა, მათი მოსახლეობა ქართველობასთან ერთად ქმნიდა საქართველოს ისტორიას. ქართველი ებრაელები მისდევდნენ ხელოსნობას, ვაჭრობას, მიწათმოქმედებას და ქმნიდნენ მატერიალურ დოვლათს. დროთა განმავლობაში ებრაელთა სამოსახლოები ტიპიურ ქართულ დასახლებებად იქცა — ებრაელებმა შეითვისეს ქართული დასახლებების ტიპები, არქიტექტურული ფორმები, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ჩაცმულობა... ერთადერთი, რითაც ისინი მკვიდრი მოსახლეობისაგან განსხვავდებოდნენ, რელიგია იყო და არქეოლოგებს მხოლოდ

მასთან დაკავშირებული სფეციფიკური ნიშნებით შეუძლიათ ებრაული სამარხის განსხვავება ადგილობრივი მცხოვრების სამარხისაგან.

საქართველო-პალესტინას შორის მჭიდრო ეკონომიკურ-კულტურული კავშირები მხოლოდ მას შემდეგ კი არ ჩანს, რაც საქართველოში ებრაელთა დასახლებები წარმოიშვა, არამედ იმ დროიდან, სანამ პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული ტომები გამოჩნდნენ, ხოლო საქართველოში უძველესი კულტურები ყალიბდება, რომელთა შემქმნელი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ მკვლევარებს მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა ძალუბთ. ეს ურთიერთობანი არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ ხმელთაშუა-ზღვისპირეთი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ჩასახვის ერთ-ერთი რეგიონია. არ არის გამორიცხული, რომ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ფორმირება დაკავშირებული იყო ამ მხარის მოსახლეობის გარკვეული მასის უფრო ჩრდილოეთით გადმონაცვლებასთან [104, 52]. პალესტინისა და ამიერკავკასიის გეოგრაფიულ რეგიონში მყოფი მოსახლეობისათვის ურთიერთკავშირი არ წარმოადგენდა გადაულახავ დაბრკოლებას. ამაზე უნდა მეტყველებდეს ამ რეგიონის ბრინჯაოს კულტურების მრავალი საერთო ნიშანი [130, 173; შეად. 107, 133, 176; 185, 89; 65, 134-135].

ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახ. პალესტინაში ებრაული ტომები ჩნდებიან. ისინი თავგამოდებით ებრძვიან ადგილობრივ მოსახლეობას ალთქმულ მიწაზე დამკვიდრებისათვის, რასაც კიდევ მიაღწიეს მეფეების – საულის, დავითისა და სოლომონის მეფობის დროს. ამის შემდეგ ებრაული სახელმწიფო იშლება, იგი ჯერ ასურელების, შემდეგ კი ახალბაბილონის სამეფოს თარეშის ობიექტი ხდება. იწყება პალესტინიდან ებრაელთა განთესვა ანუ დიასპორა, რომელიც ახ. წ. I ს.-ში კულმინაციას აღწევს.

ებრაელები დიასპორაში პრაქტიკულად ორი არქიტექტურული თემით შემოიფარგლნენ: სალოცავით – სინაგოგა და სასაფლაოთი – ნეკროპოლისი. ორივე არქიტექტურული თემის ზოგადი მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მათზე გავლენას ახდენდა იმ რეგიონის ესთეტიკა, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, და იმ ეპოქის სტილისტიკაც, როდესაც ეს ნაწარმოებები იქმნებოდა, ანუ „ებრაული სალოცავებისა და სასაფლაოების არქიტექტურა დროისა და ადგილის კონტექსტური აღმოჩნდა“ [35]. თუმცა აქ შევნიშნოთ, რომ ებრაულმა თემებმა შეინარჩუნეს ძირითადი ბიბლიური პრინციპები,

როგორც არქიტექტურაში (სინაგოგებში), ისე დაკრძალვის რიტუალში, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო აღრექრისტიანულ არქიტექტურას და დაკრძალვის წესს. იმდენად, რამდენადაც ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველო ებრაული დიასპორის ერთ-ერთი უძველესი და აქტიური რაიონი იყო, ბუნებრივია, ეს პროცესი არ დარჩებოდა ქართველი მემკვიდრეების ყურადღების მიღმა.

საქართველოში ებრაელთა დასახლების შესახებ ცნობები დაცულია უძველეს ქართულ მატრიანებში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“. ამ ძეგლებში მოხსენიებულია ებრაელთა სამოსახლოები ურბნისში, მცხეთაში, კარსანში, ზანავში, ციხედიდში, ბოლბეში, კოდისწყაროში და სხვაგან. მათგან უმეტესი ნაწილი ანტიკური საქართველოს სხვადასხვა ქალაქების უბნებს წარმოადგენდნენ, ზოგჯერ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობით. ებრაელთა რელიგიურ-ეთნიკური თემი, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ რელიგიური აღმსარებლობით გამოირჩეოდა ქართლის ქალაქების მოსახლეობისაგან; სხვა მხრივ იგი არ იყო იზოლირებული, ჩაკეტილი თემი, არამედ მჭიდრო ეკონომიკურ კავშირში იმყოფებოდა ქვეყნის მოსახლეობასთან. რელიგიურ-ეთნიკურ თემს განსაზღვრული ჰქონდა თავისი საცხოვრებლის საზღვრები (უბანი ჰურიათა), სალოცავი ადგილი (ბაგინი) და სასაფლაო.

საქართველოში ოცდაექვსსაუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე ებრაელებმა არა მარტო შეინარჩუნეს ფიზიკური არსებობა, კულტურა და სულიერი ყოფა, რასაც მონოთეისტური რელიგიის მკაცრი პრინციპები განაპირობებდა, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქართველი ებრაელები დაკავებულნი იყვნენ ვაჭრობით, აღებ-მიცემობით, მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველი ებრაელებისა მისდევდა სოფლის მეურნეობას, ხელოსნობას, მევახშეობას... როგორც აღვნიშნეთ, ანტიკური ქართლის ქალაქებში არსებობდა „უბანნი ჰურიათა“, რომელთა მოსახლეობის შესახებ ცნობები არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოამხურა.

მცხეთა ძვ. წ. VI ს.-ისთვის ქართლის ქალაქების ჰეგემონი იყო და მამასახლისი განაგებდა (86, 11) დედაქალაქობის ხანის მცხეთა უკვე „დიდი მცხეთა“, რომელიც მოიცავს საკუთრივ მცხეთისა და კოდმანის, წიწაპურისა და ზემოავჭალის, მუხათგვერდისა და კარსანისხევის, არმაზისხევისა და ნავთსადენ-მარტაზისხევის, სარკინეთ-გრძელი მინდვრისა და ბაგინეთ-კარსანის დასახლებებს“ [71, 31-32]. მცხეთაში იყო

საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი ებრაელთა ეთნიკურ-რელიგიური თემი.

არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომლებიც 1940-იან წლებში არმაზციხის ადგილას წარმოებდა, გამოავლინა თავდაცვითი და საყოფაცხოვრებო ნაგებობათა გრანდიოზული კომპლექსები, რომელთაგან უძველესი ძვ. წ. IV-III ს.-ს განეკუთვნება. მცხეთის დედაქალაქად გადაქცევას ხელი შეუწყო მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც [75, 128-129]; მცხეთის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებდა აქ უცხოტომელთა არსებობასაც: სწორედ ეს უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ მცხეთაში დადასტურებულია ებრაელთა, სპარსთა... რელიგიურ-ეთნიკური თემების არსებობა, რომელთა ძირითად საქმიანობას ხელოსნობა და აღებ-მიცემობა შეადგენდა. ქართულ ნარატიულ წყაროებში განსაკუთრებით აქცენტირებულია მცხეთაში ებრაული ეთნო-რელიგიური თემის არსებობა, რომელსაც მეტი საბუთიანობა შესძინა არქეოლოგების მიერ გამოვლენილმა ებრაულმა სამარხებმაც. როგორც თ. ბიბილური ფიქრობს „ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, სამეფოში (იგულისხმება ქართლის სამეფო – ღკ.) გაბატონებულ მდგომარეობას იკავენს, იშეიათი გამონაკლისის გარდა, დაკრძალვის ქრისტიანული წესი. გამონაკლისთა რიგს განეკუთვნება ქალაქის კარიბჭის მიღმა მდებარე სამთავროს სამაროვანი. ვფიქრობ, ეს სამაროვანი განეკუთვნილი ყოფილა ქალაქისა და მისი შემოგარენის არაქრისტიანი მოსახლეობის, უპირველეს ყოვლისა ებრაელთა დასაკრძალავად. მათ შორის უნდა ყოფილიყვნენ, როგორც იუდაიზმის მიმდევრები, ასევე იუდაურ-ქრისტიანული თემის წევრები“. [9, 7]. ის, რომ მცხეთაში არსებობდა კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ებრაული თემი, მკვლევართა აზრი ერთგვაროვანია. სადავო არის ის, თუ როდის გაჩნდა ეს თემი მცხეთაში. ამის შესახებ რამოდენიმე ვარაუდია გამოთქმული, რომელთაც ჩვენ ვეხებით წინამდებარე ნაშრომის მეორე თავში.

მცხეთაში ებრაული თემის არსებობის ყველაზე ნათელი დადასტურება ებრაულწარწერიანი საფლავის ქვებია, თუმცა ისინი სიმრავლით არ გამოირჩევა.

1875 წ. აღმოჩნდა პირველი ებრაული წარწერა მცხეთაში. იგი თავდაპირველად ი. ჩორნიმ წაიკითხა, ხოლო შემდეგ 1884წ. დ. ხვოლსონმა ამ წარწერას საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა [175, 129-133]. მან ეს წარწერა ეპიტაფიად მიიჩნია: „ეს არის საფლავი ძვირფასი

(ღირსეული?) მამისა იე(3)უდასი, გურქად წოდებულისა. დაე განსა-
სვენებელი მისი იყოს კეთილმსახურთა თანა, მისი აღდგომა კი მართალთა
თანა“ (თარგმანი რუსულიდან ჩენია) [175, 132]. ამ წარწერას ხეოლსონი
ათარილებს IV-V ს.ს.-ით ამ დათარილებას იზიარებს კ. წერეთელი,
რომელიც მიუთითებს, რომ ენა, რომელზეც შესრულებულია ეს ეპიტაფია
ე.წ. იუდაურ-არამეულია და რომ დამწერლობის ეს სახე მცხეთაში
არსებობდა IV-V ს.ს.-ში [114, 46].

მცხეთაში აღმოჩენილი ებრაული ეპიგრაფიული ძეგლის ნიმუშია
საბეჭდავი, რომლის მსგავსი აღმოჩენილია ურბნისშიც. ეს წარწერა
შეიცავს ორ იდენტურ ასოს და აღნიშნავს მოწმობას, დადასტურებას.
ეს წარწერა III ს.-ით უნდა დათარიღდეს [114, 46].

1938 წ. მცხეთაში (სამთავროში) სამშენებლო სამუშაოების დროს
აღმოჩნდა ებრაულწარწერიანი საფლავის ქვა. ეს ქვა მოგვიანებით
გამოყენებით სამარხის ერთ-ერთ კედლად. იგი აღმოჩნდა არაგვის
მარჯვენა ნაპირზე, საქართველოს სამხედრო გზის დასავლეთით,
სამთავროს ველზე. მასთან ერთად აღმოჩნდა მცხეთის მხატვართუხუ-
ცისის ავრელი აქოლისის საფლავის ქვა. ისიც იგივე მიზნით იყო
გამოყენებული. ებრაულწარწერიანი საფლავის ქვაზე ამოკვეთილია პურის,
თასის და სურის გამოსახულება. პური მრგვალია და საკმაოდ მოზრდილი
(ეს არ არის მაცა). ქვის ზედა ნაწილში ხონჩის გამოსახულებაზე
წარწერაა, რომელიც წაიკითხეს გ. წერეთელმა [109, 419-425], ა.
კრიხელმა [161, 113-133] და კ. წერეთელმა [115, 26-30]. სამივე
მკვლევარის მიერ შესრულებული თარგმანის შინაარსი ერთმანეთს
ემთხვევა მცირეოდენი განსხვავებით: გ. წერეთელი წარწერას V-VI
ს.ს.-ით, ა. კრიხელი II-III ს.ს.-ით, ხოლო კ. წერეთელი IV-VI ს.ს.-ით
ათარილებს. მცხეთაში აღმოჩენილი საფლავის მსგავსი ქვები აღმოჩენილია
პალესტინაში, სირიაში, პალმირაში [161, 122]. საინტერესოა ის გარემოება,
რომ ორივე საფლავის ქვა, როგორც ავრელი აქოლისის, ისევე ბარ
ხაზანისა, გამოყენებულია მოგვიანებით დაკრძალულის სამარხის კედლე-
ბად. საერთოდ, ერთის საფლავის მასალის მეორისათვის გამოყენება
ძირითადად IV ს.-დან, „თუმცა უფრო ადრეც II-III საუკუნეებშიც
ფიქსირდება“ [84, 135]. ე.ი. იმ დროისათვის ის სასაფლაოები, რომლებშიც
ავრელი აქოლისი და ბარ ხაზანი განისვენებდნენ, მიტოვებული ყოფილა,
რადგანაც მათი საფლავის ლოდები სხვისი სამარხისთვის გამოყენებით.
თუ ავრელი აქოლისის საფლავის ქვის წარწერა თარიღდება III ს.-ით,

მაშინ მის თანადროულად უნდა ჩაითვალოს ბარ ხაზანის საფლავის ქვის წარწერა. ამასთან დაკავშირებით ა. აფაქიძე მიუთითებს, რომ „მცხეთაში იმ ხანადაც ებრაულიც ყოფილა გავრცელებული, ე.ი. ხორცი ესხმის ეროვნული საისტორიო წყაროების ცნობას იმის შესახებ, რომ „ქართლში ექესი სხვადასხვა ენა იძრახებოდა“. ებრაული სასაფლაოც სადღაც სამთავროს ველზე უნდა ვიგულისხმოთ, ვინაიდან შორიდან საფლავის ქვის მოტანა სამარხის კედლისათვის ნაკლებად სავარაუდოა. აქვე ახლოს უნდა ყოფილიყო ავრელი აქოლისის საფლავიც. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული და ებრაული სასაფლაოები (ნეკროპოლი) გვერდიგვერდ მდებარეობდა.

მორიგი ებრაული წარწერა 1992 წ. სვეტიცხოვლის მახლობლად აღმოჩნდა. იგი წარმოადგენს დოქში მოთავსებულ ოქროს დაგრაგნილ ამულეტს ებრაული წარწერით. ასეთი ამულეტი (თილისმა) ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში. მისი მსგავსი აღმოჩენილია თურქეთში, სირიასა და ისრაელში. იგი ეკუთვნოდა ვინმე აბრაჰამს, სარას ვაჟს და იყო როგორც ამ უკანასკნელის, ისე მისი ოჯახის წევრების მფარველი თილისმა. „ოქროს ფირფიტაზე ამოკვეთილია 29 სტრიქონიანი წარწერა, შესრულებული არამეული დამწერლობით, რომელსაც გვიანანტიკურ ხანაში იყენებდნენ ებრაელები“ [112, 95]. „ამულეტი ფუტლიარში იყო მოთავსებული. ასეთებს ჩვეულებრივ ან ყელზე იკიდებდნენ, ან ათავსებდნენ სახლში, სინაგოგაში. სახლი, სადაც აღმოჩნდა ამულეტი, ალბათ მიეკუთვნებოდა მასზე მოხსენიებულ პირს (ან მის წინაპარს), რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იბერიის დედაქალაქ მცხეთაში ებრაელთა ცხოვრებისა“ [110, 125]. კ. წერეთელი ამულეტის წარწერას პალეოგრაფიული და ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით V-VI ს.ს-ით ათარიღებს [182, 21].

ამრიგად, ებრაული წარწერების აღმოჩენით მცხეთაში კიდევ ერთხელ დასტურდება ქართლის დედაქალაქში ებრაელთა ეთნო-რელიგიური თემის არსებობა, რაც კიდევ ერთხელ მატებს საბუთიანობას ქართული ნარატიული წყაროების ცნობებს.

ურბნისის ტერიტორია ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში ათვისა ადამიანმა. არქეოლოგიურად შესწავლილია „ქვაცხელები“ და „ხიზანანთ გორა“. ქართულ წერილობით წყაროებში ურბნისი მოიხსენიება ძვ. წ. IV ს. ქალაქად. ამ დროიდან ის შიდა ქართლის სხვა დასახლებებთან ერთად აქ გამავალი სავაჭრო გზის მეშვეობით მჭიდროდ ყოფილა

დაკავშირებული გარე სამყაროსთან. „მოქცევე ქართლის“ ურბნისი იხსენიებს ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებით, როდესაც ამ უკანასკნელმა „იხილნა... დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაზე“ [125, 81], ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ ურბნისი მოხსენიებულია უფლოსთან დაკავშირებით შიდა ქართლის მტკვრისპირეთში „...უფლოს... აღაშენა უფლისციხე, ურბნისი და კასპი, არაგვთაგან და არმაზითგან, ვიდრე ტაშისკარამდე. უწოდა ამას ქვეყანასა ზენა სოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა ქართლი“ [86, 10]. ე. ი. ურბნისი მიეკუთვნებოდა ე.წ. ზენა სოფელს.

მნიშვნელოვან სატრანზიტო გზაზე მდებარეობამ ხელი შეუწყო ურბნისის სწრაფ ზრდა-დაწინაურებას. ახ. წ. I ს.-დან გაცხოველებულ ვაჭრობაზე მიუთითებს მრავალი უცხო წარმოების საქონელი და მონეტები. ქალაქი უბნებად ყოფილა დასახლებული, ყოფილა ხალხი „ცეცხლთა, ქუათა და ძელთა“ თაყვანისმცემელი (მათი ტაძარი არ ჩანს), ებრაელთა სალოცავი (ბაგინი), აბანო და სხვა. ქალაქი გარშემორტყმული იყო მტკიცე გალავნით [92, 171]. „ურბნისი სავაჭრო მაგისტრალის ზონაში იყო მოქცეული, რომელიც მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა და მისი მეშვეობით იგი გაცხოველებულ ვაჭრობაში იყო ჩაბმული“ [85, 42]. არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინეს, რომ უკვე ძვ. წ. IV-III ს.ს. ურბნისი მდიდარ ქალაქს წარმოადგენდა: „აღმოჩენილი ნივთების დიდი უმრავლესობა ადგილობრივი ნახელავია, მაგრამ არის შემოტანილიც. ეს იმპორტული ნივთები მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს მრავალი ქვეყნიდანაა ჩამოტანილი, რაც თავისთავად მიუთითებს ვაჭრობის ფართო მასშტაბებზე“, რომელშიც ალბათ დიდი წვლილი ადგილობრივ ებრაულ მოსახლეობასაც მიუძღუოდა [24, 86]. იგი მდიდარი ჩანს გვიანანტიკურ ხანაშიც. ასეთ დაწინაურებულ ქალაქში კაპიტალურ ნაგებობათა ნაშთების სიმცირე ქალაქის ხანგრძლივი ცხოვრების შედეგია: იგებოდა ახალი, რასაც ეწირებოდა ძველი და „შესაძლოა, სტრაბონის წყაროს ავტორს... ურბნისიც ჰქონდა მხედველობაში“, როცა იბერიაში არსებულ კრამიტთან, არქიტექტურული წესით აგებულ შენობებზე საუბრობდა [53, 140].

IV ს.-დან ქართულ წერილობით წყაროებში ურბნისი წმ. ნინოს სახელთანაა დაკავშირებული. საქართველოში ფეოდალიზმის გამარჯვებისა და ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ურბნისის ცხოვრებაში ძირფესვიანი გარდატეხა მოხდა. ცნობებს იმის შესახებ, რომ

„წარმართულ ტაძრის ადგილზე აშენდა ქრისტიანული ეკლესია“ [92, 171], ეწინააღმდეგება ებრაელი მოგზაურ-მკვლევარის იეჰუდა ჩორნის ნათქვამს, რომლის თანახმად, ქრისტიანებმა თავიანთი ეკლესია სწორედ ებრაელთა სალოცავის ადგილას ააგეს. მისი მიხედვითაც, ურბნისი „...ადრე დიდი ქალაქი ყოფილა... იმ ადგილას, სადაც უძველესი ებრაული სალოცავი მდგარა, ამჟამად ქრისტიანი ქართველების დიდი... ტაძარი დგას“ [106, 22].

ძველ ქალაქებში, მათ შორის ურბნისშიც, განსაკუთრებით ძლიერი ჩანს ებრაელთა სამოსახლოები: უბანი ურიათა იყო ურბნისშიც: აქ დღესაცაა შემორჩენილი ტოპონიმი „ნაურიალი“. ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიის“ მიხედვით კარგად ჩანს, რომ მის დროსაც კი, ქალაქების – მცირეთა თუ დიდთა თუ ძველთა – მისი დროისათვის დამცრობილთა თუ უბრალო დაბად აღნუსხულთა მოსახლეობის ერთი წილი ებრაელებია. ე. მაშისთვალისშვილი, როდესაც საუბრობს ურბნისის ებრაულ თემზე, მიუთითებს „...მცხეთის თანაბარ თუ არა, მის შემდეგ მაინც ებრაელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან კოლონიას. ასეთი თემები აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებშიც უნდა ყოფილიყო“ [93, 125]. „ურბნისის ებრაულ თემს შემორჩენილი ჰქონდა ებრაული ენა, რომელიც მაშინ, გარკვეული გაგებით, საერთაშორისო ენის ფუნქციას ასრულებდა“ [93, 125]. საქართველოში საერთაშორისო ენის ფუნქციას არამეული დამწერლობაც ასრულებდა. ე.წ. ჩრდილომესოპოტამიური არამეული დამწერლობის სახესხვაობას წარმოადგენს ე.წ. არმაზული დამწერლობა. სწორედ ამ დამწერლობითაა შესრულებული ურბნისში ქვევრის პირზე წარწერა, რომელიც ოთხი ასო ნიშნისაგან შედგება. ეს წარწერა პირველად გ. წერეთელმა წაიკითხა და მისი აზრით იგი აღნიშნავს „სამსხვერპლოს“, შესწირის [52, 54]. წარწერის საკულტო მნიშვნელობაზე მიუთითებს კ. წერეთელი განსხვავებული თარგმნით. წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით მიეკუთვნება ახ. წ. II ს. [117, 341].

საქართველოში აღმოჩენილი ებრაული ეპიგრაფიკული ძეგლები ძირითადად ეპიტაფიებია. მათ შორის უძველესია საბექდავი ურბნისიდან. იგი წარმოადგენს „...ბრინჯაოს ფარაკიან ბეჭედს ძველი ებრაული წარწერით. ფარაკზე ნეგატიურად ამოჭრილია ორი ასო... წარწერის ნეგატიური ხასიათი აშკარად მოწმობს, რომ ბეჭედი საბექდავად იხმარებოდა. ამას ადასტურებს წარწერის შინაარსიც – „მოწმობა“, ე.ი. რაღაცის დამოწმება“ [79 14]. მსგავსი ფორმის ბეჭედები ახ. წ.

III-IV ს.ს.-ით, თვითონ სამარხი კი, სადაც ბეჭედი აღმოჩენილი ახ. წ. III ს.-თ თარიღდება [79, 84].

ამავე ხანით ათარიღებს ამ წარწერას კ. წერეთელიც [114, 46].

უაღრესად საინტერესოა ურბნისის სამაროვნის მინის ნაწარმი. სამარხები შეიცავს მრავალრიცხოვან ინვენტარს — კერამიკას, მინის ჭურჭელს, მრავალგვარ სამკაულსა და მონეტებს. ეს ყველაფერი მიუთითებს ქალაქის მცხოვრებთა კულტურის მაღალ დონეზე [80, 48]. ურბნისის მინის ჭურჭელი „...ძირითადად I საუკუნით თარიღდება, იშვიათად II საუკუნით, III საუკუნეში კი ის აღარ გვხვდება“ [80, 45]. სამარხებში დამოწმებულია მრავალრიცხოვანი სანელსაცხებლები. ეს მინის ჭურჭელი ძირითადად სირია-პალესტინა-ფინიკიის ქალაქებიდან არის შემოტანილი, ალბათ, როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი (მათ შორის ქართველი ებრაელი) ვაჭრების მიერ. ახ. წ. 70წ. იუდეის კატასტროფის შემდეგ, ბუნებრივია, სავაჭრო ურთიერთობებიც საქართველოსა და პალესტინას შორის ისეთი ინტენსიური აღარ იქნებოდა. სამარხების ნაწილიც, მათში აღმოჩენილი სანელსაცხებლების სიმრავლით, მიცვალებულების დამარხვის ფორმით და ჩატანებული მონეტების არარსებობით, შეიძლება ებრაულ სამარხებს მივაკუთვნოთ.

II საუკუნეში პალესტინიდან მინის ნაწარმის შემოტანის სიმცირე იმით შეგვიძლია ავხსნათ, რომ I საუკუნის II ნახევარში იუდეის კატასტროფის შემდეგ, ბუნებრივია, შესუსტდებოდა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობები პალესტინაში მაცხოვრებელ ებრაელობასა (საერთოდ იუდესთან) და კავკასიის ებრაელობას შორის. სხვაგვარად ამ მოვლენას ვერ ავხსნით, რადგან ამ პერიოდში (I ს-ის II ნახ — II ს) ქართლის სამეფოსა და რომის იმპერიის კავშირ-ურთიერთობანი უაღრესად აქტიურია.

ურბნისის მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მასალასთან ერთად უაღრესად საინტერესოა ბრინჯაოს ორი ბატილუმი არადეთიდან. მსოფლიოში ცნობილი ბატილუმების წარმოშობას ძირითადად სირია-პალესტინას უკავშირებენ: „ყველა ავტორი, რომელმაც კი ბატილუმი გამოაქვეყნა, ერთხმად აღნიშნავს, რომ იგი საკულტო-სარიტუალო ნივთია და გამოიყენებოდა საკმეკლის ან სხვა სურნელოვანი ნივთების დასაწევად ღვთისმსახურების დროს“ [16, 79]. ი. გაგოშიძე არადეთის ბატილუმებს აკუთვნებს „წელთაღრიცხვათა მიჯნას, უფრო სწორედ ახ. წ. I საუკუნეს“ [16, 79]. ბატილუმები ი. გაგოშიძის აზრით, როგორღაც დაკავშირებული

უნდა ყოფილიყო მიცვალებულთა კულტთან (!) [16, 78]. სავარაუდოა, არადეთის ბატილუმები ერთ-ერთი ბაგინის საკუთრება იყო, რომელშიც იგი საკმევლის დასაწვავად გამოიყენებოდა, ვინაიდან ბატილუმი და-დასტურებულია, როგორც სასაკმევლე [163, 99].

გარდა ზემოთ აღნიშნული ორი დიდი ანტიკური ქალაქისა, ებრაელთა სამოსახლოებს ვარაუდობენ საქართველოს სხვა ანტიკურ ქალაქებშიც.

ლ. ჭილაშვილი ებრაელთა უბნის არსებობას ვარაუდობს უძველეს ქალაქ წუნდაში. იგი ერთ-ერთი იმ ქალაქთაგანია, რომელიც ალ. მაკედონელს დახვედრია ქართლში [86, 17]. წუნდა ფარნავაზის დროს საერისთავო გამხდარა და მეფის საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა [86, 24-25]. წუნდა იყო პირველი ქალაქი ქართლში, სადაც კონსტანტინესაგან გამოგზავნილმა კირიტხურრებმა ააგეს ქრისტიანული ეკლესია [86, 117]. ლ. ჭილაშვილმა მიაქცია ყურადღება ტოპონიმს „ჯიუტმალა“, რომლის შესახებაც პირველად ო. ლამბაშიძეს უცნობებია. ლ. ჭილაშვილი წერს: „ჯიუტმალა ანტიკური წყაროების წუნდის ერთ-ერთი უბანი უნდა იყოს და ჩვენი ვარაუდით აღნიშნავს ებრაელთა უბანს (ურიათუბანი). „ჯიუტ“ ეს იგივე ჯიეჰულ-იეჰულია, ე.ი. ებრაული და „მალა“ კი იგივე „მანა“ – უბანია. ჯიუტმალის (ურიათუბანის) სახით საქმე გვაქვს წუნდაში ცალკე უბნის არსებობის ნიშანდობლივ დამოწმებასთან“ [85, 28].

ებრაელები სხვადასხვა დროს მოსახლეობდნენ საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ რაიონში. როგორც ე. მამისთვალიშვილი მიუთითებს: „გამიძნელებდა დავასახელო საქართველოს რომელიმე რეგიონი, ქალაქი, ან თუნდა მცირედ დასახლებული პუნქტი, სადაც ებრაელებს არ ეცხოვროთ უძველეს ან გვიანდელ ხანაში. როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში ებრაელები უმთავრესად ქართლში ცხოვრობდნენ“ [93, 81]. ებრაელები განუწყვეტლივ გადაადგილდებოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, რაც ალბათ ისტორიულ ძნელებლობას უნდა მივაწეროთ. „...საქართველოს ებრაელებმა უკანასკნელ საუკუნეში (იგულისხმება XX ს.) და ცოტა ხნის წინათაც განიცადეს დიდი გადასახლება“ [174, 29]. ებრაელთა საცხოვრებლების სიმრავლე შეიმჩნევა გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც საქართველოში

*უნდა შევნიშნოთ, რომ *βῆτο* ებრაული სიტყვაა და გამოიყენებოდა თხევადი მასის საზომად, უდრიდა ორ ატიკურ ხოას [139, 247, 22].

მოიშალა საქალაქო ცხოვრება. ამდროინდელი მოგზაურები გიულდენ-შტედტი, ჩორნი იეჰუდა, აბრაჰამ იბნ დაუდი, კლაპროთი და სხვები ებრაელთა ჯამათებს თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტებში აფიქსირებენ [20, 187; 55, 153].

ებრაულ-ქართული ისტორიული ურთიერთობის ამსახველი მასალა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე არ არის მოპოვებული.

საქართველოსა და წმინდა მიწას შორის კავშირების არსებობას ადასტურებს სხვადასხვა ხასიათის წყარო, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ წმინდა მიწაზე შემორჩენილი ქართული ლაპიდარული და მოზაიკური წარწერები. უძველესი ხელნაწერებისა და საბუთების უნიკალური კოლექციები, მონუმენტური და მცირე ხელოვნების ნიმუშები, საქართველო დედა-ეკლესიათან (მცხეთა) დაკავშირებული და მის შემოგარენში დადასტურებული იერუსალიმური ტრადიციის ამსახველი ტოპონიმები და ა.შ. [48, 20]. ქართული წყაროები დაბეჯითებით მოგვითხრობენ, რომ ქართლში მცხოვრები ებრაელები განუწყვეტლივ იერუსალიმში მიმდინარე მოვლენების კურსში იყვნენ. ამის ნათელი დასტურია „მოქცევაჲს“ ცნობები ქართლის ებრაელთა დელეგაციის იერუსალიმში წარგზავნის თაობაზე. მაგრამ ეს ურთიერთობა არ იყო ცალმხრივი, განსაკუთრებით ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ. პალესტინასთან ყველაზე მეტი ურთიერთობა, ბუნებრივია, ებრაულ დიასპორას ჰქონდა, ამიტომ მათი, როგორც ქრისტიანული წმინდა ადგილების შესახებ ინფორმატორების როლი, განსაკუთრებით გაიზარდა. სამწუხაროდ, ჩვენთვის არ არის ცნობილი, ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში როგორი იყო ჩვენი თანამემამულეების ინტერესი პალესტინის მიმართ, მაგრამ III საუკუნისათვის ქართველი პილიგრიმებიც მიემურობიან წმინდა მიწისაკენ და ცდილობენ იქ სხვა ხალხებთან ერთად საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ. იმ ადგილას, სადაც დღეს ჯერის მონასტერია, „კატაკომბებში უძველესი დროიდან ქართველ მონაზონთა საძვალე იყო, რაც დასტურდება იქ აღმოჩენილი III-IV საუკუნეთა სამარხებით, რომლებიც, შესაძლოა, ჯერ კიდევ ეკლესიის აგებამდე არსებობდა“ [29, 12]. პალესტინაში ქართული ქრისტიანული ცენტრების კვლევა დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღებას იმსახურებს, თუმცა ჯეროვანი მასშტაბი ჯერ არ შეუძენია. პალესტინაში მივლინებული სპეციალური არქეოლოგიური ექსპედიცია შესძლებდა აქ არსებული ქართული სიძველეების სათანადო გამოძიებულებას.

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების შემდეგ პალესტინისაკენ სწრაფვა კიდევ უფრო გაიზარდა. ქართლის ქრისტიანი მეფეები ცდილობენ წმინდა მიწაზე ადგილების შეძენას და იქ ეკლესია-მონასტრების აშენებას. ქართულ საეკლესიო ტრადიციაში ის შეხედულებაც კი არსებობს, თითქოს მეფე მირიანმა და ვახტანგ გორგასალმა არა მარტო იმოგზაურეს იერუსალიმში, არამედ ამ უკანასკნელს „...იერუსალიმი დაუპყრია (ფრანგთაგან გაანთავისუფლა დ.ჩ.) და იქ მრავალი მონასტერი აუშენებია. ქართველებს იერუსალიმი და, საერთოდ, პალესტინა, დიდი ხნის განმავლობაში სჭერიათ. ვახტანგს ქალაქის დამცველად თავისი მხედრები დაუტოვებია, რომლებიც სამუდამოდ იქ დასახლებულან“ [14, 78]. ე. მამისთვალიშვილი მიუთითებს, რომ შეიძლება ზემოთხსენებულმა მეფეებმა არ იმოგზაურეს იერუსალიმში, მაგრამ „...ისეთი რამ კი გააკეთეს, რომელიც შემდგომმა თაობებმა ხიფათით აღსავსე პილიგრიმულ მოგზაურობასთან გააიგივეს“ [29, 7]. უნდა ვიფიქროთ, რომ პირველ ქართველ ქრისტიან მეფეებს და საზოგადო მოღვაწეებს მცირე ღვაწლი არ ექნებოდათ შემდგომ პერიოდში სახელგანთქმული ქართული სავანეების დაარსებაში*, რომლებიც ვფიქრობთ შემთხვევით ადგილებში არ უნდა ყოფილიყო დაარსებული. ამის დამადასტურებლად ის კატაკომბებიც გამოდგება, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ზეთის ხილის ბაღშია და თარიღდება ახ.წ. პირველი საუკუნეებით. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ იგი ქართველ მონაზონთა საძვალე იყო. მონასტრის ქვეშ, კლდეში, ასევე კატაკომბებია. სრული უფლება გვაქვს, ვთქვათ, რომ თანამედროვე მონასტრის ადგილას ან მის მახლობლად, აღნიშნულ საუკუნეებში (იგულისხმება ახ.წ. აღ. პირველი საუკუნეები) ქართველებს რაღაც სამლოცველო მაინც ჰქონდათ, რომლის ადგილას შემდეგში შესანიშნავი ტაძარი წამოიშალა [29, 8].

IV საუკუნიდან მოყოლებული XLX საუკუნემდე ქართველები წმინდა მიწაზე მრავალ სავანე-მონასტერში მოღვაწეობდნენ. „ისინი აქტიურად იყვნენ ჩაბმული იქ არსებული მონასტრებისა და ლავრების მრავალრიცხოვან საკრებულოთა საქმიანობაში. წმინდა მიწაზე მოღვაწე

* განსაკუთრებით აღსანიშნავია პეტრე იბერის მოღვაწეობა, რომელსაც მიეწერება რამდენიმე ეკლესია-მონასტრის მშენებლობა წმინდა მიწაზე. განსაკუთრებული პატივით ქართველების ჯვრის მონასტერი სარგებლობდა, რომლის აგებას პეტრე იბერს მიაწერენ [29, 11-17].

ქართველებს უთარგმნელი და აუთვისებელი არ დარჩენიათ პალესტინური მწერლობისა და კულტურის არცერთი მონაპოვარი, რომელიც შექმნილი იყო ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხთა ერთობლივი ძალისხმევით“ [48, 20].

2001-2002 წლებში ისრაელსა და პალესტინაში იმუშავა ქართველ მეცნიერთა კომპლექსურმა ექსპედიციამ, რომლის მიზანიც ქართულ სიძველეთა მოძიება, კვლევა და ფიქსაცია იყო. ექსპედიციის შედეგად დაფიქსირდა ქართველთა სახელთან დაკავშირებული 35 მონასტერი, საეკლესიო ნივთები და ხელნაწერები [49, 104].

წაკითხულია და კალკაზე გადმოღებულია 90-მდე ქართული წარწერა, მათ შორის ორმოცამდე უცნობი [15, 115].

ქართული სიწმინდეების, ქართველთა მოღვაწეობის დამადასტურებელ ნივთმტკიცებათა მოკვლევა და შესწავლა წმინდა მიწაზე, რაც პალესტინა-საქართველოს ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის დამადასტურებელია, უაღრესად აქტუალური და საშური საქმეა.

თ ა ვ ი

პ ა ლ ე ს ტ ი ნ ა უ ქ ვ ე ლ ე ს ი დ რ ო ი დ ა ნ
ქ ვ . წ . V I ს - მ დ ე

პალესტინის უძველესი ისტორია უკავშირდება ქვეყანას, რომელიც ბიბლიაში მოხსენიებულია ქანაანის სახელით. იგი გადაჭიმულია ვიწრო ზოლად ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, რომელიც შემოსაზღვრულია ჩრდილოეთიდან ლიბანის მთებით, სამხრეთიდან არაბეთის უდაბნოთი, აღმოსავლეთიდან – სირია-მესოპოტამიის ველით. პალესტინას ორ ნაწილად ყოფს მდინარე იორდანე, რომელიც გენისარეთის ტბის გავლით ჩადის მკვდარ ზღვაში. ქვეყანა ბუნებრივი სიმდიდრით არ გამოირჩევა, მიუხედავად ამისა, ქანაანში ქალაქური ტიპის დასახლება ჯერ კიდევ ნეოლითის ადრეულ ხანას განეკუთვნება. მკვლევართა ვარაუდით, უძველესი ქალაქი იერიქონი დაარსებულია VI და შეიძლება VII ათასწლეულში ჩვ.წ.აღ-მდე და ითვლება მსოფლიოში ყველაზე ძველ გამაგრებულ ქალაქად [169, 15]. ქანაანის საქალაქო ცენტრების მეგიდოსა და ბეთ-შეანის აღორძინება განეკუთვნება ჩვ.წ.აღ-მდე III ათასწლეულს. ქანაანი წარმოადგენდა ძველი აღმოსავლეთის უძველესი კულტურულ-ეკონომიკური ცენტრების – ეგვიპტისა და შუამდინარეთის შემაკავშირებელ რგოლს. ორმა ძირითადმა სავაჭრო-საქარაუზო გზამ, რომელიც ამ ქვეყანას კვეთდა, შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა დღევანდლამდე.

ტერმინი პალესტინა, როგორც ქვეყნის აღმნიშვნელი სახელწოდება, ძირითადად მკვიდრდება მას შემდეგ, რაც 135 წ. რომის იმპერატორმა ადრიანემ ჩაახშო ებრაელთა გამათავისუფლებელი აჯანყება ბარ-კოხბას მეთაურობით და აკრძალა სიტყვა „იუდეის“ ხმარება. მის ნაცვლად უნდა დამკვიდრებულიყო სირია-პალესტინა, სირია-ასურეთის შემოკლებული სახელწოდება, ხოლო პალესტინა კი ეგვიპტურ ტექსტებში მოხსენიებული ქანაანის სამხრეთ სანაპიროს მოსახლეობის აღმნიშვნელი სახელის

* პალესტინას პეროდოტე უწოდებს სირიის ზღვის გასწვრივ ადგილს ეგვიპტეში [126, 437].

პელეშეტის ბერძნულენოვანი ფორმა იყო. IV ს-ის ერთ-ერთი ეკლესიის მამა წერს: „იუდეა, რომელსაც ეხლა უწოდებენ პალესტინას“ [69, 13].

ძველი პალესტინის ისტორიის წყაროებს არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული მასალა და წერილობითი წყაროები წარმოადგენს. ქანაანურ ენაზე აღმოჩენილია უაღრესად მწირი ეპიგრაფიკული ძეგლები. პალესტინას ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტის სამეფოსთან; ამის გამო, განსაკუთრებით საინტერესოა თოტმეს III-ის, სეთი I-ის, რამსეს II-ის, მერნეპტახის წარწერები, რომლებიც მოგვითხრობენ ქანაანში ეგვიპტელთა ლაშქრობის ამბებს.* მნიშვნელოვანია თანაახისა და თელ-ამარნის არქივები. ამ უკანასკნელში პირველად ჩნდება პალესტინაში შემოჭრილი ტომების „ხაბირუს“ სახელი, რომლებსაც დღეს ებრაელთა უშუალო წინაპრებად მიიჩნევენ [151, 385].

ადრე ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. 3000-2000 წწ.) იღებს სათავეს ძველი პალესტინის ქალაქთა უმრავლესობა. ამ ხანაშივე დაიწყო მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება – სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან აქ სემიტური ტომები იჭრებიან, რომლებთანაც ეგვიპტის ფარაონები განუწყვეტელ ომებს აწარმოებდნენ. ძვ. წ. XVIII ს. პალესტინა ჰიქსოსების სახელით ცნობილ ტომთა გამაერთიანებელი ცენტრი ხდება, რომლებმაც მალე საკმაოდ დიდი ტერიტორია დაიმორჩილეს ჩრდილოეთ სირიიდან ეგვიპტის ჩათვლით. ჰიქსოსთა მეფემ სალათისმა დაიპყრო მემფისი (ძვ. წ. 1675 წ.), რითაც დასრულდა ეგვიპტის XVII დინასტია და მასთან ერთად შუა სამეფოს პერიოდი. ჰიქსოსთა ბატონობა ეგვიპტეში ას წელზე მეტხანს გაგრძელდა. მათი იდენტიფიკაცია დღემდე ვერ ხერხდება. თანამედროვე ეგვიპტელები მათ ბელადებს „უცხო ქვეყნის (მთიანი ქვეყნის) მეუფეებს“ უწოდებდნენ. ჰიქსოსების სახელით ისინი ძვ. წ. III ს. II ნახევრის ქურუმთან მანეთონთან გვხვდება და ამ სახელით დამკვიდრდნენ ისტორიაში. მანეთონის ნაშრომის ფრაგმენტები შემონახულია I ს-ის ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის ნაშრომში „აპიონის წინააღმდეგ“. მისი გადმოცემით, მანეთონი მოგვითხრობს რა ჰიქსოსების მიერ ეგვიპტის დაპყრობას, აღნიშნავს: „ამ ხალხს (დამპყრობლებს) უწოდებდნენ ჰიქსოსებს, ე.ი. მეფე მწყემსები“ [179, 19]. მათ დიდი უბედურება დაატრიალეს ეგვიპტეში, ასი წლის

* მოუხდევად იმისა, რომ ქანაანი ეგვიპტის პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდიდა, ეს არ შეეხება მის კულტურულ ცხოვრებას; - იგი ყოველთვის რჩებოდა შუამდინარეთის კულტურული მიღწევების არეალში.

შემდეგ კი (მანეთონთან არის 511 წელი), ეგვიპტელთაგან შევიწროებულებმა მშვიდობიანი მოლაპარაკების შემდეგ მიატოვეს დაპყრობილი ქვეყანა და დასახლდნენ ქვეყანაში, „რომელსაც ეხლა ჰქვია იუდეა, ხოლო ქალაქს, რომელმაც მრავალი ათასი ადამიანი დაიტია, უწოდეს იერუსალიმი“ [179, 20-21].

მანეთონი აღნიშნავს, რომ ჰიქსოსებს არაბებად თვლიდნენ [179, 19], მაგრამ, როგორც იულიუს აფრიკანუსი და ევსევი თვლიდნენ, მანეთონს უფრო მათი ფინიკიელობა სწამდა.

იოსებ ფლავიუსი აღნიშნავს ჰიქსოსების და ებრაელების იდენტურობას და წერს, რომ ჰიქსოსები ებრაელთა წინაპრები იყვნენ [179, 21]. იოსებ ფლავიუსის ეს მოსაზრება მრავალმა მკვლევარმა გაიზიარა. მაგ. რენანი მიუთითებს: „შეიძლება მივიჩნიოთ ჭეშმარიტებად, რომ სემიტები (იგულისხმება ებრაელები) წარმოდგებიან ჰიქსოსებისაგან ანუ მწყემსებისაგან“ და განმარტებაში აღნიშნავს: „ებრაელები, რომლებიც ალექსანდრიაში ცხოვრობდნენ და იცოდნენ მანეთონის ეგვიპტის ისტორია, ეძებდნენ ცნობებს ებრაელებისა და ეგვიპტელების შესახებ. ისინი განაცვიფრა ებრაელების ჰიქსოსებთან მსგავსებამ“ [156, 67].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰიქსოსები ეგვიპტეში ძვ. წ. XVII ს-ის დასაწყისში შეიჭრნენ, ხოლო ძვ. წ. 1567 წ. თებეს ინტეფმა იახმესმა აიღო ჰიქსოსთა გამაგრებული დედაქალაქი ავარისი და საბოლოოდ განდევნა ისინი ეგვიპტიდან,“^{***} ებრაელი ტომები კი პალესტინაში

^{*}უნდა აღვნიშნოს, რომ ეს ფრაზა მოცემულია 1950 წ. გამოცემულ ქრესტომათიაში [180, 64], ხოლო 1980 წ. გამოცემულ ქრესტომათიაში ამოღებულია [181, 59].

^{**} ჰიქსოსებისა და ებრაელების ერთ ეთნიკურ რასად მიკუთვნების მომხრეებს შემდეგი არგუმენტიც მოაქვთ: ჰიქსოსების მთავარ ღვთაებად მიჩნეული იყო სეთი-ტიფონი, რომლის წმინდა ცხოველად ითვლებოდა ვირი. ბუნებრივია, ტიფონი გამოისახებოდა ვირის თავით, ან (უფრო ანთროპომორფული) ვირზე ამხედრებული. პლუტარქე ისიდასა და ოსირისის შესახებ მოგვითხრობს, რომ: „ისინი, ვინც მოგვითხრობს, რომ ბრძოლის შემდეგ ტიფონი გაიქცა და გარბოდა შვიდი დღის მანძილზე ამხედრებული, მაღაწია რა უსაფრთხო ადგილს, შეეძინა შვილები იერუსალიმი და იუდა, აშკარად შეაქვთ ეგვიპტურ მითში ებრაული მონათხრობი“, ამით ტიფონი გაიგივებული იყო მოსესთან. გასაგებია, საიდან იღებს სათავეს ძვ. წ. II ს-ში პოსიდონიოს აპამელის შენათხაზი, თითქოსდა, ანტიოქე ეპიფანემ, როდესაც შეიჭრა იერუსალიმის ტაძარში, წმიდათა-წმინდაში ნახა ვირზე ამხედრებული მოსეს ქანდაკება, რომელსაც ხელში წიგნი ეჭირა. ამავე დროისა მნასეი პატრული, რომელიც მოგვითხრობს, რომ ვინმე ზაბიდან შეაღწია იერუსალიმის ტაძარში და მოიპარა ვირის ოქროს თავი. მათზე დაყრდნობით აპიონი (ძვ. წ. I ს) წერს, რომ ებრაელები თაყვანს სცემდნენ ვირის თავს, რომელიც შეიცავდა ღიდი რაოდენობით ოქროს [127, 20-21].

^{***} იახმეს I (1570-1546 ძვ. წ.) ითვლება ეგვიპტის ახალი სამეფოს ფუძემდებლად.

ჩნდებიან ძვ. წ. XIV ს-ის ბოლო მეოთხედში, ე.ი. გაცილებით გვიან. არ არის გამორიცხული, რომ ებრაელი ტომები ეგვიპტეში ჰიქსოსთა ბატონობის ხანაში დასახლებულიყვნენ. ებრაელები სემიტური მეფეების მმართველობის ხანაში ეგვიპტელთა თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ, როდესაც ამ უკანასკნელთ დაიბრუნეს სამეფო ხელისუფლება, მათ განიცადეს გარკვეული უფლებრივი შევიწროება: „დაღვა ეგვიპტეში ახალი მეფე, რომელსაც არ გაეგონა იოსები“ (გამოსვლა, 1,8); ჰიქსოსები დამპყრობლები იყვნენ, მათ ძალით დაიმორჩილეს ეგვიპტე, მაგრამ ისინი არათუ არ „ასწორებდნენ მიწასთან“ ეგვიპტურ ტაძრებს, როგორც ამას ეგვიპტური ისტორიული ტრადიცია გადმოგვცემს, არამედ თვითონ აგებდნენ ახალ ტაძრებს ეგვიპტური ტრადიციებისა და კანონების დაცვით; მათ გადაიღეს ეგვიპტური ენა, დამწერლობა, მეფეებმა – ეგვიპტური ფარაონის ტიტულატურა და სახელები. არ შეუცვლიათ ჰიქსოსებს ეგვიპტის სახელმწიფოს მართვის პრინციპი. ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ებრაელთა საზოგადოებრივ წყობაზე. თვითონ ებრაელები თვლიდნენ, რომ ეგვიპტეში მშვიდობიანად დასახლდნენ და მოგვიანებით აღმოჩნდნენ ფარაონთა ტყვეობაში. ამგვარად, ერთმანეთს ეწინააღმდეგება მანეთონისა და ბიბლიის ცნობები. ვფიქრობთ, ებრაელი ტომების ჰიქსოსებთან გაიგივება მცდარი უნდა იყოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო მეოთხედში პალესტინაში ებრაელი ტომები იჭრებიან. ისინი დასავლურ-სემიტური მოდგმის ტომები იყვნენ; ებრაული ენაც სემიტური ენების დასავლურ ჯგუფს მიეკუთვნება [119, 30]. მათი სამოსახლო ჩრდილო-აღმოსავლეთით აღწევდა მდ. ევფრატის შუა წელს და მოიცავდა ჩრდილოეთ შუამდინარეთის ნაწილს [81, 36]. ამ მხარის სემიტური მოსახლეობა შედგებოდა მთელი რიგი ტომებისა და ტომთა კავშირებისაგან, რომლებთანაც მოგვიანებით იქმნება სემიტური ქალაქ-სახელმწიფოები. გადმოცემით ებრაელები ქანაანში მოსვლამდე ეგვიპტის ტყვეობაში იმყოფებოდნენ 430 წელი (გამოსვლა 12; 40-41), საიდანაც ისინი მოსესა და აარონის მეთაურობით გამოვიდნენ.“ 40 წელი იხეტიალეს

* ამ რეგიონს ასევე უწოდებენ „აღმოსავლეთ ზმელთაშუაზღვისპირეთს“.

** ისტორიული წყაროების მიხედვით ებრაელები ეგვიპტიდან უნდა გამოსულიყვნენ ფარაონ მერნეპტახ I-ის დროს (ძვ. წ. 1223-1211 წწ.).

1896 წ. ფლინდერს პეტრის მიერ აღმოჩენილ იქნა სტელა მერნეპტახის წარწერით, სადაც პირველად არის მოხსენიებული ისრაელი [177, 9-10].

უდაბნოში და მიაღვინენ „აღთქმულ მიწას“, ანუ ქანაანს, რომელიც უფლის მიერ „მადლიან ქვეყნად“ მოიხსენიება, სადაც „ღვარად მოედინება თაფლი და რძე“ (გამოსვლა, 2; 8, 17) (მეორე რჯული 8; 7-9). აქედან იწყება ბიბლიის თხრობა, როგორც ერთი მთლიანი ისტორიული ხაზი.

„ებრაელები არ იყვნენ ძირძველი მოსახლეობა პალესტინაში. მათ დაიპყრეს ეს ქვეყანა“ [140, 8]. ბიბლიამ შემოგვინახა ცნობები მათი პალესტინაში დამკვიდრების შესახებ. მოსე, რომელმაც ეგვიპელთა ტყვეობიდან გამოიყვანა ებრაელები, ისე გარდაიცვალა მონობაში დაბადებულ თაობასთან ერთად, ვერ ეღირსა აღქმულ მიწაზე ცხოვრებას [177, 98-100]. მისი საქმე გააგრძელა იესო ნავეს ძემ.

იაკობის ძეთა: რეუბენის, სიმონის, ლევის, იუდას, ისახარის, ზებულონის, ბენიამინის, დანის, ნაფთალის, გადის, აშერის და იოსების სახელების მიხედვით არსებულ ებრაელთა 12 ტომი (მუხლი) მოადგა ქანაანის მიწას. პირველი ქალაქი, რომელიც მათ დაიპყრეს, იერიქონი იყო, მოძღვრო – ამორეველთა ქალაქი ჰალაი. მათ თან მიჰქონდათ მთავარი სიწმინდე – აღთქმის კიდობანი, რომელშიც უფლისაგან ჯერ ებრაელთა პატრიარქებისათვის აბრაამისა და ისაკისათვის, შემდეგ კი მოსესთვის მიცემული აღთქმა ინახებოდა.

ქანაანელებთან შედარებით, ებრაელთა ტომები განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ. ისინი ითვისებდნენ მეზობელი ტომების წესებსა და ადათებს [156, 60]. მათ ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა. თავიდანვე დაწინაურდა ტომთა კავშირი სახელწოდებით „იისრა'ელ“, ე.ი. ისრაელი (იზრაილი), რომელსაც ეკავა პალესტინის დიდი ნაწილი. ამ ტომთა კავშირის საერთო ღვთაება იყო იახვე (იაღვე) [81, 43], რომელიც იმდენად დიდ პატივში იყო, რომ მხოლოდ ღვთისმსახურებს შეეძლოთ მისი სახელის წარმოთქმა [177, 93]. ქანაანის დაპყრობას ებრაელებმა ორ საუკუნეზე მეტი მოანდომეს. მოძრაობაში მოსული ებრაელი ტომები და გვარები ერთმანეთში ირეოდნენ, რაც ხელს უწყობდა პატრიარქალური თემური საზოგადოების დაშლას და კლასების წარმოშობას. ამავე დროს განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ბრძოლები ფილისტიმელებთან და მოაბიტელებთან. ომები მოითხოვდა ტომთა მტკიცე გაერთიანებას, – ამის უზრუნველყოფა კი მხოლოდ სახელმწიფოს შეეძლო. ასე ჩამოყალიბდა ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს ისრაელის სახელმწიფო, რომლის პირველი მეფე იყო საული ბენიამინის ტომიდან (დაახ. ძვ. წ. 1050-1030 წწ.). საულის მეფობა

– ეს იყო ფილისტიმელებთან განუწყვეტელი ომების პერიოდი. მან შემოიერთა იუდეა, გალილეა და გილეადი. იგი ითვლება პირველ მეფედ და უკანასკნელ მსაჯულად. მისი ყურადღება ძირითადად სამხედრო ძალის ორგანიზაციისაკენ იყო მიმართული: მოხალისეებისაგან მან შექმნა მუდმივი არმია, დაჰყო ასეულებად და ათასეულებად [169, 40]. გაანადგურა ამალექიტთა მომთაბარე ტომები, რომლებიც ეგვიპტიდან გამოსვლის ჟამს ძარცვავდნენ ებრაელებს უდაბნოში [160, 78] და საბოლოოდ შემოიმტკიცა იუდას მრავალრიცხოვანი ტომი. ისრაელის სამეფო ტახტზე ავიდა დავითი (ძვ. წ. 1030-990 წწ.) იუდას ტომიდან. საულის ძე იაშბაალი, რომელიც ისრაელის სამეფოს ჩრდილოეთის ტომებმა გამოაცხადეს მეფედ, იუდას მრავალრიცხოვანმა ტომმა არ ცნო. დავითმა მახვილი ფილისტიმელთა წინააღმდეგ მიმართა და ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ სასტიკად დაამარცხა ისინი. ფილისტიმელებზე გამარჯვების შემდეგ დავითმა დაიმორჩილა მოაბიტელები, ამონიტელები, არამეელები, ედომელები და ისრაელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. გაძლიერებულ სამეფოს სჭირდებოდა ერთიანი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი: ასეთად დავითმა იერუსალიმი აქცია, რომელიც წაართვა ერთ-ერთ ქანაანურ ტომს – იებოსელებს. იერუსალიმის სახელწოდება ჯერ კიდევ თელ-ამარნის არქივის მასალებშია მიკვლეული, რომელიც ძვ. წ. 1400 წ. თარიღდება [142, 651-652].

საკვაჭრო გზებზე მდებარე და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე იერუსალიმი მალე გაშენდა. დავითმა ებრაელ ტომთა მთავარი ღვთაება იაჰვეს კულტი იერუსალიმში გადმოიტანა, რითაც ქალაქი ზოგადებრაულ ცენტრად აქცია. ქალაქი ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა და ის კიდევ უფრო გაამაგრეს. დავითმა გარს შემოიკრიბა ჯარისკაცები, რომელთა უმრავლესობა ფილისტიმელები იყვნენ [153, 579]. დავითმა კავშირი დაამყარა ტვიროსის მეფესთან ჰიერონ I-თან, რითაც ფილისტიმელებს ზღვიდანაც შეუტია. მათი დამარცხებით იზრდებოდა როგორც ისრაელის, ისე ტვიროსის საზღვრები [153, 579].

დავითის გარდაცვალების შემდეგ ისრაელის სამეფო ტახტზე ავიდა მისი ძე სოლომონი (დაახ. ძვ. წ. 990-950). მის მეფობას უკავშირებენ ისრაელის სამეფოს არნახულ აღზევებას. სოლომონმა მთელი რიგი

* წყაროში მოხსენიებულია იერუსალიმის მმართველი აბდ-ხიბი, რომელიც წარმოადგენს ეგვიპტის მეფის ვასალს [136].

რეფორმები განახორციელა – კერძოდ ტომობრივი დაყოფა შეცვალა ადმინისტრაციული დაყოფით და ქვეყანა თორმეტ ოლქად დაყო, რომელთა საზღვრები არ ემთხვეოდა ტომობრივი დაყოფის საზღვრებს. ეს ხელს უწყობდა ისრაელის, როგორც ერთი მთლიანი ეთნიკური ერთეულის საბოლოოდ ჩამოყალიბებას. ქვეყანა ეკონომიკურად სწრაფად დაწინაურდა. ხელოსნობამ, მეცხოველეობამ, მიწათმოქმედებამ არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. ისრაელზე გადიოდა საქარავნო გზები ეგვიპტიდან შუამდინარეთისა და სირიისაკენ. ისრაელზე გავლით ხორციელდებოდა ფინიკიელთა ვაჭრობაც შუამდინარეთთან, რაც ქვეყანას უზარმაზარ შემოსავალს აძლევდა. მშვიდობიანი ურთიერთობა ეგვიპტესთან [151, 402-403], ფინიკიასთან [179, 24] საშუალებას აძლევდა ისრაელს ეკონომიკურად აყვავებულიყო. ეწყობოდა საერთო სავაჭრო ექსპედიციები „ოქროს ქვეყანაში“ – ოფირში, საიდანაც დაახლოებით სამი წლის შემდეგ ჩამოჰქონდათ ოქრო და ძვირფასი საკონელი [124, 298]. სოლომონი დიდ ყურადღებას იჩენდა იერუსალიმის მიმართ. ქალაქი დამშვენდა მრავალი შესანიშნავი ნაგებობებით. განსაკუთრებული სილამაზით და გრანდიოზულობით იაპკეს ტაძარი და მეფის სასახლე გამოირჩეოდა [135, 27-29]. მიუხედავად ისრაელის სამეფოს გარეგანი ბრწყინვალეობისა, იგი არ წარმოადგენდა მტკიცე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთიანობას. შედარებით უფრო შემოსავლიანი ჩრდილოეთის მხარე ისრაელი, მეტი გადასახადებით იყო დაბეგრული, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ უთანხმოება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა. სოლომონის ძე რობოამი მხოლოდ იუდასა და ბენიამინის ტომებმა ცნეს მეფედ. ჩრდილოეთის ტომებმა მძიმე გადასახადებისაგან განთავისუფლება მოითხოვეს. მეფისაგან უარის მიღების შემდეგ, ისარგებლა სოლომონის დროს ამბოხებულმა მსხვილმა მოხელემ იორობეამმა, რომელიც ეგვიპტეში იყო გახიზნული. ეგვიპტის ფარაონმა შეშონკმა (ძვ. წ. 941-920 წწ), დაინტერესებულმა ისრაელის სამეფოს დასუსტებით, სამხედრო დახმარება აღმოუჩინა იორობეამს და იუდეას შეესია, აიღო იერუსალიმი და გაძარცვა. ქვეყანა ფაქტიურად ორ ნაწილად გაიყო – ჩრდილოეთით ისრაელის სამეფო და სამხრეთით იუდეის სამეფოდ. ამის შემდეგ იწყება ურთიერთშორის ბრძოლების, გარეშე მტერთა თვითნებობისა და ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დაკნინების ხანა. ძვ. წ. VIII ს. II ნახ-ში წინა აზიაში განსაკუთრებით გაძლიერდა ასურეთის სამეფო,

რომლის მეფე ტიგლათფილესერ III-მ (ძვ. წ. 745-727 წწ) გაილაშქრა ისრაელის წინააღმდეგ და მას მნიშვნელოვანი ტერიტორიები ჩამოაჭრა, დანარჩენ ნაწილში კი მძიმე გადასახადები დააკისრა. მისი გარდაცვალების შემდეგ სირიასა და პალესტინაში დაიწყო განმათავისუფლებელი აჯანყება ასურეთის წინააღმდეგ. აჯანყებულები იძულებდნენ, რომ მათ ეგვიპტე აღმოუჩინდა დახმარებას, მაგრამ ეგვიპტემ თვითონ განიცადა ნუბიელთა თავდასხმა და მას სირია-პალესტინის დასახმარებლად ძალა აღარ შესწევდა. აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო ასურეთის მეფე სალამანსარ V (ძვ.წ. 727-722 წწ). მას შემდეგ, რაც იგი შეთქმულებმა მოკლეს, ასურეთის ტახტზე ავიდა სარგონ II (ძვ. წ. 722-705 წწ), რომელმაც გამეფებისთანავე დალაშქრა ისრაელი. აიღო მისი დედაქალაქი სამარია და 24 ათასზე მეტი ებრაელი გადაასხლა ასურეთის სხვადასხვა მხარეში. ისრაელში ჩასახლდნენ ბაბილონელები, სირიელები, არაბები და სხვა. ისრაელის გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილმა იუდეას შეაფარა თავი. ადვილი შესაძლებელია, მოსახლეობის ნაწილმა შეძლო სხვა ქვეყნებში გახიზვნაც, მათ შორის ამიერკავკასიის ქვეყნებშიც.

იუდეას სამეფო შედარებით მოძლიერდა, როცა ძვ. წ. VII ასურეთის სამეფო დასუსტდა, იუდეის მეფე იოსიამ (ძვ. წ. 640-608 წწ.) მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა იუდეის ეკონომიკურ თუ რელიგიურ ცხოვრებაში. მის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა იაჰვეს ერთიანი, ცენტრალიზებული კულტი იერუსალიმის ტაძრით. ამასობაში იუდეა ეგვიპტის ფარაონმა ნეხომ (ძვ. 611-595 წ.წ) დაიმორჩილა და იოსია სიკვდილით დასაჯა, მაგრამ ეგვიპტის ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ისტორიის ასპარეზზე გამოდის ახალბაბილონის სამეფო, რომლის ქალღეურმა დინასტიამ მიზნად დაისახა აღმოსავლეთში გაბატონება და ენერგიული მოქმედება დაიწყო ასურეთის წინააღმდეგ. მისი დამარცხების შემდეგ მეფე ნაბუფალასარმა სირია-ფინიკია-იუდეისკენ მიმართა მახვილი, მაგრამ ძვ. წ. 604 წელს გარდაიცვალა.

ახალბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II (ძვ. წ. 604-562 წწ) ძველი სამყაროს ერთ-ერთ ნიჭიერ მხედართმთავრად ითვლება. მან დაამარცხა ეგვიპტის ფარაონი ნეხო და 597 წ. გაილაშქრა იერუსალიმზე. საბაბად მან გამოიყენა იუდეის მეფის იოაკიმის ეგვიპტესთან შესაძლო მოკავშირეობა და უარი ხარკის გადახდაზე. სამი თვის ალყის შემდეგ აიღო იერუსალიმი, მეფე ოჯახითა და დიდებულებით ბაბილონში

გადასახლა, იერუსალიმის ტაძარი გაძარცვა. იუდეის სამეფო ტახტზე დასვა სელეკია, რომელიც კვლავ ეგვიპტეზე ამყარებდა იმედს. ძვ. წ. 588 წ. ეგვიპტის ფარაონმა აპრიამ (ძვ. წ. 588-569 წწ) სიღონი აიღო. მას მიემხრო იუდეის მეფე სელეკიაც. ამით განრისხებული ნაბუქოდონოსორი 587 წ. კვლავ გარემოაღვა იერუსალიმს. დამარცხებულმა ეგვიპტელთა ჯარმა უკან დაიხია. იუდეა მოკავშირის გარეშე დარჩა. ბაბილონელებმა აიღეს იერუსალიმი და მიწასთან გაასწორეს. ათასობით იუდეველი გადასახლეს ბაბილონში, განსაკუთრებით ხელოსნები. იუდეველთა მიწებს უცხოტომელი კოლონისტები დაეპატრონნენ.

ებრაელთა საზოგადოებრივი მდგომარეობა უძველესი დროიდან

ებრაელთა ისტორიის საწყის ეტაპზე ებრაულ სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა მუხლებისაგან შემდგარი თემი. ბიბლიური იაკობის შვილების სახელების მიხედვით, მთელი ტომი იყოფოდა თორმეტ მუხლად, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფოდნენ 70 გვარად – ეგვიპტეში მოსული პატრიარქის შთამომავლების მიხედვით (შესაქმე 35, 23-27, 46, 8-27). მოგვიანებით მუხლს გამოეყო დამოუკიდებელი გვარები, რომელთა მეთაურები წარმოადგენდნენ გვარის ხელმძღვანელს, სამხედრო მეთაურს და მოსამართლეს (გამოსვლა 3, 16-18, 6, 14, 25; შესაქმე 38, 24). ტომის ორგანიზაცია განსაკუთრებით განმტკიცდა პალესტინაში დამკვიდრების დროს. თემში მასწავლებლებსა და ექიმებს წარმოადგენდნენ ღვთისმსახურები. გვარის წარმომადგენლები და მუხლების მეთაურები წარმოადგენდნენ სახალხო კრების წევრებს. კრება უფლებამოსილი იყო ეზრუნა ტომის საერთო ორგანიზაციის წესრიგზე. საკანონმდებლო საბჭო 70 წარმომადგენლისგან შედგებოდა, რომელსაც პალესტინაში მოსვლამდე სათავეში მოსე ედგა (რიცხვთა 11, 16-17; 11, 24-27; გამოსვლა 24, 1, 9).

პალესტინაში დამკვიდრების შემდეგ თემის ორგანიზაცია ფაქტიურად არ შეცვლილა: თითოეულ გვარს მართავდა უხუცესი. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში მათი რაოდენობა სხვადასხვა იყო. პატრიარქის, როგორც გვარის მეთაურის ადგილს თანდათან იკაებებს თემის მეთაური, რომელიც წარმოადგენს საქალაქო ხელისუფლების ხელმძღვანელს. ზოგიერთ ადგილას მას უკვე მეფეს უწოდებენ. მათ მთავარ მოვალეობას შეადგენს სამხედრო საქმეების მოწესრიგება,

მოსახლეობის თავდაცვის ორგანიზება ... თითოეული მუხლისაგან ირჩეოდა საეკიალური წარმომადგენელი. ამ დელეგაციის სათავეში ლეთისმსახური იდგა [144, 926-934]. ოჯახის მეთაურს წარმოადგენდა პატრიარქი, რომლის ავტორიტეტი აბსოლუტური იყო. დასჯის უფლებას და ფორმას განსაზღვრავდნენ გვარის უზუცესები. დასჯის უმაღლესი ზომა იყო სიკვდილით დასჯა და გვარიდან განკვეთა, რაც, ასევე, სიკვდილით დასჯის ტოლფასი იყო.

გვარის მეთაურს მეტ წილად ჰყავდა ერთი კანონიერი ცოლი (თუ არ ჩავთვლით ხარკებს). ზოგჯერ ხდებოდა, რომ პატრიარქს ორი კანონიერი ცოლიც ჰყავდა. ნამდვილ ძმებად ითვლებოდნენ მხოლოდ ერთი დედის გაჩენილი შვილები (შესაქმე XLIII 29-30). მხეველთაგან გაჩენილი შვილები უფლებრივად არ იყვნენ კანონიერ ცოლებისაგან გაჩენილი შვილების თანასწორნი, მაგრამ ოჯახის სრულუფლებიან წევრებს წარმოადგენდნენ. მამა ყოველთვის თვითონ ანაწილებდა მემკვიდრეობას შვილებს შორის. მამის დალოცვა მაშინაც კი წმინდათა წმინდა იყო, თუ ის შეცდომით შეხვდებოდა სხვა შვილს (შესაქმე XLIII). ოჯახში უკანონო შვილები არ არსებობდა. მოღალატე ცოლს აგდებდნენ ცეცხლში ან ქოლავდნენ (შესაქმე XXXVIII 25). ქმრის სიკვდილის შემდეგ ქვრივი უნდა გამხდარიყო მამლის ან ოჯახის სხვა წევრის ცოლი. ამ წესის დარღვევა დიდ დანაშაულად ითვლებოდა. მონა მამაკაცებს თავდაპირველად დიდი ფიზიკური დატვირთვა არ ჰქონდათ და ძირითადად მწყემსებად იყვნენ განმწესებული. მოგვიანებით, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ გაიზარდა, როგორც მონების რაოდენობა, მოპოვების გზები და მათი ფიზიკური დატვირთვაც. ის გრანდიოზული მშენებლობანი, რომლებსაც დავითი და სოლომონი ახორციელებდნენ, მოითხოვდა მრავალრიცხოვან სამუშაო ძალას. მკვიდრ ცხოვრებაზე გადასვლის შემდეგ ებრაულმა ტომებმა დაიწყეს მიწის დამუშავება, მევენახეობა... ჰყავდათ ხარები, ცხვრები, თხები, აქლემები...

ძვ.წ. IX ს-მდე ებრაელთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები უაღრესად ბუნდოვანია და ძირითადად შემოიფარგლება გვარების, მესაქონლეობის მფარველი კულტებით, სხვადასხვა აკრძალვებით [173, 338-341]. ებრაელების რწმენა-წარმოდგენებში დღესაც დიდი ადგილი უკავია მამაკაცების წინადაცვეთას. ბიბლია ამ ტრადიციის დანერგვას აბრაამს მიაწერს (შესაქმე 17, 10-12) და უფალთან დადებული აღქმის

ერთ-ერთ გამოვლენად მიიჩნევს.* მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ ჩვეულების სათავეები შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ როცა მამაკაცად გახდომის სიმბოლოდ ტარდებოდა ინიციაციის რიტუალი [173, 341-342].

შორეულ წარსულში, კერძოდ პალესტინაში დამკვიდრებამდე უნდა ვეძებოთ ებრაელთა მთავარი ღვთაების – იაჰვეს თაყვანისცემის ფესვები, რამაც მალე გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა ებრაელთა რელიგიაში – იგი გახდა ერთადერთი ღვთაება და „ყველა მოვლენა, რომელიც აღელვებდა ადამიანის გონებას... მიეწერებოდა ერთი არსების ნებას“** [156, 31].

იუდაისტური რელიგია, ეს არის მონოთეიზმი მითოლოგიის გარეშე [156, 31]. მთავარი ღვთაების სახელი ბიბლიაში მრავალჯერაა დადასტურებული (გამოსვლა 2, 15-22; 3, 1-4).***

ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ, ბუნებრივია, მოითხოვა თავისი იდეოლოგიური დასაყრდენი, რასაც ხელი შეუწყვეს ისრაელის პირველმა მეფეებმა, საულმა, განსაკუთრებით კი დავითმა და სოლომონმა. ამიერიდან ებრაელთა სულიერი ერთობის სიმბოლო გახდა და იერუსალიმის ტაძარი. თანდათან დაიხვეწა და შეივსო რელიგიური დოგმატის – ბიბლიის ნაწილები. მეცნიერთა ვარაუდით, ბიბლიის ბევრი სიუჟეტისათვის ძვირფას მასალას წარმოადგენდა საკმაოდ მდიდარი შუამდინარული მითოლოგია, რომელ კულტურულ არეალთანაც

* პეროდოტე მიუთითებს, რომ წინადაცვეთა ეგვიპტელების, კოლხებისა და ეთიოპიელების ჩვეულებას წარმოადგენს [126, 156]. „ხოლო ფინიკიელებმა და იმ სირიელებმა, რომლებიც პალესტინაში არიან... ეგვიპტელთაგან ისწავლეს“ [126, 156]. იოსებ ფლავიუსი მოგვითხრობს, რომ პეროდოტე იცნობდა ებრაელებს (პეროდოტე ისრაელის ხალხს პირდაპირი სახელწოდებით არ აღნიშნავს) და მოაქვს ცნობა კოლხების წინადაცვეთის შესახებ. იოსებ ფლავიუსი აღნიშნავს, რომ პალესტინაში მცხოვრებ ხალხთაგან მხოლოდ ებრაელები მისდევენ წინადაცვეთას. ამდენად, პეროდოტე სირიელებში გულისხმობს ებრაელებს. ამასთან დაკავშირებით, ჟენკელს მიაჩნია, რომ პეროდოტემ ეგვიპტეში ყოფნისას შეიტყო, რომ პალესტინაში ცხოვრობდა სირიელების მონათესავე (ე.ი. სემიტთა) ხალხი, რომლებმაც წინადაცვეთის რიტუალი გადაიღეს ეგვიპტელთაგან. პეროდოტე რომ თვითონ ყოფილიყო იუდაში, შეცდომით არ მიაწერდა წინადაცვეთის ჩვევას ფინიკიელებს, რომლებსაც ეს წესი არასოდეს ჰქონიათ [179, 40].

** რენანის აზრით, ებრაელთა რელიგიამ თავისებური ზემოქმედება განიცადა ეგვიპტური პანთეონისაგან, რადგან ეს უკანასკნელი ითვლიდა არსებობის ათასწლეულს.

*** თავდაპირველად ებრაელთა ღვთაების სახელის წარმოთქმის უფლება ჰქონდა მხოლოდ მთავარ ქურუმს და ისიც წელიწადში ერთხელ საკურთხეველში.

ებრაული სამყარო საკმაოდ მტკიცედ იყო დაკავშირებული. სწორედ შუამდინარულ კოსმოგონია გახდა ამოსავალი აღმოსავლეთის მიერ დამკვიდრებული დოქტრინისა [33, 107].

როგორც ებრაულმა საზოგადოებრივ-სოციალურმა კლასიფიკაციამ, ისე ებრაულმა რელიგიურმა დოქტრინამ საუკუნეებს გაუძლო. მასზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა ელინიზმმა, რომაული სამყაროს და ფეოდალური ურთიერთობების სიმკაცრემ. უფრო მეტიც, ებრაული რელიგიის წიაღში აღმოცენდა ორი მსოფლიო რელიგია: – ქრისტიანობა (I ს) და ისლამი (VII ს).

თ ა ვ ი I I

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი მ ბ რ ა ე ლ თ ა მ ო ს ვ ლ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს

ქართული ნარატიული წყაროები საქართველოში ებრაელთა მოსვლის რამდენიმე შემთხვევას აფიქსირებენ. ამჟამად ებრაელთა საქართველოში დამკვიდრების თარიღად თითქმის უყოყმანოდაა მიჩნეული ძვ. წ. VI საუკუნე.

„ქართლის ცხოვრება“ ებრაელთა საქართველოში მოსვლას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „და გამოხდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი, მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქვან ზანავი. და რომელი ქუეყანა „აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქვან ხერკ ხარკისა მისთვის“ [86, 15-16].

როგორც აღვნიშნეთ, დავითისა და სოლომონის მიერ შექმნილი ებრაელთა სამეფო ძვ.წ. X ს. II ნახ.-ში ორ ნაწილად გაიყო — ჩრდილოეთით ისრაელის, სამხრეთით — იუდეას სამეფო. ისრაელის სამეფო ასურეთის მეფემ სარგონ II-მ გაანადგურა, ხოლო იუდეას სამეფომ ახალბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის ორგზისი გალაშქრების შემდეგ არსებობა შეწყვიტა. ბუნებრივია, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გადაურჩა ტყვეობას და მიმოიფანტა. სავარაუდოა, რომ მათი ერთი ნაწილი გამოემართა ქართლისაკენ.

ებრაელთა საქართველოში მოსვლა ქართულ ისტორიულ ტრადიციაში იმდენად საყურადღებო ყოფილა, რომ იგი აღნიშნულია უძველეს ქართულ მატრიანეში — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში. უნდა აღვნიშნოთ, რომ „მოქცევაჲ“ ჰაგიოგრაფიული ძეგლია და ავტორის მიზანს წარმოადგენს საქართველოს გაქრისტიანების პროცესის ჩვენება. ქრისტიანობამდელი პერიოდის გადმოცემა მას მხოლოდ თავისი შრომისათვის ისტორიული ფონის შესაქმნელად ესაჭიროება. მიუხედავად ამისა, წყარო პირველსავე ინფორმაციად სწორედ პურიათა ქართლში მოსვლას გვამცნობს:

„...მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანად ხარკითა. და დასხდეს იგინი ზანავს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, პრქეან მას ხერკი“ [125, 81]. ე. თაყაიშვილი წერს: „ქართლის მოქცევის ხრონიკა იხსენიებს „ჰონნებს“, როგორც ხალხს საქართველოში მოსულს და ზანავს დასახლებულს. ქართლის ცხოვრება ჰონნების მაგიერ უჩვენებს ურიებს. ჩვენის აზრით აქ გადამწერის შეცდომა არის. დედანში ეს სიტყვა ასე უნდა წერებულყო: „ჰონი“, რომელშიაც იგულისხმება „ჰურიანი“.. „ო“ რომ „უ“-ს მაგიერ იხმარება ძველ მანუსკრიპტებში, ამისი მაგალითი ბევრია... საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ „ჰონნი“ შეცდომით არის ნახმარი ჰურიების მაგიერ... რადგან იმ დროს, ესე იგი ალექსანდრე მაკედონელის დროს (IV ს. ქრ. წინ) ჰუნების ჭაჭანი არსად ყოფილა“ [63, CI-CII]. ამ თვალსაზრისს ს. ჯანაშიაც იზიარებს. მისი აზრით „მოქცევამ“ ავტორმა „ჰონნი“ „ჰურიანის“ ნაცვლად იხმარა, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ ავტორმა ეს შეცდომა გაასწორა და „ჰურიანი“ აღადგინა [103, 137-138].

„ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი“, რომელიც შესრულებულია ქრონოლოგიურად უფრო ძველ ხელნაწერიდან, ამ მოვლენის შესახებ აღნიშნავს: „...მოვიდნენ ურიებიც, თავდახწეულნი ნაბუქოდონოსორისაგან, რომელსაც წაეტყვენა იერუსალიმი. სთხოვეს მცხეთის მამასახლისს ხარკით ადგილი. მისცა მათ მდინარე არაგვზე წყაროსთან, რომელსაც ეწოდება ზანავი, ეხლა კი მას ხერკი ჰქვია ხარკისა გამო“ [88, 22].

ებრაელთა იგივე ნაკადის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „შემდგომად კუალად მოვიდნენ ლტოლვილნი ურიანი ნაბუქოდონოსორისაგან დასაბამით ძლ (3030) და დასხნა იგინიცა მცხეთელ მამასახლისმან ხერკს, არაგვს ჩრდილოდ კერძოდ“ [87, 53].

ამდენად, როგორც საისტორიო წყაროები გადმოგვცემენ, ზანავში (ხერკში) სწორედ ებრაელები (ჰურიები) დაუსახლებიათ და „მოქცევაში“ მოხსენიებულნი „ჰონნი“ ამკარა ანაქრონიზმია. ამის შესახებ გ. ბოლქვაძე მიუთითებს, რომ „...მოქცევამ ქართლისაჲ“-ს შინაარსის,

* ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანის უძველესი ნუსხა XIII ს-ის მიწურულისა და იგი წინ უსწრებს „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ქართულად ნუსხას, XV ს. ე.წ. ანა დედოფლისეულს. ი. აბულაძის გამოკვლევით სომხური ტექსტი თარგმნილია უფრო ძველი ქართული ნუსხიდან დაახლოებით XII ს-ის მორე ნახევარში [88, 020].

კომპოზიციური სტრუქტურის, თხრობის სტილის თავისებურებების, ინფორმაციული ღონის და ასევე, მისი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობის გათვალისწინებით უსაფუძვლო იქნება ვიფიქროთ, რომ მასში ბიბლიური ლოთის მოხსენიება მხოლოდ შემთხვევით ხასიათს ატარებდა“ და რომ „...ლოთის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მოხსენიება, ...ფიქრობთ, ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ძირითად იდეასთან – ქართლის გაქრისტიანების (მოქცევის) ისტორიასთან და კერძოდ, ამ ისტორიაში, ქართლში მოსახლე „პურების“ იმ ღვაწლთან, რომელიც მათ ქრისტიანობის გავრცელებაში მიუძღვით“ [13, 42-43]. მკვლევარი მიუთითებს, რომ მოქცევაჲში მოთხრობილი „ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი“ და „ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი“ ერთი და იგივე ხალხია და ისინი ქართლის ტერიტორიაზე დასახლდნენ; „თხზულებაში მოხსენიებული „ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი“ იგივე „ქალდეველთაგან გადმოსხმულნი ჰონნი“ არიან და ორსავე შემთხვევაში საუბარი შეეხება ერთი გარკვეული (სემიტური წარმომავლობის) ეთნიკური ელემენტის ქართლში მოსვლა-დასახლებას“ [13, 42]. უნდა შევნიშნოთ, რომ წყარო, საიდანაც „მოქცევაჲ“-ს ავტორს უსარგებლია, მეტად სანდო ყოფილა, რადგან, როგორც ვიცით, ნაბუქოდონოსორი სწორედ ბაბილონის ქალდეური დინატიის წარმომადგენელი იყო (თუშტა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული საისტორიო ტრადიცია, ქალდეველებში ხშირად სპარსელებსაც გულისხმობს). ქალდეველები, სემიტური ტომები, ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს მოვიდნენ არაბეთიდან, სპარსეთის ყურის ნაპირას. ქალდეური დინასტია ცხრა ათეული წელი მართავდა ბაბილონს და სწორედ მათი მმართველობისას მოხდა იერუსალიმის (იუდეას სამეფოს) ტრაგედია. ქალდეველთაგან მხოლოდ პურიანი შეიძლება იყოს ყოფილიყვნენ გამოსხმულნი და არამც და არამც ჰონნი. ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს ტექსტში „ბუნ-თურქთა მეუფის“ მოხსენიებაც. იგი ან სპეციალურად არის ჩართული, როგორც საწარმართოს მეთაური ან შეცდომაა დაშვებული, რადგან ისტორიული ქრონიკები ამ პერიოდის ქართლში და კერძოდ მცხეთაში, მმართველობის მამასახლისის ინსტიტუტს აღიარებენ.

შემატიანის ცნობით, მცხეთა ამ დროისათვის ქართლის მთავარ ქალაქს წარმოადგენდა: „...განდიდებული იყო უმეტეს ყოველთასა და უწოდდეს დედაქალაქად“ [86, 11], მცხეთის გამგებელი კი უპირველესი იყო ქართლის სხვა გამგებელთა შორის: „ხოლო ვინცა იყვის მცხეთას,

რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა. და არცა სახელ ეღებოდათ მეფედ. არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, და იგი იყვის მაზავებელი და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა“ [86, 11]. ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილი ებრაელების ნაწილი დასახლდა ქართლში და საფუძველი ჩაუყარა ისეთ უნიკალურ მოვლენას, როგორსაც დღეს ტერმინი „ქართველი ებრაელი“ გულისხმობს.

პირველი ნაშრომი ქართულ ენაზე ქართველი ებრაელების შესახებ ეკუთვნის ზ. ჭიჭინაძეს. იგი საქართველოში ებრაელთა გადმოსახლების ოთხ ძირითად ეტაპს აღნიშნავს.

„I. ძვ.წ. V ს. ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღების შედეგად ებრაელთა პირველი ჩამოსახლება;

II. ძვ.წ. II ს. ქართლის მოქცევის ქრონიკის მიხედვით – 169 წ;

III. ძვ.წ. 70-60-იანი წლები, რომის მიერ იუდეას დაპყრობას მოჰყვა ებრაელთა აჯანყება, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი.

IV. ახ.წ. I ს. რომაელთა წინააღმდეგ ებრაელთა აჯანყება, რომელიც ჩაახშო ვესპასიანემ და მისმა შვილმა“ [95, 4]. ზ. ჭიჭინაძის აზრით, ებრაელთა პირველი ნაკადი ქართლში სწორედ ძვ. წ. VI ს-ში მოსულა, ისინი მამასახლისურ წესებს (ქართლის ადმინისტრაციულ წყობას – დ. ჩ.) კარგად შეუთვისნენ და „საქართველოში ისე იყო მათი რიცხვი გამრავლებული, მთელს კავკასიის ერთ შორის ებრაელნი მარტოდ საქართველოში მოვიდნენ, აქ დასახლდნენ. სხვადასხვა აღმოსავლეთის ქვეყნებში საქართველოდამ გადასახლდნენ და დასახლდნენ“ [95, 6].

ებრაელთა ქართლში მოსვლა აღნიშნული აქვს კირიონ სამაგლიშვილსაც. მისი აზრით პალესტინასა და იბერიას შორის რელიგიურ-პოლიტიკური კავშირის მესამიკვლენი ის ქართველი ებრაელები იყვნენ „...რომელნიც ასურეთისა და ბაბილონის მეფეებმა დაატყვევეს და გაფანტეს კლასიკური იბერიის სხვადასხვა პროვინციაში“. კ. სამაგლიშვილი თვლის, რომ არამარტო იმ ებრაელობის ნაწილი მოვიდა ქართლში, რომელიც ძვ. წ. VI ს-ში ნაბუქოდონოსორმა დაარბია, არამედ უფრო ადრე ძვ. წ. VIII ს-ში ასურეთის მეფის სარგონ II-ის მიერ დაპყრობილი იერუსალიმიდან ლტოლვილი ებრაელობის ნაწილიც [73, 5].

გ. მელიქიშვილი უარყოფს ტრადიციულ მიდგომას საქართველოში ებრაელთა მოსვლის თარიღის შესახებ და თვითონ გვთავაზობს კონკრეტულ თარიღს – ძვ. წ. 169 წელს. იგი სპეციალურად მიუთითებს, რომ მხედველობაში არ იღებს „ქართლის ცხოვრების“ ლეგენდარულ

ცნობას მცხეთაში ებრაელთა მოსვლის შესახებ ნაბუქოდონოსორის დროს (ძვ. წ. VI ს.)“ [44, 452] და ეყრდნობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს, სადაც ვასპურაკანის მთავარი მცხეთელ ებრაელ აბიათართან საუბრისას აღნიშნავს, რომ ფგ(503) წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენი მამები (ე.ი. წინაპრები) მოვიდნენო აქ (ე.ი. ქართლში)“ [44, 452-453]. შემდეგ აბიათარი ამბობს, რომ 334 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ღმერთი აღარ მფარველობს ისრაელს, ბუნებრივია, იგულისხმება ქრისტეს მოკვდინება ებრაელთა მიერ. გ. მელიქიშვილს გამოჰყავს თარიღი 169 (503-334=169) და ამ თარიღსვე მიიჩნევს პირველი ებრაული კოლონიის დაარსების თარიღად: „მცხეთაში ებრაული კოლონიის გაჩენას ქართული საისტორიო ტრადიცია სწორედ ელინისტურ ხანას აკუთვნებს“ [44, 452-453].

გ. მელიქიშვილის მოსაზრებას ეთანხმება ი. დავიდი, თუმცა მან გვერდი ვერ აუარა ტრადიციულ მიდგომას ებრაელთა საქართველოში მოსვლის თარიღის შესახებ და აღნიშნა: ებრაელთა ისტორიის პირველი პერიოდი (კავკასიაში) მოიცავს უძველეს ხანას, ე.ი. ებრაელთა მოსვლას კავკასიაში, კერძოდ საქართველოსა და სომხეთში (V ს. ძვ.წ.) III საუკუნემდე ჩვ.წ. (დასახლებულ პუნქტ-მცხეთის გაერთიანებული აღმოსავლეთ ქართული სამეფოს დედაქალაქად გადაქცევისა და ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ეპოქა), აგრეთვე მიდიისა და ატროპატენის ქალაქების ებრაელებით დასახლება [155, 26].

ი. დავიდი თვლის, რომ ძვ.წ. V საუკუნეზე ადრე საქართველოში ებრაელთა ნაკადი არ შემოსულა და აღნიშნავს: „...ქართული საისტორიო ტრადიცია არ იხსენიებს ძვ. წ. მე-8 საუკუნეში ისრაელური ტომების წარმოტყვევნას პალესტინიდან (შომრონიდან). სავარაუდოა, ებრაელთა ამ ადრეულ მიგრაციას არ ჰქონია გამოძახილი... და ამდენად, ამ მიგრაციულ ტალღებს არ უნდა შეეღწიათ ასურეთის სამეფოს ჩრდილოეთის იქითა პუნქტებში“ [54, 230].

ქართველი ებრაელების შესახებ წერს ი. პაპიაშვილი, რომელსაც ნაშრომში „ქართველ ებრაელთა წარმომავლობის და ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის საკითხისათვის“ ებრაელები, კერძოდ, „პურიანი ქართველნი“ წარმოდგენილი ჰყავს ქართველურ ტომად და მათი პალესტინიდან ქართლში მოსვლა პროტოსამშობლოში მათ დაბრუნებასთანაა გაიგივებული: „ისრაელისა და ურარტუს დაცემად

გააქტიურა მხოლოდ ქართველური წარმოშობის ტომები, კერძოდ შესაძლებელი გახდა ურიათა (ძველი ქართველური შტო) დაბრუნება პროტოსამშობლოში“ [57, 185]. იგი თვლის, რომ ურიები (ებრაელები) ქართლში 597 წელს მოვიდნენ და ქართლოსიანების მიერ მათი მიღება შეიძლება შეკადართ ახლობელის მიერ ნათესავის მიღებას „ასე შეიძლება მოექცნენ მხოლოდ ძმას, ანდა ძალიან ახლობელ ნათესავს, რაც იმაზე მიაჩნებოდა, რომ მცხეთას მოსული ლტოლვილები ქართლოსიანებისათვის მონათესავე ხალხს წარმოადგენდა“ [57, 190].

ებრაელთა საქართველოში დამკვიდრების ტრადიციულ თარიღს (ძვ. წ. VI ს.) ეთანხმება კ. წერეთელიც: „ებრაელთა საქართველოში დასახლების შესახებ საინტერესო ცნობებს... გვაწვდიან ქართული ქრონიკები, რომლებიც, მართალია, ბევრად გვიანდელია, ვიდრე მათში მითითებული დრო ებრაელთა საქართველოში შემოსახლებისა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეს ცნობები ზეპირ (ან. ამჟამად დაკარგულ წერილობით) ტრადიციებს ემყარება“ [118, 261]. მკვლევარი დასაშვებად მიიჩნევს, რომ ვინაიდან ამავე ხანებში (იგულისხმება ძვ. წ. VI ს.) ებრაელთა გარკვეული რაოდენობა მთელს ქვეყანაზე მიმოიფანტა, შესაძლებელია, რომ ემიგრანტთა გარკვეული რაოდენობა იბერიაშიც შემოსულიყო [118, 261]. „პირდაპირი ცნობები, სამწუხაროდ ებრაელთა საქართველოში შემოსახლების შესახებ სხვა წყაროებში (მათ შორის არაქართულ წყაროებში) შემონახული არ არის... ებრაელთა საქართველოში დამკვიდრების დასაწყისად (თუნდაც მცირე ჯგუფებად) უნდა პირობით ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ იურუსალიმის დანგრევის დრო, ე.ი. 588 წელი ვივარაუდოთ“ [118, 261]. კ. წერეთელი ებრაელთა შემოსვლის კიდევ ორ ტალღას აღნიშნავს: ძვ. წ. II ს-ში და ახ. წ. 70 წ. [118, 261].

მ. ქურდიანი ებრაელთა საქართველოში მოსვლის სამ ტალღას გამოპყოფს: 1) ძვ. წ. VI ს; 2) ახალი წ. I ს. 70-იანი წლები; 3) ახ. წ. XIX ს. დასაწყისში. მას მოყვანილი აქვს რამდენიმე ფაქტი პირველი ტალღის საქართველოში მოსვლის სასარგებლოდ. პირველი არგუმენტი ეყრდნობა ენობრივ მასალას, ხოლო მეორე კი ებრაელების მიერ მცხეთის მამასახლისისაგან მიწის შესყიდვის ფაქტზეა დაფუძნებული. მ. ქურდიანი პარალელს ავლებს აბრაამის მიერ ხეთელებისაგან მიწის ყიდვასა და მცხეთას მოსული ებრაელების მიერ მამასახლისისაგან მიწის მიღების ფაქტს შორის და წერს: „ებრაელები ითხოვენ სამოსახლოს საფასით

(ხარკით) (?), ანუ მოითხოვენ არა უსასყიდლოდ, არამედ ყიდულობენ მას ფულით, რაც შემთხვევითი სულაც არ არის და ეყრდნობა აბრაამიდან მომდინარე ტრადიციას, რომელიც ბიბლიაშია დაფიქსირებული“ [97, 188] და მოჰყავს მაგალითი (დაბ. 23; 33, 18-19). უნდა შევნიშნოთ, რომ ებრაელებისათვის მიწის ყიდვა, როგორც მხოლოდ კერძო საკუთრების ფორმა, არ უნდა ყოფილიყო სახარბიელო. მიწის ყიდვა მათ სხვაგანაც შეეძლოთ (სამშობლოსთან უფრო ახლოს – მათ ხომ დიდი ტერიტორია გამოიარეს). ებრაელებს სურდათ დაეფიქსირებინათ თავიანთი სამართლებრივი მდგომარეობა ახალ სამშობლოში, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებს. სწორედ ამიტომ უწოდეს თავიანთი სამოსახლოს ხერკი (ხარკი = ხარჯი სამეუფეო (სამეფო, სახელმწიფო გადასახადი) (ამაზე ქვემოთ). მხოლოდ მიწის კერძო საკუთრებაში შეძენით ეს უფლება არ იქნებოდა გარანტირებული (ამის მაგალითი ებრაელების ისტორიაში მრავლად არის). უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემას ებრაელებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი – მათ არა მარტო მოქალაქის უფლებები მოიპოვეს, არამედ სახელწოდებაც უფრო ტოლერანტული დაიმკვიდრეს – ჰურიანი ქართველნი.

ქართველი ებრაელების შესახებ ფუნდამენტური ნაშრომი ეკუთვნის ე. მამისთვალიშვილს, რომელმაც გადმოსცა ქართველ ებრაელთა თავგადასავალი მათი საქართველოში მოსვლის დღიდან XIX ს-ის შუახანებამდე. ე. მამისთვალიშვილმა ყურადღება მიაქცია ორ გარემოებას: ჯერ ერთი, მან, განიხილა რა გ. მელიქიშვილის მოსაზრება დასაშვებად მიიჩნია, რომ საუბარი იყო აბიათარ მღვდლის უშუალო წინაპრების და არა ზოგადად ებრაელების მოსვლაზე საქართველოში. ამას ადასტურებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ამ მონაკვეთის უფრო ღრმად დაკვირვებაც. ვასპურაკანის მთავარი ეუბნება აბიათარს: „...შენ არა ჰურიათა მღვდელი იყავ წილით ხუედრებული მკჯდრი“ [125, 102]. ლეთის რისხვას აბიათარი უკავშირებს ქრისტეს მოწამებრივ სიკვდილს, ამიტომ „334 წელს უნდა დაემატოს ქრისტეს ამქვეყნად ცხოვრების 33 წ. გამოდის, რომ აბიათარისა და ვასპურაკანის მთავრის საუბარი შედგა ახ. წ. IV ს-ის 60-იან წლებში, ზუსტად კი 367 წ. ამგვარად, ძვ. წ. 169 წლის ნაცვლად მივიღებთ 136 წ. (503-367=136)“ [93, 22].

ე. მამისთვალიშვილი თავის ნაშრომში იზიარებს ტრადიციულ შეხედულებას საქართველოში ებრაელთა შემოსვლის თარიღზე (ძვ.წ. VI ს.) და გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას ებრაელთა უფრო ძველი

ნაკადის, კერძოდ, ძვ. წ. VIII ს-ში საქართველოში მოსვლის შესახებ. იგი ეხება ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას: „შემდგომად კუალად მოვიდნენ ლტოლვილნი ურიანი... და დასხნა იგინიცა მცხეთელ მამასახლისმან ხერკს არაგვს“, ე. მამისთვალიშვილმა ყურადღება მიაქცია ტექსტში მოტანილ სიტყვას „კუალად“ და ივარაუდა, რომ „ვახუშტი ბატონიშვილი ლეონტი პროველისაგან განსხვავებით დამატებით ცნობებს ფლობდა. ჯერ ერთი, იგი იძლევა ებრაელთა საქართველოში შემოსვლის თარიღს და მიაჩნია, რომ იმ დროს (VI ს. ძვ.წ.) ებრაელები პირველად არ შემოვიდნენ საქართველოში, „კუალად“ (კვლავ) მოვიდნენო, ამბობს იგი“ [93, 16]. მკვლევარი აგრძელებს: „...ვახუშტისათვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო ძვ. წ. VIII საუკუნეში (722 წ.) ისრაელის სამეფოს კატასტროფა და იმ დროს იუდეიდან ტყვეობაში წაყვანილთა თუ გაქცეულთა ერთი ნაწილის საქართველოში გადმოხვეწის შესახებ“ [93, 17].

ჩვენი აზრით, არანაკლებ საინტერესოა ვახუშტის მიერ ნახსენები სიტყვა „იგინიცა“. თვითონ სიტყვა მიუთითებს, რომ საუბარია განსხვავებულ ნაკადზე, რომლებიც მცხეთის მამასახლისის დაუსახლებია მათზე უფრო ადრე მოსულ თანატომელთა გვერდით. საინტერესოდ გვეჩვენება ისიც, რომ ადგილი, რომელზეც მამასახლისმა „კუალად“ მოსული ებრაელები „დასხნა“, ვახუშტი ბატონიშვილთან პირდაპირ ხერკის სახელწოდებით არის მოხსენიებული. საფიქრებელია, რომ ზანავს ხერკი დაერქვა ებრაელთა სწორედ პირველი ნაკადის დროს და არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ნაბუქოდონოსორის პერიოდში (ძვ.წ. VI ს.) საქართველოში ებრაელთა ორი ტალღა შემოვიდა (ცნობილია, რომ ნაბუქოდონოსორმა ორჯერ ილაშქრა იუდეაში ძვ. წ. 597 და 586 წლებში).

როცა ძვ.წ. 597 წ. ნაბუქოდონოსორმა პირველად აიღო იერუსალიმი და მისი რისხვა ძირითადად მოსახლეობის შეძლებულ ფენას დაატყდა თავს, ადვილი შესაძლებელია, მათგან რაღაც ნაწილმა მოახერხა გაქცევა და მცხეთაში მოვიდა – პირველი ნაკადი შეიძლება მაშინ შემოსულიყო ქართლში. ისინი თან მოიტანდნენ გარკვეული ღირებულების მატერიალურ ფასეულობებს, რის შედეგადაც არ იყო ძნელი მიეღოთ ქვეყანა „ხარკითა“, იუდეველისათვის ეროვნების განსაზღვრისას უმთავრესი რელიგიური ფაქტორია. თუ ებრაულ-რელიგიური თემის ზელ შეუხებლობა გარანტირებული იქნება, შეეგუება ნებისმიერ ადმინისტრაციულ წყობას. ასე მოხდა ზანავში დამკვიდრებული ებრაელების შემთხვევაში – ისინი მშვენივრად შეეთვისნენ ქართლში არსებულ მამასახლისურ წყობას.

მეორე ნაკადი შეიძლება მოსულიყო 586 წ. იერუსალიმის მასობრივი აოხრების დროს. ნაბუქოდონოსორის პირველი ლაშქრობის შემდეგ, იუდეა არ წყვეტდა ეგვიპტესთან კავშირის იმედს. ამით განრისხებულმა ახალბაბილონის მეფემ მეორედ აიღო იერუსალიმი და მთელი მოსახლეობა გადაასახლა ბაბილონში. კონტაქტი 597 წ. ქართლს შემოხიზნულ ებრაელებსა და იერუსალიმში დარჩენილებს შორის აუცილებლად დამყარდებოდა. შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო ინფორმაციის მიწოდება იერუსალიმში იმის შესახებ, რომ ქართლში საუკეთესო პირობები იყო ებრაული თემის არსებობისათვის. ამდენად, თერთმეტი წლის შემდეგ დარბეული თანატომელები თამამად მოემართებიან მცხეთისაკენ. ალბათ, ისინი იყვნენ „კულად“ მოსულნი და „იგნიც“ დაასახლეს ადრე მოსულთა შორის.

ებრაელების ქართლში მოსვლას წინ უსწრებდა თურქების შემოსვლა. ლეონტი მროველი წერს: ქართლში „...მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსაგან (სპარსთა მეფე, შიოშ ბედნიერის ძე), გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდარვა და ეძრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქვეს შეწევნა სპარსთა ზედა, ზოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისათვის დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“ [86, 15].

ლეონტი მროველის ამ ცნობის მიხედვით, თურქთა ქართლში მოსვლა, ქართლოსიანთა მიერ მათი მიღება და ებრაელთა ქართლში მოსვლა და ქართლოსიანთა მიერ მათი მიღება რომ შეეადართ, შემდეგი ძირითადი ასპექტები გამოიკვეთება:

პირველი ის, რომ ქართლში მოსული თურქები „ეძრახნეს“ მცხეთის მამასახლისს, ე.ი. მასთან მოლაპარაკება გამართეს მშინ, როცა ებრაელებმა მოითხოვეს „ქვეყანა“. ქვეყანას უფრო ფართო დატვირთვა ჰქონდა და შეიძლება ამ შემთხვევაში უფრო მხარეს შეესაბამებოდა, ვინაიდან მოსულ და საცხოვრებლად „დამსხდარ“ ხალხს სჭირდებოდა საძოვარე, სახნავ-სათესი, საძოვარი, სანადირო ადგილები და სხვა“. „ქვეყანა“ ისტორიულ-ეთნოგრაფიულად არის საზოგადოებრივი ერთეულის საცხოვრისი გარკვეულ გეოგრაფიულ არეში“ [8, 19], მაგრამ

* ზრახვა – სიტყვის ლაპარაკი [56, 285]; ფიქრი, ბჭობა, მოთათბირება [1, 168].

** ქვეყანა – „ხმელი“, მიწა, მხარე, მამული [1, 457].

თავდაპირველად ტერიტორიას (მიწას ფიზიკური გაგებით) ნიშნავდა [8, 51].

ქართლში ებრაელები თურქების შემდეგ მოვიდნენ. სპარსული აგრესიის შიში ჯერ კიდევ არსებობდა. მიუხედავად ამისა, ქართლოსიანებმა ებრაელებს რაიმე დამატებითი პირობა არ დაუყენეს. ქართლოსიანთა თანხმობას ებრაელთა მცხეთის შემოგარენში დასახლების შესახებ ერთპიროვნულად გამოხატავს მცხეთის მამასახლისი. ებრაელებმა თავიანთ კოლონიას უწოდეს „ხერკი“ „ხარკისა მისთვის“, ე.ი. იმ გადასახადის გამო, რომელიც მათ უნდა გადაეხადათ; ებრაელებმა კი იკისრეს „ხარკი“, რომელსაც ალბათ ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე იხდიდა. შეიძლება ვივარაუდოთ ისიც, რომ ტოპონიმი „ხერკი“ შემთხვევითი არ იყო; ბუნებრივია, პალესტინიდან მოსულ ებრაელებს საკუთარი საცხოვრებელი ადგილების აღმნიშვნელი სახელები მრავლად გააჩნდათ, მაგრამ მომავალში რაიმე სირთულის თავიდან ასაცილებლად, იმ ნებაყოფლობითი ვალდებულების შეუცვლელობასთან დაკავშირებით, შერჩეული იქნა ეს სახელი, რომელიც შეახსენებდა ყველას, რომ ამ ადგილის მოსახლეობა მხოლოდ ნებაყოფლობით იხდიდა „სამეფო ხარჯს“, ე.ი. ხარკს, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ებრაელები საომარ ვითარებაში გვერდით დაუდგებოდნენ ქართველებს. არანაკლებ საინტერესოა, რა სახის იყო ეს „ხარკი“. ისტორიული წყაროები ამის გარკვევის საშუალებას, სამწუხაროდ, არ იძლევა.

მეორე, თურქები გარკვეული პირობის წაყენების შემდეგ მიიღეს, კერძოდ, მათ ქართველებს აღუთქვეს „შეწევნა სპარსთა ზედა“. იმ დროისათვის ეს ქართლოსიანთა სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა, მაშინ, როცა ებრაელთათვის მსგავსი პირობა არ წაუყენებიათ, ეს გასაგებიცაა, მოსული თურქები გარკვეულ სამხედრო ძალას ფლობდნენ. მათთვის სამოსახლოს მიცემა სარისკოა და ეს მხოლოდ მომავალ ბრძოლებში მათი მხარდაჭერის მიზნით კეთდება.

მესამე, „მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა“, ე.ი. მამასახლისმა ქართველებს შეატყობინა თურქების სურვილი, მოეთათბირა მათ და ამის შემდეგ „ინებეს დამეგობრება თურქთა“, მაშინ, როდესაც ებრაელთა მიღებას მამასახლისი ერთპიროვნულად წყვეტს (ასე ჩანს „ქართლის ცხოვრებიდან: „მისცა და დასხნა“) და არ ფრთხილობს, რომ მის საქციელს მისი თანამემამულენი უარყოფითად შეაფასებენ.

მეოთხე, ქათველებს სპარსელების მოსალოდნელი შემოსევის „აქუნდა შიში“, რაც ამოსავალი მიზეზი იყო თურქების ქართლში მიღებისა ამ ექსტრემალურ სიტუაციაში.

მეხუთე, თურქები „განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“, ე.ი. ისინი ერთად, კომპაქტურად კი არ დაასახლეს, არამედ მათი გარკვეული რაოდენობა სხვადასხვა ქალაქებში დაანაწილეს: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით, მოგვიანებით ქართლში შემოსულ ალექსანდრე მაკედონელს დახვდა „...ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მოხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაკე, და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაჲ, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრახესაჲ“ [125, 81]. უმეტესი ნაწილი კი სარკინეში დაასახლეს მაშინ, როდესაც ებრაელები კომპაქტურად დაასახლეს, და შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო რაიონში.

ოთ. ლორთქიფანიძემ, შეეხო რა „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ქართლში ებრაელთა და თურქთა მოსვლის შესახებ, აღნიშნა, რომ მცხეთის მამასახლისმა მას შემდეგ, რაც დაეკითხა „ყოველთა ქართველთა“, მათი დასტურის შემდეგ თურქთა 28 ოჯახი „განიყვანეს ყოველსა ქალაქსა შინა“. იქვე მიუთითებს განმარტებაში, რომ „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ და მხოლოდ მარიამისეულ ხელნაწერშია ამ ადგილას „ყოველთა ქალაქთა“. ყველა დანარჩენი ხელნაწერი ამ ადგილას უჩვენებს „ყოველსა“, ამიტომ ჩვენი აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყველა დანარჩენი ხელნაწერის წაკითხვას და ჩვენთვის საინტერესო ადგილი უნდა აღდგეს ასე: „ყოველსა ქალაქსა შინა“, ასე, რომ საუბარია თურქთა ერთ ქალაქში დასახლებაზე“ [39, 803] ოთ. ლორთქიფანიძე დაასკვნის, რომ თურქები (28 ოჯახი) ერთ ქალაქში დაასახლეს (არ არის მითითებული, რომელ ქალაქში, თუმცა იგულისხმება მცხეთა). მისი აზრით, მოსული თურქები ორ ნაწილად გაუყვიათ: 28 ოჯახი „განიყვანეს ყოველსა ქალაქსა შინა“ (ე.ი. ქალაქში დაასახლეს), დანარჩენები – „უმრავლესნი მათგანნი ადგილას, რომელსაც ეწოდებოდა სარკინე, თანაც პირველ შემთხვევაში მცხეთის მამასახლისმა „აუწყა ყოველთა ქართველთა,“ მეორედ კი მათ დაუკითხავად გადაწყვიტა საკითხი, ოთ. ლორთქიფანიძე პარალელს ავლებს მცხეთაში თურქთა და ებრაელთა მოსვლას შორის და ამბობს, რომ თურქთა 28 ოჯახის მიღებისას „...საქმე ეხებოდა უცხოს (28 ოჯახის) თემის წევრად, .ი.

მოქალაქედ მიღებას სამხედრო დახმარების აღმოჩენის პირობით. ასეთი უფლების მინიჭება კი შეეძლო მხოლოდ თემს – სრულუფლებიან მოქალაქეთა კრებას“ [39, 803], ხოლო ებრაელები და „უმრავლესნი თურქნი“ კი თემის წევრთა დაუკითხავად „დასხნა“ მიწაზე. ამ მსჯელობიდან გამოდის, რომ „უმრავლეს თურქთა“ და ებრაელთა მიღებას შორის არავითარი სხვაობა არ არსებობდა, და, რომ „სადაცა ვინ მოვიდის ... საბერძნეთით, გინა ასურით ოტებული, გინა ხაზარეთით“, მცხეთელ მამასახლისს შეეძლო ერთპიროვნულად მიეცა მათთვის მიწა და „დაესხნა“ ისინი. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტიდან კი ნათლად ჩანს, რომ მამასახლისმა ერთპიროვნულად მხოლოდ და მხოლოდ ებრაელთათვის მიწის მიცემის საკითხი გადაწყვიტა. გვევჩვენება, რომ თურქთა 28 ოჯახი მოქალაქეებად მიეღოთ ყოველგვარი მიზეზების გარეშე. ამ მიზეზად სპარსთა წინააღმდეგ მოსალოდნელ ბრძოლებში თურქების მხარდაჭერა არ გამოგვადგება. განა ამის გამო არ იღებდნენ ქართლში ბერძნებს, ხაზარებს, ასურელებს და ბუნებრივია, მამასახლისი მათ მოქალაქეებად მიღების საკითხსაც დასვამდა საერთო კრების წინაშე („ქართლის ცხოვრების“ ძველ. სომხურ თარგმანში“ ამ ადგილას წერია: „...გაექენენ მას (სპარსეთის მეფეს) კაცები თურქთაგან 28 სახლი და მივიდნენ მცხეთის მამასახლისთან. სთხოვეს მას გამოქვაბული ქალაქის აღმოსავლეთის მხარეს, შემოზღუდეს იგი თავიანთ სამკვიდრებელ სახლად და უწოდეს სარკინე“ [88, 21]. აქედანაც ჩანს, რომ თურქების მოქალაქეებად მიღების საკითხი საერთოდ არ წამოჭრილა და მიღების პირობაც მკაცრად იყო განსაზღვრული. საყურადღებო ის არის, რომ „ქართლის ცხოვრება“ უპირობოდ მხოლოდ ებრაელების მიღებაზე საუბრობს (თუ არ ჩავთვლით ხარკის გადახდას).

ქართლში თურქების მოსვლას შეეხო შ. მესხიაც [47]. მიმოიხილა რა რიგ მეცნიერთა დამოკიდებულება მამასახლისობის ინსტიტუტისადმი ძველ ქართლში, მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ოთ. ლორთქიფანიძის ახლებურ მოსაზრებას მამასახლისის „მცხეთის სრულუფლებიანი მოქალაქეთა კოლექტივის მეთაურად“ გამოცხადების შესახებ. შ. მესხია მთელი რიგი მაგალითების მოტანით ამტკიცებს, რომ თურქები, უფრო სწორედ, მათი ერთი ნაწილი (28 ოჯახი) სხვადასხვა ქალაქებში დაასახლეს, რაც ჩვენც მართებულად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, მოსულთა ის გარკვეული ნაწილი დაასახლეს სხვადასხვა ქალაქებში (სავარაუდოა, მათ შორის მცხეთაშიც), რომელთა კომპაქტურად ცხოვრებასაც

შეიძლებაოდა რაიმე გართულება მოჰყოლოდა. ალბათ ამიტომ გადმოგვცემს ლეონტი მროველი ასე კონკრეტულად: ებრაელთა შემთხვევაში მამასახლისმა „მისცა“ და „დასხნა“ ისინი მიწაზე, ხოლო თურქთა შემთხვევაში ჯერ მათი ნაწილი (ალბათ პოტენციურად უფრო მებრძოლი) გაფანტეს ქართლის სხვადასხვა მხარეს, ხოლო „უმრავლესნი“ მათ მიერვე ამორჩეულ ადგილას, სარკინეში დაასახლეს, რომელიც ისეთ ძლიერ ქალაქად იქცა, რომ მაკედონელებს თერთმეტი თვის მანძილზე სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია.“ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება: როგორც ლეონტი მროველი, ასევე ვახუშტიც ქართლში შემოსულ ემიგრანტთა (თურქების, ხაზარების, ასურელების...) მიღების ერთადერთ პირობად აღიარებენ სპარსელების წინააღმდეგ მოსალოდნელ ომებში მათ გამოყენებას, რაც იმას გულისხმობს, რომ შემოსულებს გარკვეული სამხედრო პოტენციალი გააჩნდათ. სამხედრო შესძლებლობებით დაინტერესება არ ჩანს მხოლოდ ებრაელთა შემთხვევაში.

ქართლოსიანთა შიში უსაფუძვლო არ ყოფილა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ვკითხულობთ, რომ არსუკ მეფემ „კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო“ [125, 82]. ამის შესახებ ს. კაკაბაძე წერს: „საყურადღებოა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში დაცული უძველესთა ქრონიკის ერთი ცნობა, რომლის მიხედვით, არსუკ მეფემ „კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო“ არსუკი ჩვენი ანგარიშით მეფობდა დაახლოებით ქრ. წ. 28-12 წ.წ. მაშასადამე, ამ დროს მიეკუთვნება ქართველების ბატონობის დამკვიდრება კასპისა და უფლისციხის რაიონში“. იგივე მეფის შესახებ კი ლეონტი მროველი წერს: „...ამან არშაკ განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა... და ჰმატა სიმაგრესა უფლისციხისასა“ [86, 82]. არსუკის („მოქცევაჲ“) იგივე არშაკის („ქართლის ცხოვრება,“) დროს უფლისციხე ისედაც ქართველთა საგამგებლოში შედიოდა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეფემ მხოლოდ სიმტკიცე და რაღაც ადმინისტრაციული სიახლე შემატა უფლისციხეს, ხოლო კასპი კი დაიპყრო („შეიპყრა“). როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში კასპის თურქებში სეპარატისტულმა განწყობილებამ საკმაოდ მოიკიდა ფეხი და არსუკ მეფეს სპეციალური ღონისძიება დასჭირდა მათ შემოსამტკიცებლად.

* ჩვენი აზრით, ინტერესმთქმელი არ უნდა იყოს ის სახელიც, რომლითაც მემატიანე მოგვიანებით სარკინელ თურქებს მოიხსენიებს: „ბუნ-თურქნი“ (ბუნ-მკვიდრი; ე.ი. მკვიდრი თურქები). ადვილი შესაძლებელია, დროთა განმავლობაში მათ თავიანთი დამსახურებით ქართლოსიანთა წინაშე, კერძოდ, დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში, მკვიდრობის უფლება სრულიად დამსახურებულად მოიპოვეს.

„ქართლის ცხოვრების“ ზემოთ აღნიშნულ ცნობებს ქართლში უცხოტომელთა შემოსვლის შესახებ შეეხო მ. სანაძე ნაშრომში „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე)“ [89, 23-53]. აღსანიშნავია მკვლევარის ორიგინალური მიდგომა წყაროს მონაცემისადმი. მ. სანაძე წერს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობები ქართლში ებრაელთა, თურქთა და სხვათა მოსვლის შესახებ, სხვა არაფერია, თუ არა ერთი ინფორმაციის – „მიდიის მეფის ყივლასარისა და ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ გამოძევებული სკვითების ქართლში მოსვლის სამი ვარიაცია“ [89, 31]. მკვლევარი უნდობლად ეკიდება წყაროების სხვა ცნობებსაც ქართლში ებრაელთა მოსვლის შესახებ და მთავარ არგუმენტად მიაჩნია წყაროთა ავტორების შეცდომები, რომლებიც თითქოსდა მრავალგზის მეორდება; ასევე აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ავტორმა ვესპასიანეს დროს ებრაელების მოსვლა იმიტომ ახსენა, რომ ისინი „...ნაბუქოდონოსორის დროს ერთხელ უკვე მოიყვანა, ახლა ქართამის და ბარტომის დროს ისინი პირველად მოსულებს შეუერთა“ [89, 33]. საინტერესოა, რატომ უნდა ეცრუა ლეონტი მროველს: ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ „...რალაც ინფორმაცია ჰქონდა იმის შესახებ, რომ ქართლში ებრაელთა მოსვლა გამოწვეული იყო ქვეყანაზე რომაელთა მძლავრობით“ [89, 33]. იქნებ ეს არ იყო „რალაც ინფორმაცია“ და ეს იყო სრულიად სარწმუნო ცნობა იმის შესახებ, რომ ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, ებრაელთა კიდევ ერთი ნაკადი შემოვიდა ქართლში?! ლეონტი მროველი ხომ იცნობს მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტებს, რაზეც მიუთითებენ მთელი რიგი მკვლევარებისა. ამასთან ერთად, ბიბლიური სამყარო და ებრაელთა ისტორია ლეონტი მროველისათვის საინტერესო იქნებოდა არა მხოლოდ, როგორც მსოფლიო ისტორიის ნაწილი, არამედ უშუალოდ საქართველოს ისტორიასთან კავშირში. ამ საკითზე არქეოლოგიური მასალის არ არსებობა არგუმენტად არ გამოგვადგება. არც იმის მტკიცება, რომ ქართლში ნაპოვნი ებრაელთა პირველი სამარხების დათარიღება ახ. წ. I ს-ის დასაწყისით იმით იყოს გამოწვეული, რომ, როგორც მ. სანაძე მიუთითებს, „...ძვ. წ. 50-იან წლებში ასეთ შორეულ გზას დამდგარი და ქართლში გადმოსახლებული ებრაელი თემების შემადგენლობა ასაკობრივი თვალსაზრისით შედარებით ახალგაზრდული იქნებოდა. შესაბამისად, პირველი მასიური სამარხები ებრაელებისა ქართლში სწორედ ძველი და ახალი ერების მიჯნაზე

განდებოდა“ [89, 34]. მ. სანაძეს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობა ჰონთა შესახებ, მიაჩნია ძვ. წ VII ს-ის ბოლოს და VI ს-ის დასაწყისში მიდიის მეფე ყიალსარის მიერ სკვითების გამოდევნად: „...მათი ერთი ნაწილი აზოს მეთაურობით მოდის მტკვრამდე და აარსებს სახელმწიფოს, რომლის ცენტრი ხდება ხერკი (!). აზო თავის კონტროლს უქვემდებარებს არაგვის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას – ოთხ ციხე-ქალაქს – კასპს, ურბნისს, სარკინეს და ოძრხეს“ [89, 48]. მ. სანაძის მიხედვით ხერკი იგივე მცხეთაა (?!) „აზოს, იგივე ქართლოსის ხანის მხცეთა/მცხეთა „მოქცევაჲს“ „ბუელი მცხეთა“ „ჰონთა“ დასახლების ადგილი ხერკი – ზანავი იყო“ [89, 59-60]. საინტერესოა, თუ ეს ასეა, რატომ დასჭირდა მემატინანეს ასეთი ქარაგმებით გადმოცემა იმ ისტორიული მოვლენისა, რომელიც არც თუ ისე უმნიშვნელო ყოფილა ქართული ისტორიული ტრადიციისათვის?

ხერკი, იგივე ზანავი (ორივე სახელს უთითებს როგორც „მოქცევაჲ“ (გვ. 81), ასევე „ქართლის ცხოვრება“ (გვ. 16) ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი იყო ძველ საქართველოში. ვახუშტი ბატონიშვილის ლოკალიზაციით, მას აღმოსავლეთით საზღვრავდა ერწოს მთა, სამხრეთით – ზედაზნის მთა, ჩრდილოეთით – ნიკორნა-ბოკოწანის შორის მდებარე მთები, დასავლეთით – მდ. არაგვი. ანტიკურ ხანაში ხერკი მუხრანთან ერთად მცხეთის „სამოქალაქო“ ე.ი. მცხეთის საგამგებლო რეგიონს ქმნიდა [4]. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით „ხერკი მცხეთელ მამასახლისის საუფლო იყო: მან დასხნა იქ ურიანი ზანავს ხარკითა... მაგრამ მცხეთოსის შვილს უფლოსს ხელი ხერკზე არ მიუწვდებოდა, მისი საქონებელი იყო...“ [8, 340]. ნ. ბერძენიშვილს ხერკი მიაჩნია ანტიკური მცხეთის სასოფლო სამეურნეო რაიონის ერთ-ერთ პუნქტად. ს. ჯანაშია ხერკის მდებარეობის შესახებ იმოწმებს ძვ. სომხური ანონიმური გეოგრაფიის ვენეციურ რედაქციას, სადაც მოხსენებულია ქართლის კანტონები (პროვინციები) და ხერკი ნახსენებია ისეთ დასახლებებს შორის, როგორცაა ხვეთი, ერწო, თიანეთი, წობენოსი [5, 304].

„ქართლის ცხოვრებაში“ ალ. მაკედონელის შემოსვლის დროს ზანავი დაფიქსირებულია, როგორც დიდი მცხეთის ერთ-ერთი უბანი, კერძოდ უბანი ჰურიათა [86, 17]. ზოგიერთი მკვლევარი „უბანს“ უკავშირებს ურარტულ სიტყვას ებანი (ebani) და სომხურ ავან (awan)-ს [149, 215; 145, 17]. უბანი, როგორც ქალაქის ერთ-ერთი კომპაქტურად დასახლებული ნაწილი (კვარტალი) ცნობილია ჯერ კიდევ შუმერის

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქში – ლაგაშში, რომელსაც ეწოდებოდა გირსუ [152, 120]. ქართულ ნარატიულ წყაროებში ურიათა უბნები დაფიქსირებულია მცხეთაში, ურბნისში... ყველაზე მრავალუბნიანი იყო მცხეთა. IV ს-ის ბოლოსათვის მასში ებრაული ორი უბანი შედიოდა: ზანავი და ციხე დიდი. რაც შეეხება ქალაქ მცხეთის ებრაულ მოსახლეობას, ვფიქრობთ, რომ, ისინი შუასაუკუნეების ევროპული გეტოს მსგავსად კი არ ესახლნენ, არამედ გაფანტულნი იყვნენ სხვა სრულუფლებიან მოქალაქეთა შორის და მათ საერთო სალოცავი და ნეკროპოლი აერთიანებდათ. როგორც დავინახეთ, ქართველი მემპტიანეებისთვის არ არის იდენტური ხერკი – ზანავი და მცხეთა. ამ ტოპონიმების ადმინისტრაციული ხარისხი მათ ბრწყინვალედ აქვთ გააზრებული. მემპტიანეებს ისიც ნათლად აქვთ გადმოცემული, რომ ზანავს სახელი მხოლოდ იმის გამო შეეცვალა, რომ აქ ებრაელი ემიგრანტები ჩასახლდნენ, რომლებმაც თავიდანვე იზრუნეს თავიანთ უფლებრივ მდგომარეობაზე.

V ს-ის II ნახევრისათვის ხერკი უკვე ქრისტიანი ეპისკოპოსის მფლობელობაშია.: „გორგასალმა აღაშენა ეკლესია კეთილშეუენიერი გუნბათიანი და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ხევსურეთისა და ხერკისა“ [77]. ე.ი. ამ დროისათვის ზანავი ტოპონიმი დაიწყებას მიეცა, დამკვიდრებულია ებრაელთა მიერ დარქმეული სახელი ხერკი, რომელშიც საკმაოდ ჩანს ქრისტიანი მოსახლეობა: ისინი ეპისკოპოსის სამწყსოს შეადგენდნენ.

ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში პალესტინაშიც (ქანაანში) სახელმწიფოებრივი განვითარების ძირითად ფორმას ქალაქ-სახელმწიფო ქმნიდა, რომელსაც „მეფე“ და საგვარეულო არისტოკრატია განაგებდა. მიწათმფლობელობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს აბრაამის მიერ იმ მიწის სყიდვის ფაქტი, რომელსაც კერძო პირი ფლობდა. აბრაამი არ იყო ქანაანური თემის წევრი, ამიტომ, მას მიწის შესაძენად თემის წევრთა თანხმობა უნდა მიეღო. თემივე განსაზღვრავდა მიწის სამართლებრივ სტატუსს. ამრიგად, თემი ნასყიდ მიწაზე თავის საიჯარო სამართლებრივ უფლებას იტოვებდა, მიუხედავად იმისა, რომ მიწას კერძო მესაკუთრე ჰყავდა, ვინაიდან აღნიშნული მეთემენი წარმოადგენდნენ ქვეყნის მთავარ მწარმოებელ ძალას. ასევე ხდება

* უნდა შევნიშნოთ, რომ მ. სანაძეს თავისი მოსაზრების – მცხეთა-ხერკის იდენტურობის შესახებ ერთ-ერთ არგუმენტად დამოწმებული აქვს ა. აფაქიძის ნაშრომის გვ. 163. თუმცა აქ მსგავსი არაფერია დაფიქსირებული [84. 163].

ქართლში მოსული უცხოტომელების, კერძოდ თურქების დროს: მამასახლისი შეუთანხმდა „ყოველთა ქართველთა“. ებრაელთა მოსვლის შემთხვევაში ეს შეთანხმება არ ჩანს. ცხადია, მიწის მიღების მსგავსი მეთოდი ებრაელთათვის არ არის მისაღები. ამიტომ კიდევ ერთხელ არ გავიზიარებთ მ. ქურდიანის მოსაზრებას ებრაელების მიერ ქართლში მიწის სყიდვის თაობაზე. ებრაელებმა, უცნობია რა საშუალებითა თუ პრივილეგიით გამოძებნეს თავიანთთვისაც და ქვეყნისთვისაც უფრო მისაღები ფორმა მიწისმფლობელობისა, რომლის შედეგადაც ადვილად გაიკვალეს გზა უცხოობიდან (ლტოლვილობიდან) მკვიდრობისაკენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში ებრაელებს დაეხმარა ის გარემოება, რომ მათთვის ნაცნობი და მისაღები აღმოჩნდა ქართლის ადმინისტრაციული მოწყობა. როგორც ოთ. ლორთქიფანიძე მიუთითებს: „ქართლში არსებობდა „სამამასახლისო სამსახურებელი“, რომელსაც ჰქონდა ტენდენცია მამულად ქცევის, იყო საფუძველი მომავალი „სეფე მიწისა“, რომელიც შემდეგ იზრდებოდა დაპყრობის გზით“ [3, 27-28]. ჩვენი ვარაუდით უცხოტომელთა დაკმაყოფილება სწორედ ამ მიწით ხდებოდა. ეს მიწა შეიძლება მამასახლისის გამოყენებინა „თავისი სურვილისამებრ“ [3, 27]. იგი შეიძლება შევადაროთ მიკენის საზოგადოებაში „მეფეებისა (ბასილევსების) და მხედართმთავრებისათვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთს ტემენოსს.

ქართლში ებრაელთა მორიგი ტალღა ძვ.წ. 70-60-იან წლებით თარიღდება. იუდეის შიგნით არსებული წინააღმდეგობა ფარისეველთა და სადუკეველთა შორის თანდათან მწვავედებოდა. დედოფალ სალომეა ალექსანდრას გარდაცვალების შემდეგ (ძვ.წ. 67 წ.) მის შვილებს – პირკან II-სა და არისტობულ II-ს შორის დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო. დავის გადასაწყვეტად მოიწვიეს სახელგანთქმული რომელი სარდალი პომპეუსი, რომელმაც მხარი პირკანს დაუჭირა, მაგრამ მეფობა ჩამოართვა და ქურუმთ-ქურუმის და ეთნარქის ტიტული აკმარა [54, 274]. არისტობულეს მომხრეები იერუსალიმის ტაძარში ჩაიკეტნენ. პომპეუსმა „იუდეა დაიპყრო და მეფე არისტობულე დაატყვევა“ [59, 334]. პომპეუსის ბრწყინვალე ტრიუმფზე გამოტანილ დაფებზე, რომლებზეც დაპყრობილი ქვეყნების სახელები ეწერა, იუდეაც იყო აღნიშნული [59, 340]. ზ. ჭიჭინაძე ფიქრობს, რომ ამ დროს ლტოლვილი ებრაელები აუცილებლად მოაღწევდნენ ქართლში, თუმცა ცნობილია, რომ მალე პომპეუსის რისხვა ქართლსაც მთელი სისასტიკით დაატყდა

თავს, როგორც რომის დაუძინებელი მტრის, მითრიდატე VI ევპატორის (ძვ.წ. 111-63 წ.წ.) მოკავშირეს. სომხეთისა და ალბანეთის დამარცხების შემდეგ პომპეუსმა მრავალრიცხოვან იბერებზე გაილაშქრა, სასტიკად დაამარცხა ისინი და შემდეგ კოლხეთიც დალაშქრა [21, 59-60] ძვ. წ. 65 წ. ამრიგად თუ ებრაელთა მორიგი ნაკადი მართლაც მოვიდა ქართლში, იგი აუცილებლად ძვ. წ. 67-65 წლებში უნდა მოსულიყო მეფე არტაგის დროს [69, 23].

ებრაელთა მორიგი ნაკადი, რომლის შესახებაც სარწმუნო საბუთიანობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ქართლში ახ.წ. 70-იან წლებში უნდა შემოსულიყო. ამის შესახებ „მოქცევაჲ“ გადმოგვცემს „და მეფობდა ქართამ არმაზს და მცხეთას ბრატმან. და ამათთა ჟამთა ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“ [125, 82]. იგივე მოვლენის შესახებ ლეონტი მროველი გვიამბობს; მეთერთმეტე მეფეების ბარტამისა და ქართამის დროს „...უესპასიანოს ჰრომთა კეისარმან წარმოტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ბუელთავე ურიათა თანა, რომელთა თანა ერთნეს შვილნი ბარაბასნი...“ [86, 44] (IV ს-ში ბარაბას შთამომავალნი „დიდ იქნეს“ მეფის წინაშე და მირიანმა მიუბოძა მათ დაბად ციხე დიდი). ვახუშტი მოგვითხრობს, რომ „...ამათ მეფობასა (მცხეთას ბარტომ, არმაზს ქართამის) შინა წარმოსტყუენა იერუსალიმი ტიტე ვესპასიანემ, და მოვიდნენ ურიანი ლტოლვილნი... და დასხნეს სხუათა ურიათა თანა“ [87, 63].

იუდეის რომის ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. თავდაპირველად რომი ყველანაირად ცდილობდა არ გაემწვავებინა ურთიერთობა იუდეასთან. მაგრამ მალე ის შეღავათები, რომ რომი არ ერეოდა იუდეის შინაურ, განსაკუთრებით კი რელიგიურ საქმეებში, გაუქმდა. ნ წ. იუდეაში მეფობა გააუქმეს და ქვეყანა უშუალოდ რომს დაემორჩილა. თუმცა ფორმალურად შენარჩუნებული იქნა შიდა მმართველობა, რომელიც გადაეცა იერუსალიმის სენატს [157, 444-445]. მოგვიანებით იმპერატორმა კალიგულამ (37-41 წწ) ერთ-ერთი სამთავროს მმართველს აგრიპას, რომელიც ჰეროდესა და მარიამის შვილიშვილი იყო, კვლავ უბოძა მეფის ტიტული. იმპერატორმა კლავდიუსმა (41-54 წწ) 44 წ. საბოლოოდ გააუქმა მეფობა იუდეაში. იუდეა კვლავ გამოცხადდა რომის პროვინციად

⁵ აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ვესპასიანეს მიერ დევნილ ებრაელებს, რომლებიც ქართლში შემოიხიზნენ, დახვდათ თავიანთი თანატომელები.

და დაინიშნა პროკურატორი. რომის ხელისუფლების წარმომადგენლის თვითნებობას ემატებოდა საზოგადოებრივი უწესრიგობანი იერუსალიმში. იუდეაში ჩამოყალიბდა სამი მიმდინარეობა – ზელოტები, ანუ დამცველები, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომს იარაღით დაპირისპირებოდნენ; მშვიდობისმოყვარეთა პარტია, რომელსაც შეგნებული ჰქონდა, რომ რომის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგო იყო; სიკარიელებისა, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ და მალულად ხოცავდნენ როგორც რომაელებს, ისე მოღალატე თანამემამულეებს. იუდეაში აჯანყება მპვინვარებდა.

იუდეაში წესრიგის დასამყარებლად ნერონმა (54-68 წწ) გააგზავნა გამოცდილი სარდალი ვესპასიანე, რომელმაც 60 ათასიანი ჯარით დალაშქრა გალილეა, დიდი ბრძოლების შემდეგ აიღო იოტაპატის ციხე და მთელი გალილეა დაიმორჩილა. მისმა შეილმა ტიტემ კი 70 წ. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ აიღო იერუსალიმი. იუდაური ომის დამთავრების აღსანიშნავად რომმა დიდი ტრიუმფი იხეიმა [137, 208]. დაინგრა ქალაქი, დაიწვა ტაძარი-ებრაელთა მთავარი სიწმინდე. გადარჩენილი მოსახლეობა ტყვედ წაიყვანეს რომში. უკანასკნელი ებრაული ციხესიმაგრის მასადას აღების შემდეგ მთელი იუდეა რომის საკუთრებად იქცა – განადგურდა იუდეველთა სახელმწიფო და გაქრა ებრაული ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობა [176]. დასაბამი დაედო ებრაელთა ისტორიის ახალ პერიოდს – გალუთს. ებრაელები მთელ მსოფლიოში მიმოიფანტნენ. ამიტომ არ არის გამორიცხული, გარკვეული ნაკადი საქართველოსკენაც წამოსულიყო მითუმეტეს, როგორც ქართული ისტორიული ქრონიკები გადმოგვცემენ, ამ დროისათვის ცხოველი მიმოწერა და მიმოსვლაა ქართლის ებრაელობასა და პალესტინის ებრაელობას შორის.

ზ. ჭიჭინაძეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ებრაელთა გარკვეული რაოდენობა შეიძლებოდა მოსულიყო ქართლში 132-135 წწ-ში, როდესაც იუდეაში ბარ-კოხბას მეთაურობით აჯანყება მპვინვარებდა. მას მხარში ამოუდგა რაბინი აკიბა – დიდი სასულიერო მოღვაწე და სწავლული,^{*} რომელსაც უმოგზაურია კავკასიაში, არმენიასა და საქართველოში [143, 63]. რაბინი აკიბას კავკასიაში მოგზაურობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მიმოსვლა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა საქართველოსა და პალესტინას შორის ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამიტომ, არ უნდა გამოვრიცხოთ ის, რომ, თუ კავკასიის ებრაული

* საქართველოში რაბინი აკიბას ყოფნას ა. ბათიაშვილი ჩვენთვის უცნობი მასალით ადასტურებს [22, 165].

დასპორისაგან შესაწირის შესაგროვებლად შესაძლებელი იყო პალესტინიდან ჩამოსვლა, პალესტინის ებრაელთათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი არა მარტო კავკასიის ებრაული თემების მატერიალური შესაძლებლობა, არამედ აქაური სახელმწიფოების ტოლერანტული პოლიტიკაც.

ამრიგად, ქართული ნარატიული წყაროების მიხედვით ებრაელთა საქართველოში დასახლების რამდენიმე ეტაპი გამოიკვეთა:

1. ძვ.წ. VIII ს. ტიგლათფილესერ II-ის მიერ დარბეული ებრაელობის მოსვლა ქართლში. მართალია ამ ნაკადის მოსვლა ვარაუდის დონეს არ სცილდება, მაგრამ შესაძლებლობა, რომ ამ პერიოდში ებრაელობა მოსულიყო და დასახლებულიყო ქართლში, მაინც არსებობდა (ამ ვარაუდს მხარს უჭერს ე. მამისთვალიშვილი).
2. ძვ.წ. VI ს. ნაბუქოდონოსორის მიერ აკლებული იერუსალიმის მოსახლეობის ერთი ნაწილი უეჭველად მოდის და მკვიდრდება მცხეთაში. ამ ნაკადის შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან ქართული ისტორიული წყაროები და ისტორიული ტრადიცია.
3. ძვ.წ. 169 წ. (გ. მელიქიშვილის მიხედვით) ან ძვ. წ. 136 წ. (ე. მამისთვალიშვილის მიხედვით), როცა აბიათარის წინაპრები მოვიდნენ ქართლში.⁶
4. ძვ.წ. 70-60-იანი წლები. რომის მიერ იუდეას დაპყრობას მოჰყვა ებრაელთა აჯანყება, რომელიც სასტიკად ჩაახშეს რომაელებმა. ამ დროს ქართლში შესაძლებელია მოსულიყო ლტოლვილთა მცირე ნაკადი.
5. ახ.წ. 70-იანი წლები. ვესპასიანეს და მისი ვაჟის ტიტუს მიერ იუდეას დაპყრობა და იერუსალიმის განადგურება. ებრაელთა ამ ნაკადის ქართლში მოსვლაზე შეგვიძლია მთელი საბუთიანობით ვისაუბროთ. ეს მომენტი დაფიქსირებულია ქართულ მატრიანეებში.
6. ე.წ. ბარ-კოხბას აჯანყების დროს 132-135 წ.წ. ასევე შესაძლებელია

⁶ ძვ. წ. 175 წ. სირიის ტახტზე ავიდა ანტიოქე IV (175-163), მან ებრაელებს აპყარა ყოველგვარი მოქალაქობრივ-პოლიტიკური უფლებები; აკრძალა სინაგოგაში სიარული, წირვა-ლოცვა და სხვა. მოითხოვა ებრაელებს თავიანთი ევთა ზეესისათვის და ელაპარაკათ მხოლოდ ბერძნულად. მეფის ბრძანებით დაწვეს ებრაული წმინდა წიგნები და დაანგრიეს ტაძრები. მოსახლეობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა მეფის ბრძანების შემსრულებლებს (მაკაბელთა 1, თ.1 62-63; თ.11 19, 20, 21, 22). ამდენად ყველაზე ძლიერ დევნას ალბათ სამღვდელთა განიცდიდა. ამიტომ არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ცნობილი გვარი ბენიამინის შტოდან მოდის ქართლში და იღებს ბაგინზე მღვდლობის უფლებას.

მოსულიყო ებრაელთა მცირე ნაკადი ქართლში, ვინაიდან ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და მიმოსვლა ამ პერიოდში პალესტინასა და საქართველოს ებრაელობას შორის დადასტურებულია.

როდესაც ვსაუბრობთ ებრაელთა დასახლებების შესახებ ქართლში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ძველ ავტორთა ცნობები ებრაელების დასახლების შესახებ სომხეთში და მის მეზობელ ქვეყნებში.

მოვსეს ხორენაცი სომეხთა მეფეების თანმიმდევრობისა და მათი მამაშვილობის მიხედვით ჩამოთვლის დროს პირველ მეფედ ასახელებს პარუირს, მის მომდევნოდ ჰრაჩიას, რომელიც ბაბილონელთა მეფე ნაბუქოდონოსორის თანამედროვე ყოფილა. გადმოცემით, ჰრაჩიამ სთხოვა ნაბუქოდონოსორს დატყვევებულ ებრაელთა ერთი მეთაურთაგანი – სახელად შამბათი, მოიყვანა, დაასახლა სომხეთში და დიდი პატივი მიაგო. მემბათიანე მიიჩნევს, რომ მისგან მოდის ბაგრატუნთა გვარი, „...ვინაიდან სახელი სმბატი, რომელსაც ბაგრატუნები ხშირად არქმევენ ყმაწვილებს, იგივე შამბათია ებრაულად, მათ თავდაპირველ ენაზე [123, 86-87]. ებრაელთა მდგომარეობის შესახებ სომხეთა ქვეყანაში შეიძლება თვალი გავადევნოთ კვლავ ხორენაციის ცნობების მიხედვით. შამბათის შთამომავლებმა მაღალ სოციალურ და თანამდებობრივ მდგომარეობას მიაღწიეს: - მეფე ვალარშაკმა ბაგრატს „...მიანიჭა პატივი მისი გვარის მამასახლისობისა – უფლება გვირგვინით შეემკო მეფე და უწოდა მას გვირგვინდამრქმელი, აგრეთვე ასპეტი“ [123, 104-105].“ მოგვიანებით, ვალარშაკი აიძულებდა შამბატ ბაგრატს, დაეტოვებინა ებრაელთა რჯული და ემსახურა კერპებისათვის, მაგრამ ვერ დაიყოლია და თავი მიანება [123, 108]. შამბატის შთამომავლებს ცუდი დრო დაუდგათ მეფე არშაკის დროს, რომელმაც შეავიწროვა ბაგრატის ვაჟები იმ მიზნით, რომ მათ თავიანთი ეცათ კერპებისათვის. მოვსეს ხორენაცი უდიდეს სიმპათიებს გამოთქვამს იუდაური რჯულისათვის დაღუპული ორი მათგანის მიმართ და ამკობს „ანანიანთა და ელიაზარიანთა“ (იგულისხმება ბიბლიური ანანიასა და ელიაზარის სახელები) მიმდევრების ეპითეტით. ბაგრატის სხვა ვაჟები უფრო დამყოლნი აღმოჩნდნენ და დათანხმდნენ შაბათობითაც ამხედრებულნიყვნენ სანადიროდ თუ საომრად, და თავიანთ ბიჭუნებს,

* ასპეტი ირანული სიტყვაა და ნიშნავს ცხენოსანთა უფალს. სომხეთში იგი ბაგრატუნთა საგვარეულო ტიტულს წარმოადგენდა [123, 262].

** უნდა შევნიშნოთ, რომ ვალარშაკმა შემოსევლადაც უცხოტომელი დააყენა, ქანანელთა შთამომავალი ვნთუნის გვარიდან. სემიტური სახელისაა მისი მანდატური და მსახურთუხუცესი აბელიც (?) [123, 105].

როცა შეეძინებოდათ, წინდაუცვეთავს დატოვებდნენ.* კიდევ ურო მკაცრი იყო მეფე ტიგრანის მოთხოვნები – მან ბრძანება გასცა, ყველა ნახარარს შეეწირა კერპებისათვის მსხვერპლი. ბაგრატიუნები იძულებულნი გახდნენ „...ეგემნათ სამეფო მსხვერპლიდან, აგრეთვე ღორის ხორცი თუმცაღა თავად არ სწირავდნენ მსხვერპლს და თაყვანს არ სცემდნენ კერპებს. ამის გამო (ტიგრანმა) ჩამოართვა მათ მხედართმთავრობა და ასპეტობა, გვირგვინის დარქმის უფლება კი შეუნარჩუნა“ [123, 114].** ამის შემდეგ ტიგრანი გაემართა პალესტინელთა ქვეყნისაკენ... მრავალი ურია დაატყვევდა [123, 144-145]. ამდენად ებრაელთა მასობრივი გადასახლება სომხეთში მოხდა ძვ. წ. I ს-ში ტიგრან II-ის სირიასა და პალესტინაზე ლაშქრობის დროს. მან ებრაელი ტყვეები არმავერსა და დაბა ვარდაგესში (იგივე ვალარშაპატი, ენშიაწინი) დაასახლა. ამის შემდეგ ებრაული მოსახლეობა სომხეთში საკმაოდ მრავალრიცხოვანი გახდა. ნაბუქოდონოსორის მიერ წარტყვევნილ ტყვე ებრაელთა შთამომავლებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ სომხეთის მეზობელ ქვეყნებში – პართიასა და სპარსეთში და მისდევდნენ მიწათმოქმედებას, ხელოსნობას, მიაღწიეს ცხოვრების მაღალ დონეს დიასპორის მეთაურების (resch galuta) ხელმძღვანელობით – ისინი თავიანთ თავს თვლიდნენ დავით წინასწარმეტყველის ჩამომავლებად.

ფავსტოს ბუზანდი მოგვითხრობს, რომ მას შემდეგ, რაც სპარსეთის მეფე შაპურ II-მ (საპორ II) (310-380) აიღო ტიგრანოკერტი, გაემართა არტაშატისაკენ, რომელიც ასევე დაანგრია და... გამოიყვანა არტაშატიდან ებრაელთა ცხრა ათასი კომლი, რომლებიც მეფე ტიგრან არშაკიდის მიერ იყვნენ... პალესტინიდან გადმოსახლებულნი... და დაასახლეს ისინი სპარსეთში [165, 240]. შემდეგ ერევანდაშატიდან გადაასახლეს სომეხთა ოცი ათასი და ებრაელთა ოცდაათი ათასი კომლი, ქ. ზარეპავანიდან 5 ათასი სომხური და 8 ათასი ებრაული კომლი, ქ. ვანიდან 5 ათასი სომხური და 18 ათასი ებრაული კომლი (!), ქ. ნახიჩევანიდან ორი ათასი სომხური და 16 ათასი ებრაული კომლი [165, 143-145]. მელიქსეთ-

* როგორც ჩანს, მეფის მხრიდან იძულება საკმაოდ მკაცრი იყო, ვინაიდან ბაგრატის ვაჟების საქციელით ირღვეოდა ებრაული პრინციპი, რომლის მიხედვითაც წინაუცვეთელობა ურჯულთების ტოლფასი იყო.

** უნდა შევნიშნოთ, რომ ანტიკურ სამყაროში ანტიისემიტისმის მიზეზებად ზემოთ აღნიშნულ ებრაულ ტრადიციებსაც თვლიან. ს. ლურიე მიუთითებს, რომ “მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები ცხოვრობდნენ სხვა ქვეყნებში და, აქედან გამომდინარე სხვა ღმერთების მიწაზე უარს ამბობდნენ თავიანთ ღმერთთან ეს ღმერთები ელიარებინათ მაინც“ [127, 2].

ბეგი ეყრდნობა მოსე ხორენაცის, ფავსტოს ბუზანდისა და თომა არწრუნის ცნობებს და თვლის, რომ IV ს-თვის მეზობელ სომხეთში 100 ათასამდე ებრაელი ცხოვრობდა [165, 245]. ესენი იყვნენ ვაჭრები, ხელოსნები, მშენებლები, მხატვრები... ებრაელთა საერთო წილი სომხეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში პირველ საუკუნეებში საკმაოდ მაღალი ჩანს. გარდა ამისა, ხდებოდა ებრაელების გაქრისტიანებაც და მათ თავიანთი წვლილი შეჰქონდათ სომხურ ქრისტიანულ კულტურაში [165, 247]. მელიქსეთ-ბეგი მიიჩნევს, რომ როგორც ნაბუქოდონოსორის დროს, სპარსელებმაც ებრაელები გადაასახლეს, როგორც პროგრესული ელემენტი. თუ მეზობელ სომხეთში IV ს-პირველი ხანებისათვის არსებობდა ებრაელთა ასეთი მრავალრიცხოვანი დიასპორა (თუმცა გადასახლებულთა შესახებ ცნობები შეიძლება გაზვიადებულია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს სომხეთში ებრაული კოლონიის მრავალრიცხოვნობას), მაშინ არც ქართლში უნდა გაგვიკვირდეს ებრაელთა მრავალრიცხოვანი თემების არსებობა, რომლებიც გაფანტული იყვნენ ქართლის თითქმის ყველა კუთხეში. თანაც, როგორც წყაროები გვაძეცნობენ, ქართლში გაცილებით უკეთესი პოლიტიკურ-სოციალური გარემო ყოფილა ებრაელებისთვის, ვიდრე სომხეთში.

როგორც დავინახეთ, წყაროების მიხედვით ებრაელების დასახლება სომხეთსა და ქართლში თითქმის ერთდროულია და ემთხვევა ძვ. წ. VI ს-ში ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას. განსხვავება ის არის, რომ ქართლში ებრაელები თავიანთი ნებით მოდიან და ქართლის სახელმწიფოებრივი ორგანიზმის განუყოფელი ნაწილი ხდებიან, მაშინ, როდესაც სომხეთის მეფე პრაჩია ნაბუქოდონოსორს დატყვევებულ ებრაელ შამბათს სთხოვს, მიუხედავად მისთვის ბოძებული მაღალი სოციალური მდგომარეობისა, მისი შთამომავლობა საკმაოდ მძიმე პირობებში აღმოჩნდება. შეიძლება ამის გამოა, რომ სომხეთში ნებით მოსული ებრაელთა ნაკადი ფაქტიურად აღარ ჩანს. ებრაელთა ის მრავალრიცხოვანი რაოდენობა, რომელიც ტიგრანმა ჩაასახლა სომხეთში, ტყვედ არიან მოყვანილნი, რაც თავისთავად მათ უფლებრივ დისკრიმინაციას ადასტურებს. ხოლო ქართლში, ტოლერანტული სახელმწიფო პოლიტიკის წყალობით, ებრაელთა ახალ-ახალი ნაკადი მოედინება, მკვიდრდება და ქვეყნის აღმშენებლობაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს.

* ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ სომეხი მკვლევარების მცდარობას, რომლებიც ამტკიცებენ სომხეთის სახელმწიფო პოლიტიკის გაკლენას ანტიკური ხანის ქართლზე.

თ ა ვ ი I I I

ე ბ რ ა ე ლ ი ს ა ლ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი - ს ა თ ვ ი ს ქ ა რ თ უ ლ შ ი დ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ლ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ი ტ ე რ მ ი ნ ე ს ა თ ვ ი ს ე ბ რ ა უ ლ შ ი

ქართულ წერილობით წყაროებში ებრაელის აღმნიშვნელი სხვადასხვა ეთნიკური ტერმინი გვხვდება; ესენია: ებრაელი, ისრაელი, იუდეველი, (3)ურია... თითოეული მათგანი თანამედროვე გაგებით აღნიშნავს იუდაიზმის მიმდევარ, ეთნიკურად სემიტური მოდგმის ხალხს.

პირველი მეცნიერული სტატია, რომელიც ამ ტერმინების კვლევას შეეხებოდა, მ. მამისთვალიშვილმა წაიკითხა თსუ ქართული ენის კათედრის საჯარო სხდომაზე 1940 წ. მან განიხილა თითოეული ფორმა ცალ-ცალკე და აღნიშნა, რომ „ებრაელის აღმნიშვნელი ქართული სახელები თავდაპირველად სინონიმები არ ყოფილა. თითოეულ მათგანს სხვადასხვა ენაში შესატყვისი მოენახება და თითოეული მათგანი ამა თუ იმ ენიდან არის შემოსული“ [40, 156]. საბოლოოდ კი დაასკვნა, რომ წინათ ნაკლებად ცნობილი, მაგრამ პირვანდელი მნიშვნელობით შემონახული ტერმინი „ებრაელი“, როგორც რუსული «еврей»-ის შესატყვისი, ლიტერატურულ სახელწოდებად თანამედროვე ქართულში რუსული სალიტერატურო ენის ზეგავლენის შედეგად გაბატონდა“ [40, 156]. ქართველი ებრაელები თავიანთ თავს „ისრაელს“ უწოდებენ, არაებრაულ წრეში კი „ებრაელს“. სახელწოდება „ყიბრი“ ძირითადად ვაჭართა წრეში ყოფილა გავრცელებული და საეაჭრო ურთიერთობების დროს საიდუმლოს კონსპირაციისათვის გამოიყენებოდა.

კ. წერეთელი მიუთითებს, რომ ტერმინი „ებრაელი“ ხშირად დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. ბერძნული „Ἰβραῖος“-ში, რაც არამეულიდან უნდა მოდიოდეს. „... გამოიყოფა ფუძე „ebr და სადაურობის მაწარმოებელი აფიქსი ay, იგივე ფუძე გვხვდება სათანადო ებრაულ სიტყვაში „ibri-„ibr, რომელსაც ასევე დაერთვის სადაურობის აღმნიშვნელი დაბოლოება“ [74, 11]. მკვლევარი ადასტურებს, რომ როგორც სომხურ, ისე ქართულ ტერმინებს (იგუ-

ლისხმება ებრაელის აღმნიშვნელი) სირიული ფორმა უდევს საფუძვლად [74, 11]. კ. წერეთელი მიუთითებს, რომ „ებრაელი“ და მისგან წარმოებული ტერმინები „...ბერძნულიდან (უფრო ზუსტად, ლათინურში ბერძნულიდან, ხოლო სხვა ენებში ლათინურიდან) ნასესხობას ადასტურებს“ [111, 31]. „თვით ბერძნულში არამეულიდან უნდა იყოს შესული“ [111, 32]. სომხურში ებრაელის გადმოცემა ქართულის ანალოგიურია. აქედან გამომდინარე „ქართული „ებრაელი“ ემიჯნება ბერძნულ-ლათინურ ტერმინებს და სირიულ-სომხურის გვერდით თავსდება, საფიქრებელია, რომ როგორც სომხურს, ისე ქართულ ტერმინებს სირიული ფორმა უძვეს საფუძვლად [111, 32].

ე. მამისთვალისშვილს მიაჩნია, რომ „ებრაელი“ ქართულში შემოსული უნდა იყოს ბერძნულიდან, თვით ბერძნულში არამეულიდან, არამეულში კი ებრაულიდან. ორ უკანასკნელ ენაში 'ibr/'eber ერთი მნიშვნელობისაა და აღნიშნავს „იქითა მხარეს“ [93, 37].

ტერმინ „ებრაელს“ ბიბლიურ ენციკლოპედიაში ორმაგი ახსნა აქვს: 1. გაღმა მხრიდან მოსული (დაბ. 14, 13); სიტყვა გამოიყენება ებრაელი ხალხის აღსანიშნავად, რომლებიც აბრაამის შთამომავლები არიან. ებრაული ზმნა Eber ნიშნავს გაღმა მხრიდან მოსულს. როგორც ვიცით, ხალხი, რომელიც სახელწოდება „ებრაელის“ ქვეშ მოიაზრება, ქანაანის მიწაზე მოვიდა ეფრატის გაღმა მხრიდან, ამიტომ ქანაანელები მათ უწოდებდნენ „ებრაელებს“, ე.ი. სხვა ქვეყნიდან მოსულებს და 2. ბიბლიაში (ყ)ებერი არის სემის ვაჟი: „შეეძინა შვილები სემსაც, ყებერის ძეთა მამას, იაფეთის უფროს მამას“ (დაბ. 10, 21). იგი აბრაამის ერთ-ერთი წინაპარია, ფელეგის მამა (დაბ. 10, 25; 11, 16). სწორედ მის ღროს მოხდა ბაბილონის გოდოლის მშენებლობა „ყებერს შეეძინა ორი ძე; ერთს ერქვა ფელეგი, რადგან მის ღროს გაიყო ქვეყანა“ (დაბ. 10, 25), სახარებაშიც იგი იხსენიება ებერის (ლუკა 3, 35) სახელით, ამდენად, ებერს ადვილად შეეძლო თავისი სახელი მიეცა შთამომავლობისათვის.

ებრაელის აღმნიშვნელ ტერმინს ეხება ე. რენანიც. მისი აზრით „ის ტომები, რომლებიც ცხოვრობდნენ ეფრატის გაღმა, აღმოჩნდნენ ეფრატის გამოღმა. ისინი ატარებდნენ ერთ საერთო სახელს ებრაელი (Ibrim – იქითა მხრიდან (სხვა ნაპირიდან) მოსული). შეიძლება მათ ეს სახელი მიიღეს იმ მომენტიდან, როცა მათსა და მათ თანატომელებს შორის აღმოჩნდა ეფრატი... შეიძლება ასევე, რომ ქანაანელებმა დაარქვეს მათ სხვა მხრიდან მოსულები, ან უფრო სწორედ მდინარის გადმომ-

ლახველები“ [156, 49].“ გრ. გორგაძე მიუთითებს, რომ „ებერ“ ნიშნავს „გადასვლას“ მდინარეზე – იორდანეზე. აქედანაა წარმომდგარი ზედსართავი სახელი იბრი, ანუ „ებრაელი“ [81, 43].

ებრაელის აღმნიშვნელი ტერმინებიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესოა სიტყვა „ურია“. ქართულ ბიბლიურ ტექსტებში სიტყვა „ურია“ არ გვხვდება ეთნოსის მნიშვნელობით, სამაგიეროდ ხშირია მისი ხმარება ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ (ურია მოგვიანებით შეურაცხყოფელ, დამამცირებელ ტერმინად იქცა).

მ. მამისთვალისძევის მიხედვით, „თავისი ბგერითი შემადგენლობით „ჭურია“, უფრო სომხურს უახლოვდება და სამეცნიერო ლიტერატურაშიც სომხურიდან, სომხურში კი სირიულიდან შემოსულ სიტყვად არის მიჩნეული“ [40, 149].

ლ. სულამანიძეს მიაჩნია, რომ „ჭურია“ სიტყვა „ურიას“ არქაიზმია. ამ სიტყვის წარმომავლობაზე მას თავისი შეხედულება აქვს და თვლის, რომ „ურია“ წარმოსდგება სიტყვისაგან „ყვირი“: „...ებრაული ყობრი/ყვირი-დან ქართულში გვაქვს ყვეერი, ყობრი, ყვირი-ყური, რომლებიც შემოვიდნენ უშუალოდ ებრაულიდან; ებრაელი, რომელიც შემოვიდა ბერძნულიდან წიგნური გზით და ურია, რომელიც შემოვიდა სირიულიდან ზეპირი გზით“ [77, 119]. როგორც ლ. სულამანიძე მიუთითებს, სიტყვა „ჭივრია“–დან „...ამოვარდა ა (შდრ. საბაია-საბია), შემდეგ ვ გაიხსნა უ-დ, ჰი-ურია (გავიხსენოთ ყვირი-ყური); კიდევ მოხდა გამარტივება: სემენტი ჰიუ გამარტივდა ჰუ-დ და მივიღეთ ჰურია (შდრ. იერემია-ერემია); საბოლოოდ დაგვრჩა ურია, ვინაიდან ქართულში ხმოვნის წინ ჰ ვერ ძლებს“ [77, 118]. იგივეს იმეორებს ლ. სულამანიძე სხვაგანაც [76, 31].

ი. გაგულაშვილი სიტყვა „ურიას“ უკავშირებს „განათლებას“ [17]. ტერმინ „ურიას“ ვრცლად ეხება კ. წერეთელი და აღნიშნავს „...ებრაელი და ჰურია (ურია) სინონიმებია“ [111, 36] და მიუთითებს, რომ ისტორიულად ისინი სხვადასხვა ხანას უნდა ეკუთვნოდეს, 3-თი წარმოებული სახელები უფრო ადრინდელ ტექსტებში გვხვდება. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „...ქართული ტერმინის წყაროს სირიული წარმოადგენს, ქართულმა პირველადი ფუძის გახმოვანება დაიცვა, ხოლო

¹უნდა შევნიშნოთ, რომ ეთიოპიაში ებრაელების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინი არის ფალამა, რაც ძველ ეთიოპიურ ენაზე ნიშნავს გამოსულს, მოსულს. მათ ეთიოპიაში დასახლებას მიაწერენ სოლომონის დროს, რომლისგანაც საბას დედოფალს შეაკედას ჰყავდა ვაჟი მენელიქ, რომელიც აღზარდეს ისრაელში [142, 158-162].

აქედან შესული სომხურში იგი სომხურის ნიადაგზე შეიკუმშა“ [111, 39]. ცოტა ქვემოთ ავტორი კვლავ იმეორებს „...ლოგიკურია, რომ ეს ტერმინი (ჰურია) ქართულიდან სომხურში შევიდა“ [111, 40].

კ. წერეთელი სიფრთხილით ეკიდება ი. გაგულაშვილის მოსაზრებას სიტყვა „ურიას“ განათლებასთან კავშირში და უფრო საინტერესოდ მიაჩნია ა. სულამანიძის მოსაზრება, რომელსაც ქართული „ურის“ ამოსავლად „ობრი“ მიაჩნია [74, 41-43].

კ. წერეთლის დასკვნით „...როგორც არ უნდა გადაწყდეს ურია/ჰურიას ქართლში შემოსვლის გზები, ერთი ცხადი უნდა იყოს, რომ აღნიშნული ტერმინის წყარო სირიული ჰუდაია ფორმაა და რომ ეს სიტყვა სომხური გზით კი არ შემოდის ქართულში, არამედ პირიქით: ყველა სათანადო კავკასიურ ფორმას, მათ შორის სომხურსაც, ქართული ფორმა უძევეს საფუძვლად“ [111, 43].

ზემოთ აღნიშნული მკვლევარები გვერდს უვლიან სიტყვა „ურიას“ ქალაქ „ურიდან“ წარმოშობას. ამ აზრს იზიარებენ შემდეგი მკვლევარები:

ი. პაპიაშვილი საუბრობს ტერმინ ურიას მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ ეს სახელი უნდა მოდიოდეს სამხრეთ საქართველოში არსებული ქალაქ ურიდან (ჰური) და, რომ ეს სახელი ქართველებმა თავიანთ ქალაქს უწოდეს შუამდინარეთის ქალაქ ურის გამო“ [57, 185-186].

ზ. ჯინჯიჩაშვილის აზრით, ურია ეთნიკური ტერმინი არ არის. ეს ტერმინი ჩვენამდე მოღწეული წერილობით წყაროებზე ბევრად უფრო ადრინდელი ეპოქისა უნდა იყოს და მოდიოდეს შუმერის დელაქალაქის – ურის სახელწოდებიდან, სადაც სახლობდა ებერის ტომი და საიდანაც ნაწილი, კერძოდ პატრიარქ აბრაამის შტო, აღთქმულ მიწაზე გადასახლდა, ნაწილი კი კავკასიისაკენ წამოვიდა და მის სხვადასხვა ნაწილში, მათ შორის დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე დასახლდა. ავტორის აზრით „საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულნი მონათლული იქნენ ურიებად ანუ ურიდან მოსულებად, მათი ტომობრივი სახელი ნებსით თუ უნებლიედ მივიწყებული იქნა. ამდენად, ტერმინი „ურია“ სადაურობის აღმნიშვნელია და არა ეთნიკური – თუ ეს ასეა, მაშინ საქართველოს ტერიტორიაზე ებრაელთა დასახლების თარიღი დაახლოებით იმ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა, რომელსაც აბრაამისა და მისი სახლობის ქანაანში მოსვლის პერიოდი ეკუთვნის“ [105, 53].

იგივე მოსაზრებას ტერმინ „ურიას“ ქალაქ „ურიდან წარმომავლობის შესახებ იზიარებს გ. ბოლქვაძე და აღნიშნავს: „...ტერმინი (ჰ)ურია

ეტიმოლოგიურად დაკავშირებული უნდა იყოს „ქალდეველთა ურთან (სამხრეთ მესოპოტამია)“ [13, 44]. მკვლევარის აზრით, ტერმინი „ჰურია“ ებრაელის აღმნიშვნელი სხვა ქართული ტერმინებიდან შედარებით ყველაზე ძველია და თავდაპირველად იგი „ქალდეველთა ურიდან გამოსული და საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრებული სემიტურ-ეთნიკური ჯგუფის – ურიების წარმომავლობის ტერმინს წარმოადგენდა“, და რომ იგი მოგვიანებით „ძვ. წ. VI ს. ახალი წ. I ს. მოსული ებრაელების ეთნიკურ-სარწმუნოებრივი კუთვნილების აღმნიშვნელ ტერმინებად მკვიდრდება“ [13, 44-45].

ის, რომ ტერმინი ურია არა ეთნიკური, არამედ წარმომავლობის აღმნიშვნელად გაიაზრება, ჩვენ ჩვენი მოსაზრება გვაქვს:

ბიბლიიდან ცნობილია, რომ აბრაამი წარმოშობით ქალდეველთა ურიდანაა, საიდანაც იგი გადასახლდა ქანაანში: „მოჰკიდა ხელი თერახმა თავის ძეს აბრაამს, თავის შვილიშვილს ლოტს, ჰარანის ძეს, თავის რძალს სარაის, თავის ძის აბრაამის ცოლს და გავიდნენ ერთად ქალდეველთა ურიდან ქანაანის ქვეყანაში წასასვლელად“ (დაბ. 11, 31). უფალმა დაპირებისამებრ აბრაამი გახადა დიდი ხალხის მამამთავარი (დაბ. 12, 1-2).

ქალაქი ური მდებარეობდა ეფფრატის სამხრეთით. აქ პირველი დასახლება უბეიდას ეპოქისაა (≈4 ათასი წ. ჩვ. წ. აღ-მდე). ამ კულტურის გავლენა აღმოჩენილია შუშერის ყველა ქალაქში. იგი დაფარული აღმოჩნდა მდინარის ლამით და მიაჩნიათ, რომ ეს ბიბლიური წარღვნის შედეგია. ურნამუს (ურის III დინასტიის დამაარსებელი, 2112-2094 წწ.) მიერ აღზევებული ური ელამელებმა დაანგრიეს. იგი კლავ აღდგა II ათასწ. დასაწყისში. აღმოჩენილია ამ პერიოდის საცხოვრებელი სახლები (ერთ-ერთი შეიძლება ეკუთვნოდეს აბრაამსაც, სანამ იგი გადასახლდებოდა დასავლეთით) [130, 258] ქალაქი დაცარიელდა IV საუკუნეში ძვ. წ..

მ. მამისთვალისმილი გაკვრით ეხება ერთგან ურიას ურისაგან წარმოშობის ვარაუდს და წერს: „...ოსური ენის ირონულ კილოში „ვირაგ“, სადაც -აგ ვინაობა-სადაურობის გამომხატველი ზედსართავი სახელების გამომხატველი სუფიქსია“. კ. წერეთელი თვლის, რომ აფხაზური „აურია“ ქართულიდანაა ნასესხები და იმეორებს ო. თედევას აზრს, თითქოსდა ოსური ვირაგ (ვირ-აგ) მიღებულია სვანური ვირია-(ურია)-საგან.

ჩვენი აზრით, ურია რომ წარმომავლობის ტერმინია, ყველაზე ნათლად ოსურში დამკვიდრებული ებრაელის აღმნიშვნელი wirag გადმოგვცემს.

ოსთა წინაპრები ჩვენი ერის დასაწყისში გამოჩნდნენ კავკასიის არეალში. მათ ასიმილაცია განიცადეს ზოგიერთ ავტონომონ კავკასიურ ტომთან, რომელთაც ათვისეს აღანთა ენა, მაგრამ შეინარჩუნეს საკუთარი, კავკასიური მეტყველების ზოგიერთი თავისებურება. ამიტომ ამ ენაში შეიძლება ვეძებოთ კავკასიური ენების ზოგიერთი არქაული ფორმა, რადგანაც შეინარჩუნა რა თავისი ირანული ფუძე, ის მნიშვნელოვნად დაუახლოვდა კავკასიურ ენებს, ბუნებრივია, ავტონომონი მოსახლეობის ლექსიური მარაგის ხარჯზე. ამიტომ „მთელი რიგი მოვლენები ოსური ენის ფონეტიკასა და გრამატიკაში ისტორიულად შეიძლება გავიზაროთ, კავკასიური სუბსტრატის გათვალისწინებით“ [138, 13].

ქართულ-ოსური ურთიერთობების დასაწყისადღე ქართულ-ებრაული ურთიერთობები საუკუნეებს ითვლიდა. ვფიქრობთ, ოსურ ენაში სწორედ ქართულიდან შევიდოდა ამ მათთვის უცხო ტომის სახელი.

ვ. აბავეი მიუთითებს, რომ სიტყვა wirag-wriag (ებრაული) ქართულიდან მომდინარეობს [150, 13]: აქვე მიუთითებს მიულერის შენიშვნას, რომ Yirag-ხალხია, რომელიც გარეგნულად ძალიან წააგავს მთის ებრაელებს; ისინი ამარაგებენ დიგორელებს ტანსაცმლისათვის აუცილებელი ქსოვილით [150, 110].

ქართულიდან ოსურში ურიასაგან ნაწარმოები Yirag-უნდა იყოს ურ-ზე სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსის -ag-ის დართვით. -ag სუფიქსი ოსურ ენაში სხვადასხვა დატვირთვით იხმარება: იგი აწარმოებს პიროვნების ეროვნებისადმი (ყырпысс-аг-რუსი) და საცხოვრებელი ადგილისადმი (Москва-аг-მოსკოველი) მიკუთვნებას [145, 103] (უნდა აღინიშნოს, რომ -ag სუფიქსი უფრო კონკრეტულად გამოხატავს პიროვნების ეროვნულ კუთვნილებასაც და გეოგრაფიულ საცხოვრებელსაც. მაგ. ყырпысс-аг (რუსი რუსეთიდან), ხოლო ტერიტორიის აღმნიშვნელი სუფიქსი ცალკეა – стон). ჩვენი აზრით, ებრაელების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინი ოსურში დამკვიდრდა არა როგორც „ებრაელი“, არამედ, როგორც განსხვავებული, ებრაელთა პატრიარქის პირველსაცხოვრისის ქალაქ ურიდან მოსული ხალხის აღმნიშვნელი, რასაც აკონკრეტებს წარმომავლობის სუფიქსი -ag. მივიღეთ Yr-ag, ხმოვანსა და თანხმოვანს შორის ჩამჯდარი i ოსური დიალექტისთვის იყო დამახასიათებელი, მივიღეთ Y-i-r-ag, ე.ი. ურელი, ურიდან მოსული.

შემდეგ წარმომავლობითი ტერმინი იქცა ეთნიკურ ტერმინად (საინტერესო ფაქტია, რომ ტერმინმა ურიაჲ ქართულში დაკარგა წარმომავლობითი – სუფიქსი -ელ-ი და არქაული ფორმით შემოგვრჩა მხოლოდ ზოგიერთ კერძო სახელებში ური-ელა (საკ. სახელი), ური-ული (სოფ. ქართლში). ხოლო სვანურში, ოსურში შემორჩა იგი არქაული სახით). ქართულში რომ ურია სადაურობის აღმნიშვნელი არ ყოფილიყო, იგი უბრალოდ გადავიდოდა ოსურშიც Уриа (-აგ სუფიქსის გარეშე).

ებრაელები, რომლებიც საქართველოში მოვიდნენ, ბუნებრივია, თან მოიტანდნენ საკუთარი ეთნოსის აღმნიშვნელ სახელსაც, რომელიც მათ თავიანთ ეთნარქის იაკობის მეორე სახელიდან გამოჰყავდათ „ამიერიდან აღარ ითქვას შენს სახელად იაკობი, არამედ ისრაელი, რადგან ღმერთს და აღამიანებს შეებრძოლე და სძლიე“ (დაბ. 32, 38). ებრაელობის აღმნიშვნელი მეორე ტერმინია, აგრეთვე, იუდეველი. რაც ერთ-ერთი ტომის იუდას ტომის სახელთან არის დაკავშირებული და შემდეგში იქცა ეთნიკურ ტერმინად.

რაც შეეხება ურიას, ხშირია შემთხვევები, როდესაც აღამიანთა კრებულის აღმნიშვნელად რომელიმე გეოგრაფიული პუნქტი იქცევა ხოლმე (ლაციუმი – ლათინები, აქაია – აქაველები...). 12 ტომად (მუხლად) გამოსულ ებრაელებს ერთი საერთო წარმომავლობა ჰქონდათ – ისინი აბრაამის ჩამომავლები იყვნენ, აბრაამი კი ქალდეველთა ქალაქ ურიდან იყო გამოსული, ამდენად, ადვილად შეიძლებოდა მათ აღსანიშნავ ტერმინად წარმომავლობის ადგილი ქცეულიყო.

ჩვენი ვარაუდით, ებრაელთა ეთნიკური ტერმინების ამოსავალი მაინც ებრაულ ენაში უნდა ვეძიოთ, იქნება ეს საკუთარი სახელის, სადაურობის აღმნიშვნელი თუ ტომობრივი მიკუთვნების ამსახველი. თითოეული ებრაული სიტყვა, რომლის ქვეშაც მოცემული ტერმინი (ებრაელი, ურია, ისრაელი, იუდეველი)... მოიაზრება, განიცდის სათანადო ტრანსკრიპციას და თითოეულ ენაში მკვიდრდება ამ ენისათვის უფრო მისაღები ფორმით.

საინტერესოა ისიც, თუ როგორ აღნიშნავდნენ თვითონ ებრაელები ქართველებს და საქართველოს. სამწუხაროდ, როგორც ძველ, ისე თანამედროვე ებრაულში „ქართველის“ და „საქართველოს“ აღმნიშვნელი ებრაული ტერმინი არ გვხვდება. კ. წერეთელი, იმის გამო, რომ იოსებ ფლავიუსის (I ს.) თხზულებათა ბერძნულ თარგმანებში დასტურდება სიტყვა „იბურები“. განმარტებაში მიუთითებს, რომ „იოსებ ფლავიუსი „იუდეველთა ომის“ წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ მან ეს თხზულება

ებრაულად დაწერა და შემდეგ თარგმნა ბერძნულად. სამწუხაროდ მისმა თხზულებებმა მხოლოდ ბერძნულ ენაზე მოაღწიეს“ [116, 237] და ვარაუდობს, რომ ებრაულადაც „იბერები უნდა გვეჩინოდა, რაც მოგვიანებით სირიულში დადასტურებული ტერმინის შესაბამისია“ [116, 238].

I საუკუნიდან XX საუკუნემდე ებრაული ენა ფაქტიურად ცოცხალი ხმარებიდან გამოსული იყო. საქართველოშიც ცოცხალი ებრაული მეტყველება შეცვალა მთლიანად ქართულმა და მხოლოდ იქ შემორჩა ებრაული ენა, სადაც ნაკლებად იყო მოსალოდნელი ქართული სესხება, ამიტომ დღეს ებრაულში „საქართველოს“ და „ქართველის“ ებრაულის ექვივალენტი არა გვაქვს. ებრაელებმა ქართველების ეთნიკურ ტერმინად შეითვისეს ძირითადად ევროპაში დამკვიდრებული ქართველისა და საქართველოს აღმნიშვნელი სახელები: შესაბამისად რუსულის გავლენით Грузия – Грузии და ლათინურის გავლენით Georgia, რაც კ. წერეთელს მართებულად არ მიაჩნია [118, 38].

ძველ ქართულში ებრაულიდან ნასესხებ სიტყვათა რაოდენობა, სხვა სემიტურ ენათაგან ნასესხებ (არაბული, არამეული...) სიტყვებთან შედარებით, ნაკლებია. მათი უმეტესობა მოდის ბიბლიის ენაზე. ბიბლიის ისტორია, მისი კანონი, ებრაული ტექსტების ძველი თარგმანები ხშირად არის განხილული ეფთვიმე მთაწმინდელის, გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირის თხზულებებში (X-XI ს.ს.).

კ. წერეთელი მიუთითებს, რომ საქართველოსა და ქართველის აღმნიშვნელ თანამედროვე ებრაული ეთნიკური ტერმინების ხმარება არ არის გამართლებული და აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ ადრეულ ეპიტაფიაში (V ს.), რომელიც ეკუთვნის მცხეთელ იეჰუდას, „მოცემული სიტყვა „გურკ“ უნდა ნიშნავდეს „ქართველს“. და იყოს იგივე გურგ, რაც ებრაული კანონზომიერი შესატყვისისა აღმოსავლური ტრადიციის ტერმინისა (შდრ. არაბულად ჯურჯ). ებრაულის და იუდეურ-არამეულის ცოცხალი ხმარებიდან გასვლის გამო „გურგ“ ტერმინის ხმარების საჭიროება დაიკარგა“ [111, 266]. მკვლევარი მოსურნეა, თანამედროვე ებრაულში აღდგეს საქართველოსა და ქართველის ძველი შესატყვისი [111, 239, 266-267].

ებრაელობა ქართველობას გაეცნო ჯერ კიდევ ბიბლიის დასრულებამდე, ამდენად მასში ქართველური ტომები აუცილებლად ჰპოვებდნენ ასახვას. ვარაუდობენ, რომ ბიბლიაში მოხსენებული ტომები – მუშქები და თუბალები, ქართველური ტომები არიან: „იაფეთის ძენი, გომერი,

მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი, და თირასი“ (დაბ. 10, 2).

თუბალის ქართულ სამყაროსთან კავშირს პირველად იოსებ ფლავიუსი ეხება, როცა აღნიშნავს, რომ ბიბლიური თუბალები მერმინდელი იბერები (ქართვები) არიან: „...თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ“ [19, 271]. ებრაელი მწერლის აზრს, საუკუნეთა მანძილზე, არ ჰქონდა ალბათ ალტერნატივა, რადგან იგივეს იმეორებს XIX ს-ში თეიმურაზ ბატონიშვილი: „ხოლო იოსაფ ფლავიოს მწერალი იუდიანთა ისტორიისა, ძველთა ებრაელთა მოთხრობათა შინა... მოუთხრობს ესრეთ: „სულ ძველად ქართველთა, ესე იგი ივერთა, თობელი ეწოდებისო, ვინამდგან იგინი შთამომავლობანი არიან იაფეთის ძის იობელისანი“, ხოლო თვითონ თეიმურაზ ბატონიშვილს უსარგებლია იოანე პეტრიწის მიერ ქართულად ნათარგმნი იოსებ ფლავიუსის თხზულებით. ასევე იოსებ ფლავიუსისგან მოდის ბიბლიური „მეშეხის“ შემდეგდროინდელი კაპადოკიელების წინაპრად გააზრება [19, 271].

XIX საუკუნეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალის საფუძველზე შეიქმნა თვალსაზრისი, რომ ის დიდი ტომთა გაერთიანებები, რომლებიც ძვ. წ. II-I ათასწლეულებში მცირე აზიაში არსებობდა, და რომელთა შესახებაც, ბუნებრივია, ინფორმაცია ექნებოდა ებრაულ სამყაროსაც, სწორედ ქართველთა წინაპრების გაერთიანებებს წარმოადგენდა „XIX ს. დასავლეთევროპელმა გამოჩენილმა ისტორიკოსებმა (ლენორმანმა, მასპერომ და სხვებმა) სწორედ უშუალოდ ქართველ ტომთა (მერმინდელი იბერებისა და მესხების) წინაპრად მიიჩნიეს ასურული წყაროებით მცირე აზიაში ძვ. წ. XII-VII სს დამოწმებული თაბალები და მუშქები. ამათ მალე მიემატნენ ქაშქები, როგორც კოლხების წინაპრები... და კარდუხები... კ.ფ. ლემან-ჰაუპტი თვლიდა, რომ ქართვები (იბერები) ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოსული კარდუხებისა და მცირე აზიიდან მოსული მესხების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდნენ“ [45, 318].

ამ შეხედულებამ – ტაბალებისა და მუშქების ქართველთა წინაპრებად გააზრებამ, ცვლილება განიცადა XX ს-ში, როცა გაჩნდა მოსაზრება, რომ „მუშქების სამეფო“, რომლის შემოტევის მოგერიებაც მოუხდა ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I (1115-1077),“ იყო იგივე „ფრიგიის სამეფო“, რომლის მოსახლეობაც მცირე აზიაში ბალკანეთიდან

¹ იხ. ლიტ. [164]

² მუშქები პირველად სწორედ ტიგლათფილესერ I-ის დროის ასურულ ლურსმულ წყაროებში მოიხსენიებიან. ასურულ ტექსტებში ეს ტერმინი ორი ფორმითაა გადმოცემული ე.წ. „წარწერა პრიზმაზე“.

გადმოსახლდა.

უკანასკნელ ხანებში კვლავ შეიცვალა აზრი ამ საკითხის ირგვლივ, და კვლავ გააცოცხლა მოსაზრება მესხებისა და თუბალების ქართველურ ტომებთან კავშირის შესახებ, რომლის დასაბუთება წარმატებით სცადა ივ. ჯავახიშვილმა. მისი აზრით: „XI ს-დან მოყოლებული (ძვ. წ.) მუსკები, ტაბალები და კასკები, რომელნიც მერმინდელ მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართველი ტომები იყვნენ, უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან და ხშირად ძღვეამოსილ ბრძოლას აწარმოებენ ასურელების წინააღმდეგ“ [99, 43]. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ისინი იყვნენ მეტალურგი ტომები, რომლებსაც მშვენიერად სცოდნიათ ლითონის დნობის საიდუმლობანი და „...ამ ქართველ ტომებს მართო თავიანთთვის კი არ უკეთებიათ მადნეული ჭურჭელი და იარაღი, არამედ ისეთ შორეულ ქვეყნებშიაც კი მიჰქონდათ ხოლმე გასაყიდად, როგორიც იყო ტვიროსი“ [99, 43]. მკვლევარი აღნიშნავს, რომ, ამ მეტალურგი ტომების ქართველთა წინაპრებად აღიარებას ისიც უწყობს ხელს, რომ „...კალის გარდა ძველ ქართულში და მის ენა-კილოკავებში არც ერთი მადნის სახელი არ მოიპოვება, რომელიც უცხო ენებიდან ყოფილიყოს შეთვისებული“ [99, 43]. გარდა ამისა, XX ს-ში დასავლეთის ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ თაბალები ინდოევროპელები იყვნენ, ივ. ჯავახიშვილმა, შეისწავლა რა ქართველური და სხვა კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემები, დაუპირისპირა მოსაზრება, რომ უძველეს ხანაში ამ ტომებს სწორედ სამხრეთ ამიერკავკასიაში უნდა ეცხოვრათ და რომ ამ მონათესავე ტომების მოძრაობა სამხრეთიდან მიემართებოდა ჩრდილოეთისაკენ. ამდენად: „...მონათესავე ქართველური და სკვითურ-სარმატული ტომები თავის გვიანდელ ადგილსამყოფელში შეიძლება მოხვედრილიყვნენ მხოლოდ სამხრეთიდან და თუბალ-თაბალები და მოსოხ-მუსქები არ შეიძლება ინდოევროპელები ყოფილიყვნენ“.

ს. ჯანაშია, მიმოიხილავს რა ქართველური ტომების სახელწოდებებს ანტიკურ ავტორებთან, ბოლოს განიხილავს ქართველური ტომების აღმნიშვნელ შესაძლო ტერმინებს ბიბლიაში. იგი იზიარებს ე. დორმის მოსაზრებას, რომელსაც უეჭველად მიაჩნია ბიბლიური მეშენის კავშირი ბერძნულ მოსხებთან. შემდეგში მოსხები ტიბარელების აღმოსავლელი მეზობლები იყვნენ და ეჭირათ არმენიის ჩრდილო-დასავლეთით, პონტოს აღმოსავლეთ საზღვრამდე და ჩრდილოეთით კოლხეთამდე [26, 71]. თუბალ-კაენის შესახებ დაბადებაში ნათქვამია: „შვა ცილამაც თუბალ-

კენი, რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი“ (დაბ. 4, 22). ს. ჯანაშია ამ ცნობას უკავშირებს „...თანამედროვე არქეოლოგიის მიერ დადგენილ ფაქტს, რომ ბრინჯაოს შესანიშნავი კულტურა, რომელსაც წინათ ყობანის კულტურას ეძახდნენ, ნამდვილად კოლხეთის კულტურაა. რომ ამ კულტურის აყვავების ხანა სწორედ თაბალ-თუბალის ეპოქაზე მოდის, რომ კოლხური კულტურა ვრცელდება შორს სამხრეთით... მაშინ... ხომ არ არის კოლხური ბრინჯაოს კულტურა ნამდვილად თუბალების ანუ იმავე თუბალ-კაინების კულტურა? [26, 73].

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში სანდო წყაროებზე დაყრდნობით საბოლოოდ დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ ბიბლიაში მოხსენებული თუბალები და მუშქები ქართველური სამყაროს წარმომადგენლები არიან და რომ ბიბლია სწორედ ამ სახელით იცნობდა ქართველთა უძველეს წინაპრებს. ამ საკითხებს ეხება: გ. მელიქიშვილი [158, 105; 45]. ა. იესენი აღნიშნავდა, რომ თუბალ-ტიბარენები, მესხი-მოსხები და ხალობები ფლობდნენ მეტალურგიის მაღალ დონეს და მათი საცხოვრისი საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა [148, 10]; კ. წერეთელი [113]; ნ. ხაზარაძე [121, 114]; ნ. ხაზარაძე მიუთითებს, რომ ძვ. წ. XII ს-ის ასურულ ტექსტებში მუშქები წარმოადგენილია, როგორც ერთ-ერთი დიდი პოლიტიკური გაერთიანება მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მხარეში. ტიგლათფილასარ I-ის გამეფებამდე ნახევარი საუკუნით ადრე მუშქები ღრმად იჭრებიან ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. ამის შემდეგ კვლავ გააგრძელეს წინსვლა. ტიგლათფილასარ I-მა მათ წინააღმდეგ დიდი სამხედრო ოპერაცია განახორციელა. ამის შემდეგ ასურეთის მეფე შეიჭრა „შუბართუს“ (სუბართუს ე.ი. ხურიტების) ქვეყანაში – ალბისა და ფურულუმბიში, რომლებსაც უარი უთქვამთ ასურეთისათვის იმ ხარკის გადახდაზე, რომელსაც მუშქებს უხდიდნენ [122, 73 და შმდგ]. ო. ჯაფარიძე, რომელიც მიუთითებს, რომ ბიბლიისა და ანტიკური ავტორების ცნობების მიხედვით მეტალურგი ტომები (თუბალ-ტიბარენები, მესხი-მოსხები, ხალობები), ისტორიულად ითვლებოდნენ ქართველთა წინაპრებად [166, 4]. გრ. გიორგაძე მიუთითებს, რომ „მკვლევარები ასურულ წყაროებში მოხსენიებულ მუშქებს უკავშირებენ ქართული წყაროების „მესხებს“, ბერძენ-რომაული ტექსტების „მოსხებისა“ და ბიბლიის „მოსოხ-მეშექ“ სახელწოდებებთან“ [81, 122].

ბიბლიურ ენციკლოპედიაში ბიბლიური მეშექი განიხლება, როგორც

მესხების წინაპარი, რომლებიც ცხოვრობდნენ შავი და კასპიის ზღვებს შორის და ეწოდნენ ტვიროსთან ვაჭრობას „იავანი, თუბალი და მეშექი იყვნენ შენი (ტიროსის) გამსაღებლები; ტყვეებსა და სპილენძის ჭურჭელს გიხდიდნენ საქონელში“ (ეზეკიელი 27, 13).^{*}

ამრიგად, ქართველური და ებრაული ტომები საუკუნეთა მანძილზე იცნობდნენ ერთმანეთს და იცოდნენ ერთმანეთის აღმნიშვნელი ტერმინები. ქართულში დამკვიდრებულია ებრაელის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინები – ებრაელი, რომლის ამოსავლადაც მიგვაჩნია ებრაული ზმნა ებერიქითა მხარე, ხოლო ურია – ვფიქრობთ უნდა მოდიოდეს ებრაელთა პატრიარქის აბრაამის პირველსაცხოვრისის – ქალდეელთა ქალაქურიდან. რაც შეეხება, ებრაულში ამჟამად დამკვიდრებულ საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინებს Грузия, Georgia, იმის გათვალისწინებით, რომ ებრაელებმა ჯერ კიდევ ათასწლეულების წინ იცოდნენ ქართველთა წინაპარი ტომების აღმნიშვნელი ტერმინები, სასურველი იქნებოდა შეცვლილიყო ტერმინით ფაგ, რაც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ქართველ ებრაელთა ათასწლოვან ურთიერთობებს.

* მუშქების აღრეკლასობრივ სახელმწიფოსთან დაკავშირებით მართებულად გვეჩვენება გ. გიორგაძის მოსაზრება ისტორიულ სამხრეთ საქართველოში სახელმწიფოებრივი განვითარების სათავეები დათარიღდეს ძვ. წ. XII საუკუნიდან მაინც (თუ უფრო აღრე არა) [81, 125].

თ ა ვ ი I V

ქ ა რ თ უ ლ - ე ბ რ ა უ ლ ი უ რ თ ი ქ რ თ ო ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს ა თ ვ ი ს

საქართველოში ებრაელი ხალხის ისტორიით დაინტერესება არ უნდა იყოს გვიანდელი (IX-X სს) მოვლენა, როგორც ამას მკვლევართა ნაწილი თვლის, რომლებიც ამ ფაქტს ხსნიან ბაგრატიონთა გვარის აღზევებით და იმის გამო, რომ ეს უკანასკნელნი თავს წინასწარმეტყველ დავითის ჩამომავლებად თვლიან. ქართული ისტორიული აზროვნება ოდითგანვე დიდ ინტერესს იჩენდა მსოფლიო ისტორიული მოვლენებისადმი და მათ შორის ებრაული სამყაროს მიმართაც. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ქართველ ებრაელებს (ჰურიათა ქართველთა) საქართველოს ისტორიაში საპატიო ადგილს მიუჩენს იმით, რომ მათ სახელთან აკავშირებს უპირველესი ქრისტიანული სიწმინდეების ელია წინასწარმეტყველის ხალენისა და ქრისტეს კვართის საქართველოში ჩამოტანას. „ქართლის ცხოვრება“ არ ღალატობს დამკვიდრებულ ტრადიციას – ლეონტი მროველი ცდილობს საქართველოს ისტორია წარმოადგინოს მსოფლიო ისტორიის ორგანულ ნაწილად და სხვა ძველ ერებთან ერთად ებრაელების ისტორიის უმნიშველოვანესი მოვლენების კურსშიც ამყოფოს მკითხველი. ის, რომ კავკასიის მოსახლეობის წარმოშობის ბიბლიური სიუჟეტი შეიქმნა, რითაც ფაქტიურად მოხდა კავკასიელი ხალხების ებრაულ სამყაროსთან გენეტიკური დაკავშირება, ლეონტი მროველს მოვსეს ხორენაციზე ნაკლები დამსახურება არ მიუძღვის.

„ქართლის ცხოვრებაში“ ქართლოსიანთა უძველეს წინაპრებზე ლეონტი მროველი ისე საუბრობს, როგორც ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის თანამედროვეებზე. ებრაელთა მიერ ზღვის გავლა ქართლში აღიქვეს, როგორც სასწაული, რომელიც ისრაელთა ღმერთმა მოაწვინა. მეცნიერების ვარაუდით ეს მოხდა ძვ. წ. XIII ს-ში ეგვიპტის XIX დინასტიის ფარაონის მერნეპტახის (1223-1211) დროს [135, 22]. ის, რომ „საქართველო ებრაელებს გაეცნო ბევრად ადრე, ვიდრე მის ბრწყინვალე შემოქმედებას – ბიბლიურ წიგნებს“ [113, 37] მკვლევართა

შორის თითქმის საკამათო აღარ არის. საუკუნეების მანძილზე ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში ქართველმა ებრაელებმა შეინარჩუნეს საკუთარი ებრაული ენაც. იგი დაცული იყო ძირითადად ებრაული მოსახლეობის გარკვეულ წრეებში (სასულიერო და სწავლულთა), სადაც თაობიდან თაობაში გადაიციმოდა ებრაული ენის პასიური ცოდნა.

საუკუნეების მანძილზე ქართველებსა და ებრაელებს შორის ურთიერთობამ წარმოშვა აზრი იმის შესახებ, რომ ამ ორ უძველეს ერს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა არა მხოლოდ მსგავსი ისტორიული ძნელებლობით არის გამოწვეული, არამედ მისი ფესვები უფრო შორსაა საქმებარი. ეს ურთიერთობები თავის საწყისს „შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ხალხური, გაუცნობიერებელი ლეგენდებისა და თქმულებების სფეროში ჰპოვებენ. იუდეველობა – ვითარცა უძველესი ისტორიულ-კულტურული ეთნიკური ერთეული, ბიბლიურ ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას უძმაფრებდა მეზობელ ხალხებსა და ტომებს [54, 228]. 2600 წელი ვაჟკაცურად მოაბიჯებენ ქართველი ებრაელები ქართველებთან ერთად საუკუნეების ქარტეხილებში, ჭირსა თუ ლხინში. ეს ურთიერთობები გარეშე თვალისათვის იმდენად იდეალური იყო, რომ ბევრმა ძველმა ავტორმა ქართველებისა და ებრაელების ეთნიკურ ნათესაობაზე დაიწყო საუბარი. უფრო მეტიც, ზოგიერთი ქართველებს (იბერებს, ივერიელებს) ებრაელთა უშუალო შთამომავლებადაც აცხადებდა. მაგალითად, ამის შესახებ ვესევი კესარიელი წერს: „ნაბუქოდონოსორმა, რომელიც პერაკლეზე უფრო ძლიერი იყო, მის შემდეგ, რაც საომარი ჯარი შეკრიბა, მიადწია ლიბიელთა ქვეყანაში და იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა; ერთი წილი მათგანი გადაადგილა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე, იქ დაასახლა“ [19, 30]. ამასთან დაკავშირებით გ. მელიქიშვილი მიუთითებს, რომ ნაბუქოდონოსორს არც ლიბიაში და არც იბერიაში (ესპანეთში) არ ულაშქრია. მართალია, ნაბუქოდონოსორი მესოპოტამიაში, სირიაში, ფინიკიასა და პალესტინაში მოპოვებულ გამარჯვებებთან ერთად ეგვიპტესაც ეომებოდა, მაგრამ ეს ბრძოლები აზიის მიწა-წყალზე ხდებოდა [42, 233]. ნაბუქოდონოსორ II-ის ლაშქრობებიდან ყველაზე კარგად პალესტინაზე მისი ორგზისი ლაშქრობაა ცნობილი, როდესაც მან ებრაული მოსახლეობა აჰყარა და გადაასახლა. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ სწორედ ამის გამოძახილია ძველ ავტორებთან აღნიშნული ნაბუქოდონოსორის ლიბიასა და ესპანეთის იბერიაში

ლაშქრობაც, რითაც ხაზგასმული იყო იერუსალიმის მთავარი ტაძრის დამანგრეველის სამხედრო ძალა.

IV ს-ის ავტორი, საეკლესიო მწერლობის ცნობილი წარმომადგენელი, წარმოშობით ებრაელი ეპიფანე კვიპრელი (314-403) ქართველურ ტომებს სემის ჩამომავლებად თვლის, სემის გავლენის სფეროებადვე თვლის, როგორც პალესტინას, ასევე იბერიას: „ხოლო სემს წილად ხვდა სივრცით პალესტინა... ლაზია, იბერია, კასპია“ [19, 41]. ბიბლიურ ტრადიციაზე დაყრდნობით სემისაგან სემიტი ტომები მომდინარეობენ. IV ს-ის მოღვაწის მიერ მათში ქართველური ტომების მოხსენიება ფრიალ საინტერესოა. ეპიფანე კვიპრელი წერს, რომ სხვადასხვა ტომთა სახელების ორჯერ მოხსენიება „ან დროთა ვითარებაში მომხდარა გადასახლების გამო ან ქამის მიერ მითვისების გამო“ [19, 41], ხოლო „სემს ეყოლა შვილები და შვილთა შვილები მანამდე, სანამ გაიყვნენ ენები და გაიფანტნენ ენების, მოდგმების და სამეფოების მიხედვით. მათი სახელები შემდეგია: ...ლაზები, ხალიბები, ფსილიტები, მოსინიკები, იბერები...“ [19, 40] – ჩვენთვის საინტერესოა თვითონ ის ფაქტი, რომ ავტორს ქართველური ტომები გაიგივებული ჰყავს უშუალოდ სემიტ ტომებთან, თორემ ბიბლიისათვის სემიც, ქამიც და იაფეტიც ერთი მამის, ანუ ერთი ეთნიკური რასობრივი პირველწყაროს შთამომავლები არიან.

V ს-ის სომეხი ისტორიკოსი მოესეს ხორენაცი მოგვითხრობს; „...კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთის გამგებლად (ვალარშაკმა – დ. ჩ.) დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ. ისინი იყვნენ შთამომავალნი დარეჰის ნახარარის მიპრდატისა, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ ივერიელთა მოდგმას“ [123, 106-107].⁶ ცოტა ქვემოთ ხორენაცი წერს: „...არტაშესმა თავისი ასული არტაშამა მიათხოვა ვინმე მიპრდატს, ქართველთა დიდ პიტიახშს (იგულისხმება ქვემო ქართლის, გუგარქის პიტიახში); იგი ნაშიერი იყო დარეჰის ნახარარის მიპრდატისა. რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, ალექსანდრემ ივერიელთა ქვეყნიდან მოყვანილი ტყვეების ხელისუფლად დაადგინა [123, 111]. მ. ხორენაცის ამ ცნობას პ. ინგოროყვა იგებდა, როგორც ქართველების, არიან – ქართლიდან გადმოსახლების შესახებ შეცვლილ ვერსიად [31, 284-286]. ამ ცნობაზე

⁶ სომეხ მემატიანეებს, მათ შორის ხორენაციისაც გუგარქი ქართულ ქვეყნად ესახებათ, ხოლო გუგარელები – ქართველებად [123, 264].

დაყრდნობით გ. მელიქიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ იბერიაში გავრცელებული ყოფილა ვერსია იბერთა მმართველი სამეფო სახლის სპარსეთის აქემენიდთა დინასტიის მეფის დარიოს III-ის (ძვ. წ. IV ს. II ნახ.) სატრაპ მითრიდატესაგან წარმომავლობის შესახებ, რომელიც ალ. მაკედონელს დაუნიშნავს კავკასიის იბერიელების მმართველად [45, 313-314].

იბერიელთა ებრაულ წარმოშობაზე მოგვითხრობს ბიზანტიის კეისარი, მწერალი და ისტორიკოსი კონსტანტინე პორფიროგენეტი (912-959 წ.წ.): „თავისი თავის განმადიდებელი იბერები, ესე იგი კუროპალატის იბერები, ამბობენ, რომ ისინი ურიას ცოლის შთამომავლები არიან, რომელიც დავითმა, წინასწარმეტყველმა და მეფემ, შეაცდინა;“ ისინი ამბობენ, რომ თვითონ შთამომავლობენ მისი შვილებისაგან, დავითთან რომ შეეძინა და რომ ისინი დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფის, ნათესავნი არიან და აქედან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაც, რადგან ესეც დავითის თესლისაგან არის წარმოშობილი... ისინი ამბობენ, რომ მათი გვარი იერუსალიმიდან არის...“ [18, 255].

შსგავს ცნობებს იძლევა XVII ს-ის I ნახევრის თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელები: „ნიმროდიდან (იგულისხმება მესოპოტამია) წარმომავალ ხალხებში პირველნი ებრაელები არიან. მათ შემდეგ – ქართველების – დადიანისა და შავშეთის ხალხები. ამათ შემდეგ გურიელი, აჩიკაში, მეგრელი ხალხია. ყველა ესენი ებრაელების და დავითის – შშვილობა იყოს მასზე – მრევლთაგანი იყვნენ. ქრისტიანობა მიიჩემეს და სახარების მიხედვით მოქმედებენ“ [50, 297].“ ამ ცნობის შეფასებისას ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ევლია ჩელები მუსლიმი ავტორია და ქრისტიანობის მტერი. ამდენად, მის მიერ საქრისტიანო საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მოსახლეობის ებრაელებად გამოცხადება ტენდენციურია, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს მეზობელ მუსლიმურ ქვეყნებშიც იცოდნენ ზემოთ აღნიშნული ლეგენდის შესახებ.

⁵ ძველი აღთქმის მიხედვით, დავით მეფის 37 გმირთაგან ერთ-ერთი იყო ურია ხეთელი, რომელიც მეფის ბრძანებით ყველაზე სასტიკ ბრძოლის ველზე გაგზავნეს, სადაც იგი დაიღუპა. მისი ცოლი ბარშებაყი (ბერსაბე) დავით მეფემ ცოლად შეირთო [მეორე მეფეთა, 11, 3-27].

⁶ „ბიბლიის ცნობის „ქეშმა შვა ნებროთი“ - (დაბადება, 10,8), მიხედვით ე. მამისთავალიშვილი აღნიშნავს, რომ „ბიბლიის მიხედვით „ნიმროდის ქვეყანა“ მესოპოტამიაშია ნაგულისხმევი და ევლია ჩელებსაც ქართველები ნახუქოდონოსორისაგან ტყვედქმნილი ებრაელების გაქრისტიანების შედეგად წარმოშობილად მიაჩნდა“ [93, 65].

მარი ბროსე წერს: „...ისრაელის სამეფოს დამხობიდან სალამანსარის მიერ 821 წ. ქრ. შ. წ. და იერუსალიმის აღების შემდეგ ნაბუქოდონოსორის მიერ 607 წ. ქ. შ. წ. დიდი რიცხვი ებრაელებისა ტყვედ წაიყვანეს ასურეთის ჩრდილოეთის ნაწილში. იმათგანი ზოგიერთი მიდიაში, ეხლანდელ ადერბეიჯანში და ზოგი ევქსინის პონტოს სამხრეთ ნაპირებზე, ე.ი. გურიაში დაესახლა. ამ უსაცილო, ყველასაგან მიღებული ფაქტისაგან (!) უეჭველად წარმოდგა ის ისრაელების განმრავლება, რომელსაც ვპოვებთ ეხლა დასავლეთ საქართველოში. ქართული ზეპირგადმოცემით რამოდენიმე ებრაელი მცხეთის პირდაპირ, არაგვის გაღმა მხარეში, დაემკვიდრა და ქართლის მამასახლისის ქვეშევრდომობა მიიღო, რის გამო ამ მხარეს უწოდეს ხერკი, ე.ი. მოხარკე მხარე“ [66, 15].

მთელი რიგი ქართული ტოპონიმიკის ებრაულთან კავშირს განიხილავს ი. შოპენიცი: „...Мы рѣшаемся думать, что древнѣе Иберы, отъ которыхъ сохранилось названіе не народа, а страны въ нашей (იგულისხმება რუსეთის იმპერია) Иб/мерети, были именно тѣ самыя евреи (Ев/Иб рѣ), которыхъ переселили сюда в VIII вѣкъ до Р.Х. Ас-Ирскій царь Салманассаръ“ [168, 202]. ი. შოპენის აზრით, სახელი „იბერია“, რომელიც პირველად სტრაბონთან გვხვდება პონტოს მეფის მითრიდატეს წინააღმდეგ მოწყობილ რომაელთა ექსპედიციის დროს, კერძოდ, ძვ. წ. 65 წ., შეიძლებოდა რომაელებს აეღოთ სომეხთაგან (!), რადგანაც ამ უკანასკნელთათვის ქართველები იყვნენ იქაურები, იმ მხარიდან „ту сторону“. შოპენს მდინარე მტკვრის სახელწოდებაც ებრაულთან კავშირში აქვს განხილული და აღნიშნავს, რომ მდ. იორდანეს ოდითგანვე უწოდებენ გურს (Гуръ=Куръ) [168, 205]. მართალია, ზოგიერთი მოსაზრება დამაჯერებლობას მოკლებულია, მაგრამ მათი არსებობა თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ რუსულ სამეცნიერო და ელიტარულ წრეებში XIX ს-ში, საკმაოდ გავრცელებული ყოფილა აზრი ქართველთა და ებრაელთა ეთნიკური ნათესაობის შესახებ, რასაც ალბათ ხელს უწყობდა ბაგრატიონთა სამეფო გვარის ებრაული, კერძოდ, დავითის თესლ-ტომიდან წარმომავლობის შესახებ დამკვიდრებული შეხედულებაც.*

* ტერმინ „იბერიის“ შესახებ აზრი გამოთქმული აქვს ბევრ მკვლევარს: ნ. მარს [147, 354-355], დ. მუსხელიშვილს [68, 75-76], ს. ჯანაშიას [102, 70-72], თ. ყაუხჩიშვილს [75, 80-81] და სხვა.

აღ. სარჯველაძე „იბერიას“ თელის ფინიკიური წარმომავლობის სიტყვად და მიაჩნია, რომ „ფინიკიელები საქართველოში პირველ რიგში კოლხეთს უნდა დაკავშირებოდნენ. კოლხეთში მყოფი ადამიანისათვის კი აღმოსავლეთ საქართველო არის მცირე კავკასიონის იქით მდებარე ქვეყანა“ [64, 122]. ფინიკიელთაგან კი ბერძნებს უნდა მიეღოთ ეს სიტყვა – ფიქრობს ალ. სარჯველაძე. თუ ეს ასეა, ე.ი. „იბერიის“ ძირი სემიტური ყოფილა და იგი ფაქტიურად წარმოადგენს სიტყვა „ებრაელის“ ძირსაც, რადგან ამ უკანასკნელის მნიშვნელობაც არის „იქითა მხარე“.

ბაგრატიონთა სამეფო გვარის ებრაული წარმოშობა, რომლის უძველესი ცნობა V ს. სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“ გვხვდება, მრავალი მეცნიერის კვლევის საგანი გახდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ამიერკავკასიის ორი უძველესი ქვეყნის – საქართველოსა და სომხეთის სამეფო დინასტიებს სწორედ ბაგრატიონები წარმოადგენდნენ. ქართულ სინამდვილეში, სამეფო საგვარეულოს – ბაგრატიონების ებრაული წარმოშობა, იქცა გაბატონებულ შეხედულებად. შუა საუკუნეებში, ქართულ ისტორიულ აზროვნებაში, ახალ-ახალი არგუმენტები ჩნდება ბაგრატიონთა, უშუალოდ, დავით წინასწარმეტყველიდან მომდინარეობის შესახებ. ქართველი მეფეები თავიანთ ტიტულატურაში ამკვიდრებენ ტერმინებს „დავითიან-სოლომონიანი“, მათ სამეფო გერბზე საპატიო ადგილს იკავებს ებრაელების მიერ ჩამოტანილი ქრისტეს კვართი, ხოლო საქართველოს უდიდესი მეფეები დავით IV, თამარი, გიორგი V, ერეკლე II თავიანთ თავს დავით წინასწარმეტყველის უშუალო ჩამომავლებად თვლიან და ამით ამყობენ კიდევ. ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს ვარაუდი არ იქნა გაზიარებული. მკვლევართა უმეტესი ნაწილი თელის, რომ გვარის აღზევებამ გამოიწვია მის შესახებ ლეგენდათა ციკლის შექმნა, უფრო მეტიც, ბაგრატიონებს უკავშირებენ ფარნავაზიანთა დინასტიასაც [32, 76-87; 25, 24; 96, 154; 37, 144-149].

ქართულ-ებრაული გენეტიკური ნათესაობა დღევანდელ ისტორიულ მეცნიერებაშიც აქტუალურ საკითხად რჩება.

ი. დავიდმა წამოაყენა ებრო-იბერული გენეტიკური თეორია, რომელიც ასევე აღიარებს ქართველებისა და ებრაელების გენეტიკურ ნათესაობას, მხოლოდ უკუ პროცესით – ქართველები კი არ არიან ებრაელების ნათესავნი, არამედ ებრაელები არიან იაფეთურ-კავკასიური ენობრივი ოჯახის ხალხი, რომლებიც ჩამოყალიბდნენ კავკასიის სამხრეთ არეალში,

„ეს რაიონივე წარმოადგენდა ჩვენი მტკიცე ვარაუდით ებრაელთა, იბერ-ბასკთა, ბერბერთა და კელტების განსახლების პუნქტსაც“ [55, 12]. ი. დავიდის აზრით, დაახლოებით ძვ. წ. XV ს-ში ებრაული ჰაბირუს ტომები გადაინაცვლებენ სამხრეთ კავკასიიდან ეგვიპტე-პალესტინაში, სადაც შეითვისეს კიდევ სემიტური ენა-მეტყველება, განიცადეს ფიზიკურ-რასობრივი სემიტიზაცია – ქანაანიზაცია და ამდენად: „ჰაბირუს ტომები მომდინარეობენ რა გენეტიკურად, აბორიგენი იბერო-კავკასიური ტომების შემადგენლობაში კავკასია-მცირე აზიიდან, ინტენსიურ სემიტიზაციას განიცდიან პალესტინაში და შემდგომში გარკვეული ტომების სახით ისევ უბრუნდებიან კავკასია-მცირე აზიას და ირანს“ [55, 12]. ჩვენი აზრით, ეს იყო ფორმირების პროცესში მყოფი ტომების გლობალური სემიტიზაცია, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მონოთეისტური რელიგია მთელი თავისი დოგმატიკით, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა უცხო ელემენტის ეთნო-ანთროპო-ლინგვისტურ ექსპანსიას. ამის მსგავსი მოვლენა იყო მოგვიანებით მომხდარი მორიგი გლობალური სემიტიზაცია – არაბიზაცია – უკვე კულტურული, საკმაოდ დახვეწილი რელიგიურ-სოციალური ინსტიტუტების მქონე ხალხებისა – იქნებოდა ეს ეგვიპტური, ფინიკური, სირიულ-ქანაანური, აქადურ-ასურულ-ბაბილონური ხალხები. მათ სრული არაბიზაცია განიცადეს იმ მძლავრი რელიგიურ-პოლიტიკური შემოტევისაგან, რომელსაც ადგილი ჰქონდა VII ს-იდან. შედარებით ახალმა რელიგიურმა დოგმატიკამ, რომელიც არაბული ტომების სამხედრო ნიაღვრებს მოჰყვებოდა, წალეკა იმდროინდელი კულტურული კაცობრიობის უმეტესი ნაწილი და საუკუნეების მანძილზე ცივილიზაციის მონაპოვარი საკუთარ სამსახურში ჩააყენა. უფრო მეტიც, იმდენად ძლიერი იყო ხსენებული პროცესი, რომ მას ვერ გადაურჩნენ ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებული ირანულ-თურქული ეთნიკური სახელმწიფოებრივი გაერთიანებები. მართალია, ისინი გადაურჩნენ ეთნიკურ სემიტიზაციას, სამაგიეროდ სამუდამოდ აღმოჩნდნენ არაბთა ეროვნული მონოთეისტური რელიგიის გავლენის ქვეშ. ი. დავიდი ერთადერთ ხალხად, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია ზემოთ აღნიშნულ პროცესს და არ განიცადა არაბიზაცია, ასახელებს ებრაელებს (თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ებრაელებმა სემიტიზაცია მაინც განიცადეს და თანაც უფრო ადრე). რელიგიური ფაქტორი აღმოჩნდა ძლავრი იარაღი, რომლითაც ებრაელობა დაუპირისპირდა არაბულ სამყაროს. აქვე ი. დავიდი აღნიშნავს: „არაბებმა

საქართველო-კავკასიაში 400 წლის ბატონობის მიუხედავად, ვერ მოახერხეს ადგილობრივი ეთნიკური ელემენტის ვერც არაბიზაცია და ვერც ისლამიზაცია, რისი ძირითადი მიზეზიც იუდაიზმიდან მონოთე- ისტურად აღმოცენებული ქრისტიანობა იყო“ [55, 13].

ი. დავიდი აყენებს ებრაელების ანთროპოლოგიურად კავკასიური რასისადმი მიკუთვნების თეორიასაც – იგი გენეტიკური ნათესაობის მთავარ არგუმენტად ასახელებს იმას, რომ ებრაელები რიგ ევროპა- აზიის ეთნიკურ ერთეულებთან ერთად „სწორედ კავკასიოდურ რასას წარმოადგენენ, ან უფრო სწორედ მის ნაწილს (განსხვავებით მონღოლოიდური, ნეგროიდული, ავსტრალიოდური და ა.შ. რასობრივი ჯგუფებისაგან). ამდენად, რამდენად მკვეთრადაც არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთურთისაგან შიდა ებრაული ქვე-ეთნიკური ჯგუფები – აშქენაზები, სეფარადები, თემანელები, კავკასიელები და ა.შ. ისინი მაინც ერთი მთლიანი კავკასიოდური რასის ნაწილს შეადგენენ“ [55, 13]. ი. დავიდის აზრით, დიასპორიზებულ ებრაელებს შორის რასობრივ-ეთნიკური ფსიქიკის წარმოშობა განაპირობა ისტორიულ-გეო-მატერიალურმა გარემოებებმა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა გეოგრაფიულ რაიონებში გავრცელებულმა ეთნო-ტოპო-ჰიდრონიმმა. ვეერ/ებერ – იბერიამ შექმნა თავისებური სამკუთხედი – კავკასია-პალესტინა-პირინეის ნახევარ-კუნძულის სახით.

მთელი რიგი მეცნიერებისა, რომლებიც იკვლევდნენ ებრაელების გეო-ანთროპოლოგიურ ტიპაჟებს, აღიარებს, რომ კავკასიოდური ებრაული ტიპაჟი, ეს არის განსხვავებული ანთროპოლოგიური ინდივიდი. ამას ხსნიან იმით, რომ სემიტოზაციის პროცესში ებრაელებმა განიცადეს ეთნორასობრივი და კულტურულ-ანთროპოლოგიური ასიმილაცია. სხვა შემთხვევაა საკუთრივ კავკასიურ რასობრივ-ანთროპოლოგიურ ინდივიდებთან შეჯვარება.

საინტერესოდ გვეჩვენება ანთროპოლოგიური მონაცემები ქართველი ებრაელების შესახებ. მ. აბდუშელიშვილის მიხედვით აღამიანთა კეფალომეტრიული და კეფალოსკოპიური მეთოდიკა შემდეგი ძირითადი პარამეტრებით განისაზღვრება: ტანის სიმაღლე, თავის ქალის ფორმა პორიზონტალურ პროექციაში, შუბლის დახრილობა და ზომები, ფიზიონომიური სიმაღლე, თვალის ფერი და სხვა [128, 7]. უცხოელი მკვლევარები თვლიან, რომ „ქართველი ებრაელები ანთროპოლოგიური ტიპის მიხედვით, არსებითად არ განსხვავდებიან აღმოსავლეთის

ქართველებისგან“ [167] და ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ კავკასიელი ებრაელები კავკასიაში და ირანში ავტონომურად ჩამოყალიბებული ტიპების წარმომადგენლები არიან. აღსანიშნავია ალ. ჯავახიშვილის დასკვნები ქართველ ებრაელთა ანთროპოლოგიური ტიპების შესახებ. მისი აზრით, ქართველი ებრაელები წარმომადგენდნენ ეთნიკურ ბაზას ზოგადად კავკასიის ებრაელთათვის [98, 115]. კავკასიელი ებრაელების განსაკუთრებულ ტიპს აღნიშნავენ ი. ივანოვსკი [146], კ. კურდოვი [162], ს. ვეისენბერგი [134] და სხვები.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მ. აბდუშელიშვილის მონაცემებიც [129, 152-205]. აქ მოცემული ცხრილებით ზემოთ აღნიშნული პარამეტრებით თუ შევადარებთ სამტრედიელ ებრაელებსა და იმერლებს, ონელ ებრაელებსა და რაჭველებს, ზაშურელ ებრაელებსა და ქართლელებს შევნიშნავთ აშკარად გამოკვეთილ მსგავსებას თითქმის ყველა პარამეტრის

№		ტანის სიმაღლე	თავის სიგრძე დიამეტრი	თავის განივი დიამეტრი	შუბლის უმცირესი სიგანე	სახის ფიზიონომიური სიმაღლე	სახის პერიფერიული სიმაღლე	ცხვირის სიგანე	შუბლის დახრილობა	თვალის ფერი (საშუალო)
1	სამტრედიელი იმერლები	166,5	183,9	156,8	106,5	182,8	127,2	36,3	2,89	0,88
2	„——“ ებრაელები	160,5	185,7	159,6	107,2	181,2	126,5	36,0	2,95	1,13
3	ზაშურელი ქართლულები	164,5	185,6	155,1	105,3	180,9	124,5	36,6	2,81	1,04
4	„——“ ებრაელები	163,0	185,7	156,5	107,2	182,8	128,7	36,5	2,81	1,09
5	ონელი რაჭველები	168,1	187,7	156,8	107,8	183,8	124,6	36,0	2,52	1,22
6	„——“ ებრაელები	163,8	183,0	158,4	107,1	182,3	125,7	36,0	2,86	1,21

მიხედვით. განსაკუთრებული მსგავსება ჩანს ქართლებსა და ქართლის ებრაელებს შორის, რაც ჩვენი აზრით, იმით უნდა აიხსნას, რომ უფრო ხანგრძლივი ურთიერთობა სწორედ ქართლის ტერიტორიაზეა დაფიქსირებული.

უნდა შევნიშნოთ, რომ აღ. საქართველოს უძველესი მოსახლეობის ანთროპოლოგიური მასალის შესახებ მრავლისმომცველ ინფორმაციას მოგვცემდა ა. აბდუშელიშვილის წიგნის „О палеантропологии Самтаврского могильника“ მეცნიერული დამუშავება, მაგრამ ამ მონაცემებით კვლევა ჯერ-ჯერობით არ მიმდინარეობს.*

ე. მამისთვალიშვილი მიუთითებს, რომ ამ პრობლემის გარკვევაში დაგვეხმარებოდა ლინგვისტური კვლევაც, მაგრამ ასეთი მუშაობა არ წარმოებს და არც მოხერხდება, ვინაიდან; „...ებრაული ენა სემიტური იყო, ყოველ შემთხვევაში, იმ დროიდან მაინც, რაც ისტორიის ასპარეზზე გამოჩნდნენ. ამ სერიოზული მომენტის (ებრაული ენა რომ არ მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს) გაბათილება იმით შეიძლება, რომ კავკასიიდან სამხრეთისაკენ დაძრულ და შემდეგ პალესტინაში და ეგვიპტეში მისულ ტომებს (იბერიელებისა და ებრაელების წინაპრები) უკვე განცდილი ჰქონდათ ღრმა კულტურული სემიტიზაცია, დაკარგეს ენაც კი, მაგრამ არ განიცადეს ასიმილაცია. მათი ერთი ნაწილი, იუდაიზირებული, პოლიტიკური კატაკლიზმებით იძულებული, მოვიანებით, სხვადასხვა დროს დაბრუნდა თავის უძველეს სამშობლოში იბერიაში. სხვები კი ასევე თანდათან გაიფანტნენ აზიასა და ევროპაში. ასევე მოხდა ებრაელების იბერიიდან განსახლება მთელ კავკასიაში“ [93, 68].

კავკასიელი ებრაელების იბერიიდან განსახლება პირველად ზ. ჭიჭინაძემ აღნიშნა. თუმცა ეს ცნობა უძველეს ქართულ მატრიანეში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში არის დაფიქსირებული, როცა აბიათარი აღნიშნავს, რომ მისი პროზელიტიზმით აღშფოთებულმა იუდაური რელიგიის აღმსარებელმა ებრაელებმა: „...დასცეს ხმ იგი კილაჲმოდ, რომელ დგა კარსა ზედა ბაგინისასა (ეს ის ბაგინი იყო, რომელზეც ნინომ ჯვარი აღმართა – დ.ჩ.), რომელი განაშუენებდა ადგილსა მას... და იწყეს სადამთვე წარსლვად თუნიერ ხოლო ბარაბენათასა“ [125, 146-147]. გამოდის, რომ ერთ დროს ძლიერი მცხეთის ებრაული თემი

*უნდა აღინიშნოს, რომ სამთავროს სამაროვნის ნაწილს ზოგიერთი მეცნიერი სწორედ არაქრისტიანი მოსახლეობის, უპირველეს ყოვლისა, ებრაელთა დასაკრძალავ ადგილად მიაზრებს [9, 7].

ფაქტიურად გაიფანტა ბარაბენთა სახლის გარდა. ამის შესახებ ზ. კიკნაძე აღნიშნავს: „შეიძლება ვილაპარაკოთ მცხეთელ ებრაელთა იმ ნაწილის ბედზე, რომელმაც არ ისურვა ელიარებინა ახალი აღთქმა, ქრისტიანულ ეკლესიად ბაგინის კონსეკრაციის შემდეგ, რაც მის თავანზე ჯვარის აღმართვით აღინიშნა, მცხეთის და მისი დაბების ებრაელთა უმრავლესობა იფანტება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც ისტორიულად დღემდე არიან განსახლებულნი [36, 47]. ამას ზ. კიკნაძე სიმბოლურად უკავშირებს ებრაელების ორ რადიკალურ დაფანტვას ქრისტიმდე 588 და ქრისტეს შემდეგ 70 წ. „რაც გამოწვეული იყო იერუსალიმის ტაძრის დანგრევით, რელიგიური ცენტრის მოშლით, ასევე საქართველოს საზღვრებში მომხდარი განფანტვა ბაგინის დაკარგვის შედეგი იყო [36, 47].

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაფანტვამდე ქართლში უკვე ჩამოყალიბებული იყო ქართველი ებრაელის ანთრო-გენეტიკური ინდივიდი. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ მიუხედავად მკაცრი რელიგიური კონფესიალურ-დოგმატური კანონებისა, ებრაული თემი არ იყო იზოლირებული, ჩაკეტილი თემი. თავის მხრივ, ქართლის აბორიგენი მოსახლეობა პოლითეისტური რელიგიური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ადვილად შეერეოდა შედარებით მოწესრიგებულ მონოთეისტურ თემს. ამის შესახებ ე. მამისთვალიშვილმა წამოაყენა შემდეგი ჰიპოთეზა: „ქართლში მოსული ებრაელები ნაწილობრივ მაინც შეერივნენ მკვიდრ მოსახლეობას, რაც მოხდებოდა შემდეგნაირად: ებრაელებმა ქართლში მოიტანეს იუდაიზმი. ეს რელიგია მონოთეისტურია და შეიძლებოდა გავრცელებულიყო ადგილობრივ მოსახლეობაში. იუდაიზმზე გადასული ადამიანი, როგორც ამჟამად, ისე იმ შორეულ წარსულში, ებრაელად ცხადდებოდა. რელიგიურმა ერთობამ ნებადართული გახდა ებრაელებისა და გაებრაელებულ ქართველებს შორის ქორწინება, რამაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოაყალიბა ანთროპოლოგიურად განსხვავებული ნიშნების მქონე ქართველი ებრაელი, რომელიც თავის მხრივ კავკასიელი ებრაელების საფუძველი გახდა“ [93, 69].

ებრაელი მოგზაური ი. მ. იუდტი წერდა: „Евреи не подверглись расовому скрещиванию с коренным населением ни путем смешанных браков, ни путем прозелитизма... Исключение составляют кавказские евреи“ [184, 132] და რომ „Кавказские евреи вообще внесли большую путаницу в физическую антропологию своего народа“ [184, 132]. ამ

უაღრესად საინტერესო პრობლემის მიზეზად ი. დავიდს მიაჩნია ებრაული ერის წამოშობის კავკასიური საფუძველი. მისთვის თანამედროვე ეთნო-ანთროპოლოგიური კვლევის მთავარი შეცდომა ის არის, რომ ებრაელებს განიხილავენ, როგორც ავტონომონ სემიტურ ეთნოსს.

გ. მერცხაბერი აღნიშნავს სვანეთში გამოკვეთილ ებრაულ ტიპს, რომელსაც ებრაულ კოლონისტებთან შერევის ხანგრძლივი პროცესით ხსნის. მისთვის სოფ. ლახამულის მცხოვრებნი იყვნენ ძველი ებრაული კოლონისტების შთამომავალნი [93, 44-45]. სვანეთის სოფ. ლახამულის მოსახლეობის ებრაულ წარმოშობაზე მოგვითხრობს ი. გოგებაშვილიც, თავის ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ნაწარმოებებში [62, 274]. ე. მამისთვალისშვილს ციტირებული აქვს ისრაელის ჟურნალ „დროშაში“ გერმონ მეგრელიშვილის წერილი, რომელშიც მოცემულია XX ს. დასაწყისში სოფ. ლახამულის მკვიდრის სვანი ემუზა გულბანის მონათხრობი, რომელშიც ეს უკანასკნელი თავის თავს და წინაპრებს ებრაელებად მიიჩნევს, რომლებიც ძალით გაუქრისტიანებათ“ 93, 55].

უნდა შევნიშნოთ, რომ საუკუნეთა მანძილზე ებრაული მოსახლეობის ნაწილის ქართულ ეთნოსში ჩარიცხვა მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული (განსაკუთრებით ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების შემდეგ) და ეს იყო სრულიად ბუნებრივი პროცესი. ბევრი ქართული გვარის წარმომადგენელს უეჭველად მიაჩნია თავისი წინაპრების ებრაული წარმოშობა [93, 156-160]. ამაზე მიუთითებს ქართულ-ებრაული საზიარო გვარებიც [93, 70-71].

ქართულ-ებრაული გენეტიკური ნათესაობის შესახებ აზრი ჯერაც აქტუალურია. „მე ვუთხარი (დავითაშვილებს) – წერს საქართველოს პატრიარქი ილია II, - თქვენ გვართ ხართ დავითაშვილები, მე კი ხორციით, რადგანაც დავით მეფის შთამომავალი ვარ-შეთქი. ჩემი ერთ-ერთი წინაპარი ბაგრატიონი იყო და თქვენთვის ცნობილია, რომ ისინი პირდაპირი შთამომავლები არიან მეფე დავითისა და სოლომონისა. საქართველოს მეფე ხელს ასე აწერდა – დავითიანი, სოლომონიანი და მერე თავის სახელს“ [30, 7].

ამრიგად, აზრი ქართულ-ებრაული გენეტიკური ნათესაობის შესახებ, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩაისახა, და საუკუნეებსვე გაუძლო, დღესაც აქტუალურია. ის, რომ ძვ. წ. VI ს-დან ქართლში დასახლებულმა ებრაელებმა საკმაოდ მაღალ სოციალურ სტატუსს მიაღწიეს, რომ ისინი ცხოვრობდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, რაც არ

გამორიცხავდა მათ ნაწილობრივ შერევა-ასიმილაციასაც და რომ ქრისტიანობის შემოსვლამდე ებრაულ საცხოვრისებს ქართული ნარატიული წყაროები მხოლოდ ქართლში აფიქსირებენ, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ საუკუნეთა მანძილზე განსაკუთრებით აქტიური იყო ებრაელებისა და ქართლის მოსახლეობის ნაწილის ინტეგრაცია. ახ. წ. IV ს-იდან ქართლში მკვიდრდება ქრისტიანობა – იუდაიზმის წიაღშივე აღმოცენებული მძლავრი მონოთეისტური რელიგია, რომელიც სასტიკ ბრძოლას უცხადებს ყველაფერს მის წინააღმდეგ. ამას ემატება აღორძინებული სპარსეთის სახელმწიფოს აგრესია, რამაც ფაქტიურად მოშალა მშვიდობიანი, ხელისშემწყობი პირობები ებრაელთა ძირითადი საქმიანობისადმი – ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, ხელოსნობა... სავაჭრო გზებმა ქართლის დედაქალაქიდან შედარებით უსაფრთხო ადგილზე გადაინაცვლეს. ყველაფერმა ამან აიძულა ებრაული მოსახლეობა დიასპორიდან დიასპორაზე გადასულიყო და გაფანტულიყო მთელს კავკასიაში. ებრაული მოსახლეობის ნაკადებს თან გაჰყვებოდა სალაპარაკო ქართული ენა, წეს-ჩვეულება, ადათი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იქნა გაზიარებული და საკუთარი რელიგია – იუდაიზმი. იმ ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე, რომელიც საქართველოში დამკვიდრებულ ებრაელებს ქართულ ეთნოსთან ჰქონდა, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ანთროპოლოგიურ ტიპზეც. კავკასიის სხვადასხვა ადგილების მოსახლეობა, სადამდეც ებრაელთა ტალღებმა უწიეს, უცხო სანახაობის მოწმენი გახდა. ხალხი, რომელიც ლაპარაკობდა ქართულად, ცხოვრობდა ქართული წესით, იცმევდა ქართული ტრადიციით, ჰგავდა ქართველს, აღიარებდა სხვა რელიგიას და თავს თვლიდა ებრაელად. შეიძლებოდა იმ აზრამდე მისვლა, რომ ქართველები და ებრაელები ეთნიკურად ნათესავეები იყვნენ და მათ მხოლოდ რელიგია განასხვავებდა. თუმცა ხდებოდა ებრაელების გაქრისტიანებაც. ეს მსგავსება, როგორც ჩანს თავიდანვე აშკარა იყო. ალბათ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ანტიკური ავტორები, რომლებიც გვაძლევენ ცნობებს საქართველოსა და მისი მოსახლეობის შესახებ, არსად აფიქსირებენ ებრაულ მოსახლეობას. ეს ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ ადგილობრივი ებრაული მოსახლეობა არ გამოირჩეოდა მკვიდრი მოსახლეობისგან არც ჩაცმით, არც ენით, არც საცხოვრებლით... ხოლო ბერძენი და რომაელი ავტორები იცნობდნენ სხვანაირ ებრაელებს, სხვანაირი ჩაცმის, წესის, ანთროპოლოგიური აღნაგობის... „დროთა მანძილზე ქრისტიანმა ებრაელებამ დაკარგა

ეთნიური თვითშეგნება, რადგან, როგორც ეგნატე ანტიოქიელი წერდა, „სადა ქრისტიანობად იყოს, მუნ ჰურიებად არა არს“, და შეერწყა ქართველობას, შეიქმნა რა თავისი ხორციითა და სამშინველით ქართველი ხალხის, როგორც ქრისტიანი ერის, ეთნოგენეზისის მონაწილე“ [36, 47].

მიგვაჩნია, რომ ქართულ-ებრაული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების კვლევა იმ კუთხით, რომ მოიძებნოს რაიმე ანთროპოლოგიურ-გენეტიკური პარალელები ქართველებსა და ებრაელებს შორის, საინტერესოა და პრობლემურიც.

თ ა ვ ი V

ე ბ რ ა ე ლ თ ა ს ო ც ი ა ლ უ რ ი ე დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ა ნ ტ ი კ უ რ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

როდესაც საუბარია ანტიკური საქართველოს სოციალურ სტრუქტურაზე, ამოსავალი ყოველთვის არის ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის ცნობები იბერიის მოსახლეობის ოთხ გენედ დაყოფის შესახებ.

სტრაბონი ცხოვრობდა ძვ.წ. 64-63 წ.წ. – ახ.წ. 23-24წ.წ. როგორც ვარაუდობენ იგი არასოდეს ყოფილა იბერიაში, თუმცა თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდით იგი ყოფილა კოლხეთში და მას შეეძლო უტყუარი ინფორმაციის მოპოვება იბერიის შესახებაც. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სტრაბონი I საუკუნის მოღვაწეა, მკვლევარები ფიქრობენ, რომ ქართლის სამეფოს აღწერისას იგი იყენებდა უფრო ძველი ავტორების ცნობებს და ამდენად გადმოგვცა უფრო ადრინდელი სოციალური სურათი.

სტრაბონის „გეოგრაფია“ შედგება 17 წიგნისაგან. საქართველოს შესახებ ცნობები ძირითადად მოცემულია XI წიგნში: „ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში (ქართლში დ.ჩ): ერთი გვარია და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე ამ გვარიდან მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე გვარი არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე გვარი არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე გვარი არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. [75, 129-130].“

* ვ. ვაშაიძე, შიისწავლის რა სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI 3.6-ის ტექსტოლოგიურ საკითხებს სხვადასხვა გამოცემებთან შედარებით, გვთავაზობს ოდნავ განსხვავებულ თარგმანს [23, 42].

სტრაბონის ეს ცნობა ბევრი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარის ინტერესის სფერო გახდა. მას იკვლევდნენ ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე, ა. ბოლტუნოვა, ა. რანოვიჩი, ა. ნოვოსელცევი, ლ. გრაციაანსკაია და სხვები. გ. ავალიშვილმა და თ. ქორიძემ სცადეს სტრაბონის ეს ცნობა დაეკავშირებინათ ჯერ კიდევ თრიალეთის კულტურასთან. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ავტორებმა მესხეთის ყორღანების ერთმანეთთან შეჯგერების შედეგად გამოყვეს „სოციალურ-პოტესტარული და ქონებრივი ცენზის“ მიხედვით ოთხი სოციალური ფენა და დაუკავშირეს ისინი სტრაბონის ცნობას იბერიაში (ქართლში) ოთხი გენეს – გვარის არსებობას. ავტორთა აზრით, „მართალია მათ შორის ქრონოლოგიური ხარვეზია, მაგრამ საზოგადოების ოთხ ფენად დაყოფა შეიძლება სათავეს თრიალეთის კულტურიდან იღებდეს. თრიალეთის კულტურამ, რომელიც ჩვ. წ. აღ-მდე III ათასწლეულის ბოლოს და II ათასწლეულის დასაწყისში განვითარდა „თითქოს დააკონსერვა“ სოციალური სტრუქტურა და მან ასეთი სახით დიდხანს, ანტიკურ პერიოდამდე იარსება“ [28, 18]. თუ მკვლევართა ცდა, დაუკავშირონ ერთმანეთს ქრონოლოგიურად საკმაოდ დაშორებული სოციალური სურათი, გამართლებულია, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. II ათასწლეულიდან გვიან ანტიკურ ხანამდე საზოგადოების სოციალური სურათი თითქმის არ იცვლებოდა: პირველი ორი ფენა ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოების გაბატონებულ, არისტოკრატიულ ნაწილს, ხოლო ორი უკანასკნელი უმნიშვნელოდ იცვლებოდა მოსახლეობის შემადგენლობის, რაოდენობისა და არსებული სიტუაციის მიხედვით.

ანტიკური წყაროების მონაცემებისა და არქეოლოგიური კვლევადიების შედეგად მოპოვებული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართლის, ანუ იბერიის სამეფო საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ელინისტურ ხანაში, კერძოდ ძვ. წ. IV-III საუკუნეებში ჩამოყალიბდა [72, 136-142]. ეს იყო შედეგი იმ ხელსაყრელი ისტორიული ვითარებისა, რომელიც მოჰყვა ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოების აღმოცენებას. ამავე დროს, საუკუნეთა მანძილზე მიმდინარე სოციალურმა ძვრებმა დადებითი გავლენა მოახდინა ერთიანი სახელმწიფო ერთეულის ჩამოყალიბებაზე. ამ ეპოქის სოციალური სტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის მასალა ფრიალ მწირია. ამ პერიოდის შესახებ სდუმან ანტიკური ავტორებიც.

ანტიკური საქართველოს შედარებით სრული სოციალური სტრუქტურა მოცემულია „ქართლის ცხოვრებაში“. ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ ქართლოსის შთამომავალთა შორის „...არავინ იყო... უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი ადგილად თავადნი იწინიან, ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხვათა ზედა. და არცა სახელ-ედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ“ [86, 11]. აქ დახასიათებულია ქართლის წინა სახელმწიფოებრივი საზოგადოება, რომლის მეთაურია მამასახლისი. სახელმწიფო მთელი თავისი მმართველი აპარატით – მეფე, მიწისმფლობელი არისტოკრატია, სახელმწიფო მოხელეები, ... ჯერ არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა ეს ყველაფერი ჩანასახოვან მდგომარეობაში უკვე არსებობს და ის არის განმსაზღვრელი იმ სახელმწიფოებრივი სტრუქტურისა, რომელიც მოგვიანებით ქართლში ჩამოყალიბდა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ უკვე გამოიყვანულია უფლება-მოვალეობების მთელი რიგი საკითხები, რომლებიც სოციალური სტრუქტურის შემდგომ დახვეწას განაპირობებდნენ. მიუხედავად ამისა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით მაკედონელთა ქართლში შემოსვლის დროს, აქ რამდენიმე ციხე-ქალაქი არსებობდა. ძვ.წ. VI ს-დან ქართლის, ალექსანდრე მაკედონელის დრომდე, საზოგადოებრივი სტრუქტურის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცვლილება არ უნდა განეცადა. მ. გოგოლაძის აზრი, რომ „მოქცევაჲ“ გვიხატავს „უკლასო გვაროვნულ საზოგადოებას, ე.წ. სამხედრო დემოკრატიის წინა საფეხურს... ძეგლის „უფალი“, რომელიც, ეჭველია, ქართულ მოსახლეობას ჰყავდა, აქ უფრო სამხედრო დემოკრატიის ტომთა გაერთიანების სატომო სამხედრო ბელადია, ვიდრე ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფალი“ [90, 30], არ უნდა იყოს მართებული. მცხეთის მამასახლისის, როგორც პოლიტიკური ხელისუფალის უფლება-მოვალეობებზე აშკარად მიგვანიშნებს „ქართლის ცხოვრება“. როდესაც გადმოგვცემს, რომ მამასახლისის კომპეტენციაში შედის უცხოტომელთა დაბინავება, იქნება ეს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება, თუ „ყოველთა ქართველთა“-ნ დათათბირება, უფრო მეტიც, მამასახლისის შთამომავლებსა და ნათესაობას აშკარა პრეტენზიები აქვთ ამ პოლიტიკური თანამდებობის დასაკავებლად, რაშიც მოგვიანებით სამეფო დინასტიების გამოძახილი შეიძლება დავაფიქსიროთ (ფარნავაზისა და სამარას მაგალითი) [82, 67 და შმდგ].

საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარება არ არის თავისთავადი და იზოლირებული მოვლენა; იგი მჭიდროდ უკავშირდება ამავე რიგის მოვლენებს იმ კულტურულ არეალში, რომელთანაც ქართულ სამყაროს ძველთაგანვე მჭიდრო ისტორიული კავშირები უნდა ჰქონოდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ანტიკური იბერიის (ქართლის) ქალაქები წარმოადგენდნენ მსხვილ სამიწათმოქმედო დასახლებებს, რომლებსაც ჯერ გვაროვნული, შემდეგ კი სასოფლო თემის უხუცესები მართავდნენ. ძვ. წ. V-I საუკუნეები უმნიშვნელოვანესი ხანაა ქართლის ისტორიაში; „ამ დროს მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნა, „ურბანიზტური“ ცივილიზაციის განვითარება, ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების რთული პროცესი (ამაში გარკვეული როლს შემოსულებიც ასრულებენ), მრავალმხრივი კონტაქტები გარე სამყაროსთან“ [43, 422-444]. ეს პროცესი მშვენივრად აქვს გააზრებული ლეონტი მროველს, რომლის მიხედვითაც „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული“ [86, 18]. ე. მამისთვალიშვილი, ლ. მროველზე დაყრდნობით, ქართლში ებრაელების მოსვლასთან აკავშირებს ქართული ენის კანონიერ უფლებებში აღდგენას [93, 19-20]. ძველი ქართველი მემკვიდრეები, როგორც ლეონტი მროველი, ისე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი, ვახუშტი... ქართლის ცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის ფონის მომზადებას ალექსანდრე მაკედონელს უკავშირებენ. ამ ლეგენდარულმა მხედართმთავარმა „მოსწყვდნა ყოველნი ნათესავნი შერეულნი (იგულისხმება უცხოტომელნი) თვნიერ ქართლოსიანთა და ურიათა, და დაიპყრა საქართველო“ [87, 53-54]. იმ ფაქტს, რომ იგივე ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ალექსანდრე მეფემ გაატარა ქართლში, ლეონტი მროველი არ მიუთითებს, რომ რეპრესიები ქართველებსა და ებრაელებს არ შეხებიათ [86, 18], ი. მამისთვალიშვილი ხსნის იმ მოსაზრებით, რომ „...ვახუშტი ამ ამბის გადმოცემისას ლეონტი მროველს და სხვა წყაროსაც ეყრდნობა“ [93, 18]. ალექსანდრე მაკედონელსვე მიეწერება ქართლის პირველი ფაქტიური მეფის აზონის გამეფებაც [86, 18; 125, 81-82; 6, 34-38].

სტრატონის მიერ მოცემული ანტიკური ხანის იბერიის სურათი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: პირველი გენე არის სამეფო საგვარეულო, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ და, ამასთან, შეთავსებული აქვს მხედართმთავრისა და მოსამართლის ფუნქციები, მეორე გვარი ქურუმთა

გვარია, რომელიც რელიგიური საკითხების გარდა ზრუნავს მეზობლებთან ურთიერთობაზე, მესამე გვარი არის მხედართა (მეომართა) და მიწის-მოქმედთა, ზოლო მეოთხე გვარი, „სამეფო მონები“ არიან და აკეთებენ ცხოვრებისათვის ყველაფერ საჭიროს. სტრაბონი ამ უკანასკნელთ მოიხსენიებს კრებითი სახელით „ლაომ“. თუ დაუშვებთ, რომ ძვ. წ. VI ს-დან საქართველოში დამკვიდრებული ებრაელები ქართლის მოსახლეობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ, მაშინ ლოგიკურია, რომ ისინიც რომელიმე სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ. ჩვენი მიზანია, ვცადოთ გავარკვიოთ ამ ოთხი ფენიდან რომელს მიეკუთვნებოდნენ ქართლში მცხოვრები ებრაელები.

ბუნებრივია, სტრაბონის მიერ მოცემული პირველი ორი გენე იქნებოდა ავტოხთონი, აბორიგენი მოსახლეობის პრივილეგია (ამ ორ სოციალურად უმაღლეს საფეხურზე ანუ ბასილევესებისა და ქურუმთა გვარებში ებრაელები არ უნდა ყოფილიყვნენ), რაც შეეხება დანარჩენ ორს – ე.ი. მიწისმოქმედთა და მხედართა და ლაოებს (სამეფო მონებს), არის ცდუნება იმისა, რომ ებრაელთა გარკვეული ნაწილი მივაკუთვნოთ მე-3 გენეს, ნაწილი (და ალბათ უმრავლესი) კი IV-ს.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სტრაბონის მიერ მოცემული მე-3 გენოსის აღმნიშვნელი ქართულად უნდა ყოფილიყო ერი, რომლის პარალელურია ძველი ბერძნული „ოხლოს“ და სომხური „ამბოზ“. „სამხედრო წოდება ჯერ არ არსებობდა და დღევანდელი მიწისმოქმედი... ხვალ ჯარისკაცი ხდებოდა“ [100, 135]. ეს იყო მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი, ყოფილი მეთემეები. მოსახლეობის თუ რომელი ნაწილის – მთისა თუ ბარისა, შესახებ აქვს გენებად დაყოფა სტრაბონს, ჯერ მთლად გარკვეული არ არის. ივ. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს გ. ადონცის აზრი, რომ თითქოსდა „სტრაბონის ცნობა ისე უნდა იქმნეს გაგებული, რომ რადგან ბარის მცხოვრებნი უფრო მიწისმოქმედებას მისდევენ და მშვიდობიან ცხოვრებას ეტანებიან, მთის მცხოვრებნი კი უფრო მოლაშქრებას რჩეობდნენ, თუმცა არც მათთვის იყო მიწისმოქმედება უცნობი, თითქოს სტრაბონი მიწისმოქმედებად ბარელებს გულისხმობდა, მოლაშქრებად – მთიელებს, და ამ აზრს არ ეთანხმება“ [100, 135-136]. საქართველოს ისტორიის ნარკვევებში კი მითითებულია, რომ „სტრაბონისეული დაყოფა იბერიის მოსახლეობისა „ოთხ გვარად“, ... მხოლოდ და მხოლოდ იბერიის დაბლობის მოსახლეობას განეკუთვნება“ [46, 485], რაც ასევე არ უნდა იყოს მთლად მართებული, ვინაიდან

მთის მოსახლეობისათვისაც (განსაკუთრებით კავკასიის მთისწინეთში) ერთადერთ საქმიანობად მეჯგოვება არ უნდა მივიჩნიოთ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მე-3 გენე ეს იყო ყოფილ მეთემეთა უმეტესი ნაწილი, რომლებიც შეადგენდნენ სახელმწიფოს ყველაზე მრავალრიცხოვან მოსახლეობას და იყვნენ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქენი, რომლებიც იხდიდნენ გადასახადებს, როგორც ნატურალურ, ასევე სამხედრო სამსახურის სახით ომიანობის დროს. ანტიკურ საბერძნეთში მათ ალბათ შეესაბამებოდა თავისუფალი მიწათმოქმედი მოსახლეობა, რომლებიც ფლობდნენ „კლეროსებს“, გაერთიანებულნი იყვნენ ფრატრიებსა და ფილებში და ომიანობის შემთხვევაში თავიანთი საკუთარი ძალებით გამოჰყავდათ მეომრები. სამხედრო შეიარაღების შესაძლებლობა – ეს იყო მთავარი პირობა, რომელიც ადრეულ ეტაპზე საბერძნეთში მოქალაქის უფლებას განსაზღვრავდა [131, 32]. ვფიქრობთ, რომ საქართველოში მოსული ებრაელების გარკვეული ნაწილი უძველესი დროიდანვე მიწათმოქმედებით იყო დაკავებული. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ლეონტი მროველი, რომელიც მოგვითხრობს, რომ ქართლში მოსულმა ებრაელებმა მცხეთის მამასახლისისაგან მოითხოვეს „ქუყყანა ხარკითა“, რაც თავისთავად გულისხმობს მოსახლეობის მკვიდრი ცხოვრებისათვის აუცილებელ გარემოს: სახნავ-სათესს, ტყეს, სანადირო-სათევზაო ადგილებს. ებრაული მოსახლეობა თანდათან ჩაერთო ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. თავდაპირველად ებრაული მოსახლეობა ცხოვრობდა სოფლად. ზანაღვი-ხერკს ჩვენ სწორედ ასეთ დასახლებად მოვიაზრებთ. ანტიკურ ხანაში ხერკი მუხრანთან ერთად მცხეთის „სამოქალაქოს“ ე.ი. მცხეთის საგამგებლო რეგიონს ქმნიდა და მათი მთავარი საქმიანობაც სოფლის მეურნეობა უნდა ყოფილიყო, შემდეგში, როცა ვაჭრობა და ხელოსნობა ანტიკური ქალაქებისათვის მთავარ საქმიანობად იქცა, ებრაელებს უნდა გამოეყენებინათ კავშირები თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან, რომელიც მათ საუკუნეების მანძილზე არ შეუწყვეტიათ, ასევე იმ მრავალრიცხოვან დიასპორასთან, რომელიც განფენილი იყო მახლობელ აღმოსავლეთში, ისინი სახლდებიან ქალაქებში (მცხეთა, ურბნისი...) და ერთვებიან ადგილობრივ მოსახლეობაში. ქართლის ქალაქებში იქმნება მძლავრი ეთნო-რელიგიური თემები, რომლებიც მისდევნენ, როგორც ხელოსნობას, ისე ვაჭრობას. „წერილობითი წყაროებისა და ეპიგრაფიკული მასალების მიხედვით, იბერიის ქალაქებში ვადასტურებთ ებრაელთა, სირიელთა და ირანელთა ეთნიკურ-რელიგიური თემების არსებობას... ისინი რელიგიურ-ეთნიკურ

საფუძველზე იყვნენ მოწყობილი... ქალაქის თავისუფალ მოსახლეობას შეადგენდნენ და არ იყვნენ მონები“ [27, 184].

ს. ჯანაშია თვლის, რომ საზოგადოებრივი ღირებულებების „ძირითადად მიმდინარეობდა მე-3 გვარში, რომელიც მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდა. კერძო საკუთრების არსებობის პირობებში ეს „გვარი“, რომელსაც ქართულად ეწოდებოდა „ერი“, ე.ი. „ხალხი“, თანდათან მკვეთრად იყოფა ორ ნაწილად: უმცირესობა – მალა მღვდონი, „წარჩინებულნი“, „ერისთავნი“, „მთავარნი“, „თავნი“ და ა.შ. რომელიც შემდეგ ერთ საერთო სახელწოდების ქვეშ „ახნაურნი“ გაერთიანდნენ, და მეორე მხრივ, - უმრავლესობა, „წვრილი ერი“, „თავისუფალნი მცხოვრებნი“, რომლებიც ჯერ კიდევ მოსახლეობის უმეტესობას შეადგენდნენ. „წვრილ ერს“ დაკარგული აქვს გვაროვნული ხანის მრავალი უფლება (მაგ. თვითმმართველობა), მაგრამ ნაწილი თავისი ძველი უფლებისა ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს (მაგ. ნაწილობრივ მიწათმფლობელობის სფეროში) და ამ უფლებებისათვის იგი გააფთრებით იბრძვის“ [101, 17-18]. შეიძლება დავუშვათ, რომ ეთნო-რელიგიური თემების წარმომადგენლები, რომლებმაც დააგროვეს გარკვეული მატერიალური სახსარი, აქტიურად იბრძვის მკვიდრი მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში მოსახვედრად და უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე ასასვლელად.

სტრაბონის მიხედვით მეოთხე გენეში არიან „სამეფო მონები, რომლებიც აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. ლაოი (λαοι)-ს მნიშვნელობაა ხალხი, მასა, ადამიანები, მეომართა კრებული, მეომრები, ვაჟაკები, ქვეშევრდომები, შშვიდობიანი მოსახლეობა... ბერძნულიდან თარგმნილ ქართულ ტექსტებში ლაოის შესატყვისი არის „ერი“ [75, 48]. მკვლევარები დიდი ხანია მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ესენი არიან არა მონები, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, არამედ სამეფო გვარზე დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი გვაროვნული ორგანიზაცია და ვალდებულნი არიან ნატურალური თუ სხვა სახის გამოსაღები გადაიხადონ სამეფო გვარის სასარგებლოდ. ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია თვლიდნენ, რომ ისინი იყვნენ რომაელი კოლონების მსგავსნი. ა. ბოლტუნოვის მიხედვით კი ლაოები: «...Являлись крестьянами-общинниками, искомными жителями и собственниками обрабатываемой земли, обязанными лишь платить натуральные взносы господину, номинальному собственнику» [133, 41]. მისი აზრით ლაოები, მესამე გენეს – მიწისმოქმედთა და მეომართა, ანუ

თავისუფალ მეთემთაგან [132, 155] განსხვავებით „მოიაზრებოდა ქვეყნის ყველა მკვიდრი მოსახლე, რომლებიც არ ირიცხებოდნენ ქალაქების მაცხოვრებელთა რიგებში, მაგრამ დასახლებულნი იყვნენ ქალაქის საკუთრებაში არსებულ მიწებზე, ან ცხოვრობდნენ სამეფოს ტერიტორიაზე და ითვლებოდნენ მეფის ქვეშევრდომებად. ისინი იყვნენ ნახევრად თავისუფალი არენდატორები, რომლებიც იხდიდნენ გადასახადს ჯერ ნატურით, მოგვიანებით კი – ფულით“ [132, 157].

3. ინგოროყვას ლაოების შესატყვის ტერმინად მიაჩნდა „მდაბიომ უფლისად“ და წერდა: „მდაბიომ უფლისად“ – უაღრესად საინტერესო სოციალურ ტერმინს წარმოადგენს, რომელიც, როგორც ჩანს, არქაული ეპოქიდან მომდინარეობს. „მდაბიომ უფლისად“ ეს არის მოსახლეობის იგივე კლასი, რომელიც სტრაბონს... მოხსენებული აქვს, როგორც ლაომ – მდაბიონი.. რომელნი მეფისა („უფლისა“) მონანი არიან“ [31, 268-270].

„ლაომ“ მეტად გავრცელებული ტერმინია ელინისტური ხანის მცირე აზიაში, საიდანაც იყო თვით სტრაბონიც. მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ სწორედ ეს ლაომ, ნახევრად დამოკიდებული მეთემეები ა. რანოიჩი, ა. ბოლტუნოვა, გ. მელიქიშვილი მიუთითებენ, რომ ესენი არ იყვნენ არც მონები, არც ყმები ან კოლონები. ესენი იყვნენ მეფის, დიდებულების, ტაძრების, ქალაქების ან სამხედრო კოლონიისტების მიწებზე მსხლომნი და თემზე მიმაგრებულნი მიწათმოქმედნი. ისინი იხდიდნენ ფულად და ნატურალურ გადასახადებს და ასრულებდნენ მრავალ სხვა ვალდებულებას [133, 40-41; 136, 155-156; 43, 86]. „იბერიის (ქართლის) „ლაოი“, როგორც ჩანს სამეფო, სახელმწიფო მიწებზე იხსდნენ, რადგანაც სტრაბონი მათ „სამეფო მონებს“ ეძახის, ამბობს, რომ ისინი აკეთებდნენ ყველაფერს, რაც (ჩანს პირველი გვარის – მმართველი სამეფო საგვარეულოს) ცხოვრებისათვის არის საჭირო“. ამრიგად, ელინისტური ხანის იბერიაში ჩვენ უნდა ვივარაუდოთ ნახევრად თავისუფალი მიწათმოქმედთა ფენის არსებობა, რომელიც მმართველი წრის, სახელმწიფოს ექსპლუატაციის ობიექტს წამოადგენს... ხალხის ეს მასა მეურნეობას, ჩანს, დამოუკიდებლად ეწეოდა, თემებადაც იყო გაერთიანებული და საკუთარი (სათემო) საკუთრებაც გააჩნდა, რომელსაც გარკვეული ნათესაური გაერთიანების ფარგლებში (გვარი? დიდი ოჯახი?) განაგებდა უხუცესი“ [43, 86].

* უცხოურ ლექსიკონებში ლაომ გააზრებულია, როგორც ხალხის, მოსახლეობის ფართო მასების ამსახველი ცნება.

ოთ. ლორთქიფანიძე წერს: „განმარტება, რომ ლაოები სამეფო მონები არიან, ჩვენი აზრით წარმოადგენს იბერიაში სამეფო მეურნეობის და, შესაბამისად, სეფე მიწის არსებობის მოწმობას (ჯერ-ჯერობით თუნდაც არაპირდაპირს“ [38, 760].

ყველა აღნიშნული მკვლევარი ხაზს უსვამს იმას, რომ ლაო – ეს არის მიწაზე მიმაგრებული მეთემე, რომელიც ამუშავებდა მიწის ნაკვეთს და იხდიდა სხვადასხვა გადასახადს, და თითქოს მიწაზე მუშაობა წარმოადგენდა მის ერთადერთ საქმიანობას. ვფიქრობთ, რომ მიწაზე მუშაობა ლაოებისათვის (ყოველ შემთხვევაში, მათი ერი, ნაწილისათვის მინც) შეთავსებით საქმიანობას წარმოადგენდა. ლაოები ძირითადად ხელოსნობასა და ვაჭრობაში იყვნენ დაკავებულნი, სხვანაირად ისინი ვერ გააკეთებდნენ ცხოვრებისათვის აუცილებელ ნივთებს. სტრაბონი ხელოსანთა და ვაჭართა ფენას ცალკე არ გამოჰყოფს, სამაგიეროდ მოგვითხრობს იმდროინდელი იბერიის გარეგნულ სახეზე: კრამიტის სახლებსა თუ არქიტექტურული წესებით აგებულ შენობებზე, ბაზრებზე, იბერიის სატრანზიტო მნიშვნელობაზე, მდინარეებზე გადებულ ხიდებზე... სავარაუდოა, რომ სიტყვებში „ისინი აკეთებდნენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო“, სტრაბონი გულისხმობს ლაოების ხელოსნურ საქმიანობას. ვიცით, რომ ელინისტური ხანის იბერიაში (ქართლში) ხელოსნობა და ვაჭრობა უაღრესად იყო განვითარებული. „ვაჭრობა იყო ადგილობრივი და სატრანზიტო – აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. ინდოეთიდან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან საქონელი ამოჰქონდათ კასპიის ზღვაზე, აქედან მას მტკვრით ეზიდებოდნენ... შემდეგ იბერიიდან... ხმელეთის გზით იგი გადაჰქონდათ კოლხიდაში ქალაქ შორაპნამდე, ხოლო აქედან მდინარე ფაზისით ჩაჰქონდათ შავ ზღვამდე... იბერიის მეორე სატრანზიტო გზა მიემართებოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, დარიალის ხეობით“ [101, 416].

დ. ხახუტაიშვილის მიხედვით ანტიკური იბერიის ქალაქების სოციალურ შემადგენლობაში შეიმჩნეოდა „სოციალური გათიშულობისა და ექსპლუატაციის ადრეული ფორმების საკმაოდ ნათლად გამოხატული კონტურები... დაქვემდებარებული თემების (სტრაბონის მეოთხე გენე) და თავისუფალი თემების (სტრაბონის მესამე გენე) მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მწარმოებლურ შრომაშია ჩართული, აგრეთვე თემისაგან გამოყოფილი ხელოსნები შეადგენდნენ ექსპლუატირებული მასის უდიდეს უმრავლესობას“ [27, 199]. ბუნებრივია, ამ მრავალრიცხოვან მასაში

იგულისხმება, როგორც ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობა, აგრეთვე სხვა ეთნიკური ელემენტები, რომლებსაც თვითმმართველობა ჰქონდათ მინიჭებული. „თვითმმართველი კოლექტივები უნდა ყოფილიყო იბერიის ქალაქების არამკვიდრი თემებიც. წერილობითი წყაროებისა და ეპიგრაფიკული მასალების მიხედვით, იბერიის ქალაქებში ვადასტურებთ ებრაელთა, სირიელთა და ირანელთა ეთნიკურ-რელიგიური თემების არსებობას“ [27, 184]. ჩვენი აზრით, იმ ხელოსნებისა და ვაჭრების ნაწილს, რომელიც ლაოების შემადგენელ ნაწილად გაიაზრება სტრაბონთან, ებრაელებიც შეადგენენ, რადგან „ელინისტური აღმოსავლეთის ქალაქების მსგავსად, იბერიის ქალაქების ეთნიკური შემადგენლობაც საკმაოდ ჭრელი იყო. აქ იყო, კერძოდ, ებრაელთა სავაჭრო-სახელოსნო უბნები“ [44, 452], რომლებიც „თავიანთ თავს თვლიდნენ იერუსალიმის კოლონიად“ [159, 157] და ამდენად ხშირი მიმოსვლაც ექნებოდათ პალესტინაში, რაც თავის მხრივ ვაჭრობის განვითარებასაც შეუწყობდა ხელს. «В торговле того времени (игулихмеба антикури хапа) значительную роль играли иноземные купцы, главным образом сирийцы и еврей, сосредоточенные в городах и обитавшие в специальных кварталах вокруг рыночной площади. Они были организованы в особые общины по этнической принадлежности» [133, 42].

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ერთი მნიშვნელობა ლაოისა არის „ჯარი“, მეორე მნიშვნელობა „ახალმოშენები“, „გადასახლებულნი“ ე.ი. არა ის ხალხი, რომელიც ერთ ადგილზეა, მკვიდრია, არამედ, რომელიც „მოსულია“, „ახალმოშენია“, ადგილობრივი მკვიდრი არაა“ [75, 49]. ა. რანოვიჩი, ერთ-ერთ დოკუმენტზე დაყრდნობით წერს «λαοι переселились в другие места» [183, 150-151], ე.ი. აქაც გადასახლება იგულისხმევა, რომელიც გადასახლების ადგილისათვის მოსულია, ახალმოშენია. ს. ჯანაშიაც მიუთითებს, რომ ლაოი წარმოიშვა დაპყრობილი უცხო თემებისაგან, ე.ი. ეს არ არის ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა [101, 166-167]. ჩვენთვის ცნობილია, რომ ებრაელები ქართლში მოსულ ეთნიკურ ელემენტად მიაჩნდათ, ამდენად, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში, ებრაელების გარკვეული მასა აუცილებლად ლაოებში უნდა ვეძებოთ. განსაკუთრებით ალბათ შედარებით გვიან მოსულნი, რადგანაც ლაოები ყველგან იგულისხმება, როგორც ცენტრალური ხელისუფლების უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი მოსახლეობა. ლოგიკურია, ლაოები გავიზნოთ, „როგორც ახალმოშენები, მოსული ხალხიც (იგულისხმება არა მარტო

ებრაელები, არამედ სხვა ეთნიკური წარმომადგენლებიც). ისინი მოსვლის დღიდანვე უშუალო კავშირს მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებასთან (ჯერ მამასახლისთან, მოგვიანებით კი – მეფესთან) დაამყარებდნენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ როგორც ოთ. ლორთქიფანიძე წერს: „ჯერ კიდევ გვაროვნულ საზოგადოებაში არსებობდა მიწის გარკვეული ფონდი, რომელიც თემის მიერ იყო გამოყოფილი მამასახლისის სამსახურის ასანაზღაურებლად“ [39, 801], მაშინ სრულიად გასაგებია, მოსულ ებრაელთა და უცხოტომელთა მიერ კავშირის დამყარება სწორედ ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ქართულ ნარატიულ წყაროებში გვხვდება ტერმინი „მკვიდრი“. საინტერესოა, რომელ სოციალურ საფეხურს წარმოადგენდა „მკვდრი“. ივ. ჯავახიშვილი წერს „განსაზღვრულ ადგილზე მუდმივ მაცხოვრებელს და დაბინაებულს, სახლკარის მქონებელს ძველ ქართულში „მკვდრი“ ერქვა [100, 187].

დ. ხახუტაიშვილის მიხედვით „...იბერიის ქალაქების მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც თემებში იყო გაერთიანებული... ორ ჯგუფად განიყოფოდა: მკვიდრი თემის მოსახლეობა (ქართულ-იბერიული ეთნიკურ-რელიგიური კოლექტივები) და არამკვიდრი თემების მოსახლეობა (ებრაული, სირიული, ირანული ეთნიკურ-რელიგიური კოლექტივები)“ [27, 169]. მაგრამ, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“–დან ჩანს, „მკვიდრი“ შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო ადგილობრივი (აბორიგენი მოსახლე, ქართულ-იბერიული ეთნიკურ-რელიგიური კოლექტივის წევრი), არამედ არააბორიგენი, მოსული მოსახლეს, რომელიც ქვეყანაში თავისი ცხოვრების ხანგრძლივობით და, შესაძლოა, დამსახურებითაც იძენდა მკვიდრობის უფლებას. „მოქცევაჲ“–ს ასეთი „მკვიდრი“ არის მცხეთელი ებრაელების ნაწილი; I ს–ში პალესტინიდან მოსული ცნობა ეკუთვნოდათ „მცხეთელთა მკვდრთა, ბოდელთა მღვდელთა, სობისკანანელთა თარგმანთა, კოდისწყაროველთა მწიგნობართა“ [125, 126]. ამათგან, ჩვენი აზრით, ტერმინი „მცხეთელთა მკვიდრთა“ მოსახლეობის რაღაც ჯგუფის სოციალურ სტატუსს გამოხატავს: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრებიდან“ ვგებულობთ, რომ მცხეთის მკვიდრი ებრაელები იყვნენ დედაქალაქის ებრაელთა ძლიერი თემის წარმომადგენლები, რომელნიც, ბუნებრივია, სარგებლობდნენ მცხეთის მოქალაქის ყველა უფლებით, რაც მათ ქართლოსიანებთან მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში საუკუნეთა მანძილზე მოიპოვეს (სამწუხაროდ, ადრეულ ეტაპზე არ

არის ცნობილი, რა პირობების შესრულება და დაცვა უწევდათ უცხოტომელებს იმისათვის, რომ მკვიდრობის სტატუსი მიეღოთ. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პროცესი მარტივი არ უნდა ყოფილიყო). მცხეთელი ებრაელების ერთი ნაწილის მაღალი სოციალური სტატუსის განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო შემდეგი უფლებები: საკუთრების ქონა, რელიგიური დამოუკიდებლობა, ქვეყანაში და მის გარეთ შეუზღუდავი გადაადგილება, საეკონომიკური საქმიანობა, საერთო სანახაობებში მონაწილეობის უფლება, სავალდებულო რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის თავისუფლება და სხვა. ეს ყველაფერი თავისთავად განსაზღვრავს ადგილობრივი პოლიტიკური სისტემის ტოლერანტობასაც, რასაც ჰქონდა თავისი მიზნები – ებრაული თემი არასოდეს აცხადებდა ტერიტორიული სეპარატიზმის პრეტენზიებს. მცხეთელი ებრაელების მაღალი სოციალური უფლებების შესახებ ინფორმირებულია ბეთლემში მცხოვრები დვინელი სომეხი სარა ნიაფორი, რომელიც მიუთითებს წმ. ნინოს ქრისტეს კვართის ადგილსამყოფელს: კვართი წილად ხვდათ „მათ ჩრდილოელთა მცხეთელთა მოქალაქეთა“, ებრაელები ფლობდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას: ელიოზს ჰქონდა საკუთარი სახლი „სახლი ელიოზისი იყო ქალაქა შინა დასავალითსა“ [125, 146]. მათ პალესტინაში არა მარტო მიმოწერა, თავისუფალი მისვლა-მოსვლაც ჰქონდათ. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველო-პალესტინის კულტურული ურთიერთობებისათვის; „სწორედ ებრაელები იყვნენ გზის გამკვალავნი საქართველო-პალესტინის ურთიერთობისა, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული ქრისტიანული კულტურის შემდგომ განვითარებაზე“ [93, 137]. მცხეთის ებრაულ რელიგიურ-ეთნიკურ თემს ჰქონდა სინაგოგა (შეიძლება ორიც), სასაფლაო და სარგებლობდა კულტურულ-რელიგიური თემის ყველა უფლებით, რასაც არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებენ.

ლ. პატარიძეს მიაჩნია, რომ „მცხეთელნი მკვიდრნი ნიშნავს მცხეთელ მღვდლებს, ანუ ელიოზის სახლის საგვარეულოს, რომელიც შთამომავლობით ფლობდა მცხეთის ბაგინზე მღვდლობის უფლებას“ [58, 41]. იქვე ლ. პატარიძე მიუთითებს, რომ „არაადგილობრივი თემების ქართლში დასახლებით, ხოლო მათი წარჩინებული ნაწილისათვის მკვიდრობის სტატუსის მინიჭებით ჯერ მცხეთის საქალაქო თემი ამგვრება თავის პოზიციებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარედან თავდასხმის წინაშე, ხოლო სამეფოს წარმოქმნის შემდგომ უკვე სამეფო ხელისუფლება

იქმნადა ერთგული ქვეშევრდომების ძლიერ დასაყრდენს“ [58, 41]. ვფიქრობთ, მკვიდრობის უფლებით მხოლოდ მცხეთელი მღვდლები ანუ ელიოზის სახლის საგვარეულო არ სარგებლობდა. მათი მოსვლა საქართველოში შედარებით გვიან მოხდა. მოქცევა -ის მიხედვით ისინი ქართლში ძვ. წ. 169-136 წლებში მოსულან [93, 22-23]. ხოლო ძვ. წ. VI ს-დან ქართლში მოსული ებრაელები საუკუნეთა მანძილზე შემღებდნენ შედარებით მაღალ სოციალურ საფეხურზე ასვლას. არ არის გამორიცხული, რომ ამ კატეგორიას დაემატა ელიოზის საგვარეულოც, რომელმაც მოიპოვა ბაგინზე მღვდლობის უფლება. ხოლო წყაროებში სწორედ ელიოზის გვარზე იმიტომ არის გამახვილებული ყურადღება, რომ მათ უკავშირდება ქრისტეს კვართის ქართლში ჩამოტანა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წყაროების მიხედვით მკვიდრობის უფლებით მხოლოდ მცხეთის ებრაელების გარკვეული ნაწილი სარგებლობდა. რაც შეეხება ქართლის სხვა ქალაქებში მაცხოვრებელ ებრაელებს, მათი სოციალური სტატუსის განსაზღვრა, წყაროების ნაკლებობის გამო, ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება.

როგორც ქართული ისტორიული წყაროებიდან ჩანს, „მკვიდრობისა“ და „მოქალაქეობის“ ცნება თითქმის ერთი და იგივე იყო. იგი შეიძლებოდა პქონებოდა როგორც ადგილობრივ, აბორიგენ მოსახლეს, ასევე მოსულ ადამიანსაც, რომელსაც ჩვენთვის გაურკვეველი დამსახურებით შეიძლებოდა ესარგებლა ამ მაღალი უფლებით. მოგვიანებით, ამ უფლების მინიჭება მეფის პრეროგატივა ხდება. მეფე მირიანი ეუბნება წმ. ნინოს: „...უკუეთუ განჰკურნო მთავარი ესე (იგულისხმება დედოფლის ბიძა), განგამდიდრო და გყო მკვდრ მცხეთას შინა მსახურად არმაზისა“ [125, 132], ხოლო როცა ორმოცდაათი სული „ბარაბეანთი“ გაქრისტიანდნენ. „...მკვდრ იქმნეს მცხეთას შინა, და მიუბოძა მირეან მეფემან დაბაჲ ერთი, რომელსა ჰრქვან ციხედიდი“ [125, 147]. თუ მოყვანილ ორივე ციტატას ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ მკვიდრობის უფლება ეს ყველაზე დიდი სოციალური უფლებაა თავისი მნიშვნელობით ანტიკური პერიოდის ქართლში. მეფესაც კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აქვს ამ უფლების გაცემის ნება (თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ერთპიროვნულად იქნება არცა აქვს). ეტყობა, ეს არის საკმაოდ პრივილეგირებული, თავისუფალი მოსახლის (მოქალაქის) სტატუსი, რომლის უფლებები ნათლად არის განსაზღვრული და რომელზეც დამოკიდებულია მათი უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობა. როდესაც

მეფე ნინოს ჰპირდება მკვიდრობის სტატუსს, ამას მისი უზენაესი ღვთაების მსახურად განდომით ამართლებს, ხოლო როდესაც ბარაბეანთა ოჯახი „მკვიდრ ყვეს“, არ ჩანს, რომ მეფემ ეს ერთპიროვნულად გადაწყვიტა. მეფე ერთპიროვნულად ანიჭებს მიწას, ტერიტორიას. ეტყობა, „ციხე დიდი“ მეფის დომენია, „სეფე მიწის“ ფონდია, რომელიც მსგავსი შემთხვევებისათვის არის გათვალისწინებული.

ამრიგად, ებრაელები, რომლებიც შეადგენდნენ ანტიკური ქართლის მოსახლეობის ორგანულ ნაწილს, ადგილობრივ სოციალურ სტრუქტურაში თავსდებიან. ერთი და იგივე ეთნიკური ჯგუფი შეიძლება მიკუთვნებული ყოფილიყო ორ სხვადასხვა სოციალურ ფენას. მათი გარკვეული ნაწილი სარგებლობდა მკვიდრობის უფლებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტერმინი „მკვიდრი“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სტრაბონის მიერ გამოყოფილი საზოგადოების კონკრეტული სოციალური საფეხურის აღმნიშვნელი. იგი ალბათ გულისხმობდა „მოქალაქის“ ზოგად მნიშვნელობას კლასიკური გაგებით. 1. ებრაელთა გარკვეული ნაწილი შეიძლება მიეკუთვნებოდა და მეომართა ფენის თანასწორ, ჩვენთვის მკვიდრობის სტატუსით ცნობილ, სოციალურ ჯგუფს, რომელთაც მოქალაქის ყველა უფლება გააჩნდა. 2. ხოლო უმრავლესი ნაწილი კი უნდა ვეძებოთ სტრაბონისეულ ლაოების გენეში, რომლებიც მისდევდნენ ალბათ ხელოსნობას, ვაჭრობას და აკეთებდნენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისთვის იყო საჭირო.

თ ა ვ ი VI

ქ ა რ თ ლ ი ს გ ა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ბ ა დ ა მ ბ რ ა მ ლ მ ბ ი

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართლის გაქრისტიანების საკითხს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს უძველესი ქართული მატთანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც ქართლის გაქრისტიანების ამბავს მოგვითხრობს. ასევე მნიშვნელოვანია ლეონტი მროველის თხზულება. ეს ისტორიკოსი არა მხოლოდ იცნობდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს, არამედ მისი ნაწილი მცირეოდენი ცვლილებით თავის თხზულებაშიც შეუტანია. ორივე წყაროში აღნიშნულია ებრაელთა უდიდესი ღვაწლი ქართლის გაქრისტიანებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული საისტორიო ტრადიცია ებრაელთა ქართლში მოსვლას ათარიღებს ძვ.წთ.აღ. VI ს-ით. აქ დამკვიდრებულ ებრაელებს არ შეუწყვეტიათ ურთიერთობა ისტორიულ სამშობლოსთან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სპარსეთის მეფე კიროს დიდმა აქემენიდმა ბაბილონის აღების შემდეგ ნება დართო ებრაელებს, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. პალესტინასა და ქართლში მცხოვრებ ებრაელებს შორის საკმაოდ ინტენსიური კულტურულ-რელიგიური ურთიერთობა დამყარდა. ქართლში მცხოვრები ებრაელები მუდმივად იერუსალიმში მიმდინარე პოლიტიკურ-რელიგიური მოვლენების საქმის კურსში იყვნენ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მისჯელით, პეროდეს მეფობის დროს (ძვ.წ. 37 წ. - ახ.წ. 4 წ.) ებრაელებს „...მოგუესმა აქა (ქართლში დ. ჩ.) ვითარმედ სპარსთა იერუსალმში დაიპყრესო. გლოვისა წიგნი მოეწერა ყოველთა ჰურიათა მომართ ქართლისათა მცხეთელთა მკვიდრთა, ბოდელთა მდდელთა, კოდის-წყაროველთა მწიგნობართა, და სობისკანანელთა თარგმანთა, ვითარმედ ათორმეტნი მეფენი მოვიდესო დაპყრობად ქუეყანისა ჩუენისა. და ყოველნი შეიძრნეს სივლტოლით შეწევნად მათა. ხოლო შემდგომად მცირედ-რე მოიწია სხუამ დალადისი ნუგუემისცემისაჲ იერუსალიმით ყოველსა ქუეყანასა, ვითარმედ სპარსნი იგი არა დაპყრობად ქუეყანისა მოვიდეს, არამედ... ეძიებდეს ყრმასა

ვისმე ახლად შობილსა, ძესა დავითისსა, რომელიცა პოვეს მწირი ერთი, მწირისა დედაკაცისა ძმ, უჯამოდ შობილი უადგილოსა ადგილსა“ [125, 126-127]. „როცა იესო იშვა იუდეის ბეთლემში, მეფე ჰეროდეს მმართველობისას, იერუსალიმში მოვიდნენ ვარსკვლავთმრიცხველნი აღმოსავლეთიდან“ (მათე, 2,1). კანონიკური ევანგელისტური ლიტერატურა არ ასახელებს არც მათ რიცხვს, არც სახელებს, არც ეთნიკურ წარმომავლობას. II ს-ში ორიგენი წერს, რომ ისინი იყვნენ იმდენნი, რამდენიც საჩუქარი, ე.ი. სამი. ხოლო სირიულ და სომხურ და, როგორც ჩანს, ზოგჯერ ქართულ ტრადიციაშიც ისინი თორმეტნი იყვნენ.

ქრისტეს დაბადებიდან გავიდა 30 წელი. ბუნებრივია, ამ დროსაც მიმდინარეობდა ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ქართლისა და პალესტინის ებრაელობას შორის, მაგრამ მათი შინაარსი ქართული წყაროებისათვის ან ნაკლებად საინტერესო იყო, ან არ შემონახულა. მას შემდეგ, რაც ქრისტემ ქადაგებები დაიწყო,⁶ იერუსალიმიდან ანა მღვდელმა მოწერა სიდონიას პაპას ოზოიდას, რომ ის ყრმა, რომელსაც ძღვენით ეახლნენ სპარსთა მეფეები, უკვე სრულასაკოვანია და მას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. ამის გამო მეფე ჰეროდე ანტიპამ გამოსცა ბრძანება; „ყოველთა ძეთა ისრაჴლისათა, განბნეულთა ყოველსა ქვეყანასა: იხილეთ ერთი ღმერთი და იგულეთ და ისმინეთ ერთი შჯული, და ისწავეთ ერთი სიტყვად მოსესი, რომელი თქუა: „რომელმან ქუეყანასა ზედა თქუას ღმერთად თავი თვისი, ძელსა დამოეკიდენ“ ... აწ ესერა აღდგა კაცი ერთი სახელი მისი იესე, თავით თუსით ჰხადის ღმერთსა მამად და რეცა თუ არს იგი თუთ ვითარცა ღმერთი. მოვედით ყოველნი სიკვდილსა მისსა აღვასრულოთ მცნებად ღმრთისად და მოსედსი [125, 128].

„მოქცევად“-ს მიხედვით, იერუსალიმში ქრისტეს გასამართლებაზე, როგორც აბიათარი გადმოგვცემს, წასულა ელიოზი „კაცი მოხუცებული“, რომელსაც ჰყავდა ხანდაზმული დედა და და. წასვლის წინ დედამ სთხოვა ელიოზს, რომ მას არ მიეღო მონაწილეობა ებრაელთა განზრახვის ასრულებაში. „და წარვიდა ელიოზ და ყოველნი პურიანი ქართლით“ [125, 128]. ბუნებრივია, ყველა ებრაელი არ წავიდოდა ქრისტეს გასამართლებაზე. მაგრამ, რადგანაც ელიოზი ცალკეა ნახსენები,

⁶ ი. ფლავიუსი მოგვითხრობს: იმ დროსვე (პილატეს დროს) იყო იესოც, ბრძენი კაცი, თუკი საკმარისი იქნებოდა ეუწოდოთ მას კაცი, რადგან ახდენდა განსაკვიფრებელ საქმეებს, იყო მათი მასწავლებელი, ვისაც სწამდა ჭეშმარიტების... გაიჩინა მრავალი მიმდევარი, როგორც იუდეველთა, ისე წარმართთა შორის [178, 200].

აღნიშნულია მისი ხანდაზმულობა, რაც მის სიღინჯესა და სიბრძნეს უნდა აღნიშნავდეს, მითითებულია „ყოველნი ჰურიანიც“. უნდა ვიგულისხმოდეთ, რომ ელიოზთან ერთად წასულა ქართლში არსებული, ზემოთ დასახელებული ყველა ებრაული თემის წარმომადგენელი. მათიანემ მათი სახელებიც შემოგვინახა: ელიოზ მცხეთელი, ლონგინოზ კარსნელი, თაღენავ და მისაელი [125, 87]. ჩვენი ვარაუდით, თითოეულ თემს ქართლის ქვეყანაში თავისი განსაკუთრებული ნიშან-თვისებით ასხვავებდნენ და ქართულ მათიანეში ისინი ამ სახელწოდებით არიან შეტანილი: მაგ. მცხეთელი მკვდრნი (ე.ი. მცხეთელი ებრაელები, რომლებიც, როგორც უძველესი ებრაული თემის წარმომადგენლები, სარგებლობენ მკვიდრობის, ე.ი. მცხეთის მოქალაქეთა უფლებებით), ბოდელნი მდელნი, რომელიც გამოირჩეოდნენ რელიგიური დოგმატიკის ცოდნით, კოდის-წყაროელი მწიგნობარნი – ალბათ თავიანთი მწიგნობრობით იყვნენ განთქმულნი, სობის-კანანელთა თარგმანნი კი ალბათ აღნიშნავდა სობისში მცხოვრებ ქანანელებს, ე.ი. ებრაელებს, რომლებიც რელიგიური ტექსტების ლექსიკური ფონდის შესწავლით და თორას კომენტარებითა და ახსნა-განმარტებებით იყვნენ ცნობილნი.

იუდეა და სამარია ჯერ კიდევ ნ წლიდან იქცა რომის პროვინციად, რომელსაც იმპერატორის მიერ დანიშნული ნაცვალის განაგებდა. გარკვეული უფლებები ჰქონდათ შენარჩუნებული იერუსალიმის ტაძრის ქურუმობას და სინედრიონს. ამ უკანასკნელს სათავეში ედგა იერუსალიმის ტაძრის მღვდელმთავარი, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა საშინაო საქმეები და ზოგიერთი სასამართლო და პოლიტიკური საკითხის გამგებლობის უფლება [172, 47]. I ს. 30-იან წლებში წარმოიშვა ახალი მოძღვრება – ქრისტიანობა, რომლის დამფუძნებელი იყო იესო ნაზარეველი. მან უარყო თორას ზოგიერთი კანონი, იუდეური რელიგიის ზოგიერთი წეს-ჩვეულება (მაგ. წინდაცვეთა, შაბათის დღესასწაული და სხვა). სამაგიეროდ, მოსეს მცნება – „ავიყვარდეს მოყვასი შენი“ მან თავისი მოძღვრების ქვაკუთხედად გადააქცია. როდესაც რომის პროკურატორმა პილატე პონტოელმა (26-36 წ.წ.) შეიტყო, რომ ქრისტიანთა თვის იუდეის ხელმწიფეს და ხალხის მხსნელს უწოდებდა, სახელმწიფოსთვის საშიშ პიროვნებად მიიჩნია. სინედრიონმა გაასამართლა ქრისტიანთა და მას სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ სიკვდილით დასჯის უფლება მხოლოდ რომაელ ხელისუფალს ჰქონდა [169, 159-162]. ბრბომ აიძულა პილატე, სიკვდილით დაესაჯა ქრისტიანთა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თანახმად ქრისტეს სიკვდილით დასჯას ესწრებოდნენ ქართველი ებრაელებიც. მაგრამ გადმოცემით, მათ არ მიიღეს მონაწილეობა ქრისტეს სასიკვდილო განაჩენის ასრულებაში, არ გაისვარეს ხელი მართლის სისხლით და ამოიცნეს მესია. ისინი არ ყვიროდნენ სხვებივით: „ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი“ (მათე, 27,25). ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მისი ტანსაცმელი გაინაწილეს. ევანგელისტური ლიტერატურის მიხედვით, ქრისტეს სამოსი ჯარისკაცებს ერგოთ (იოანე 19,23; მათე 27,35; მარკოზი 15,24; ლუკა 23,24), მათ შორის კვართი, რომელიც „...არ იყო შეკერილი, თავიდან ბოლომდე ნაქსოვი იყო“ (იოანე 19,23). ქრისტეს თანამგრძნობი ებრაელებისათვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო ჯარისკაცთაგან ამ სამოსის დახსნა. კვართი წილად ხვდა ქართველ ებრაელებს.⁶ იგი საქართველოში ელიოზმა ჩამოიტანა.

ელიოზი შემთხვევით არ უნდა ყოფილიყო წვეული იერუსალიმში. თეიმურაზ ბატონიშვილის მიხედვით, ელიოზი ადრეც ყოფილა იერუსალიმში და ფილიპე მოციქულის მეგობარიც ყოფილა. სწორედ ფილიპეს მეშვეობით გაუცვნია იესო ქრისტე [7, 437]. მ. ჯანაშვილის მიხედვით, ელიოზი იყო „...ერთი დასისთავანი, დაყენებული ქრისტეს საფლავის დარაჯად“ [70, 5] (ე.ი. იგულისხმება, რომ რომაელ ჯარისკაცთა გარდა, საფლავს ებრაელი მცველებიც მიუყენეს). შინ დაბრუნებულ ელიოზს ორი უბედურება ელოდა: ჯერ ერთი, როცა ქრისტე გაასამართლეს და ჯვარს აცვეს, ელიოზის დედამ მცხეთაში იგრძნო ის ტკივილი, რომელიც ქრისტემ განიცადა ჯვარზე გაკერისას: „... იკრჩხილა მწარედ დედაკაცმან მან და თქუა: მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალით თავისა მაცხოვარი და მხსნელი, და იქმენით ამიერიდან მტერ შემოქმედისა“ ... [125, 128-129] და ამ სიტყვებით სული განუტევა; და მეორე, ელიოზის და (რომლის სახელიც „მოქცევაჲ“-ში არ გვხვდება, ხოლო ქრისტიანული ტრადიცია მას სიდონიას უწოდებს), დედის გარდაცვალებით დამწუხრებული, როგორც კი შეხვდა იერუსალიმიდან ჩამოსულ ძმას, ჩაიკრა მის მიერ ჩამოტანილი ქრისტეს კვართი და

⁶ კვართი შიდა სამოსლის აღმიშენელი ძირითადი ტერმინია. მას უდარებს მეგრ. – ჭან. კურთა-ს „ქვედა საცვალი, ნიფხავი“ (მ. ბროსე, ივ. ჯავახიშვილი). სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ქართული კვართ ძიჭს კანონზომიერად შეესიტყვება მეგრ. ჭან. კურთ-კურთ, კურთ (არნ. ჩიქობავა, პ. ფერნიხი, ზ. სარჯველაძე). სიტყვა კვართ-ს, აგრეთვე კურთა-ს უკავშირებენ სპარს. Kurta-ს „შიდა სამოსი, პერანგი“ (მზ. ანდრონიკაშვილი, ვ. აბავეი) [11, 7].

სული განუტევა: „მოიღო სამოსელი იგი იესუმსი და შეიტკბო მკერდსა თვისსა ზედა, და მსწრაფლ სულნი წარხდეს“ [125, 129]. ელიოზის და კვართან ერთად დაკრძალეს, ვინაიდან ვერაფრით მოახერხეს მისი ხელიდან კვართის განთავისუფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ მოლოდინი მესიისა ყოველთვის იყო იუდეური რელიგიის მთავარი დოგმატი. „აზრი მომავალი მხსნელის შესახებ იყო ებრაელთა საუკეთესო ხელისუფალთა და რჩეულთა შვილთა სასოებისა და მოლოდინის საგანი. მაგრამ ეს რწმენა რჩეული ხალხისა არასოდეს ყოფილა ისე აღორძინებული, როგორც პეროდე დიდის მმართველობის ბოლო წლებში“ [73, 5].

ე. მამისთვალისშვილი წერს: „... შეიძლება დავასკვნათ, რომ ქრისტეს იდეებს უკვე იცნობდნენ საქართველოში. უკვე იყვნენ პირველი პროზელიტები ებრაელთა შორის“ [93, 138], და რომ „... ელიოზის დედის თავგადასავალი, რომელიც ქართულ წყაროებშია ჩართული, ქართველ ებრაელთა შორის მესიანისტური ტენდენციების არსებობაზე მიუთითებს. ელიოზის დედა პალესტინის მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია იესოს ჯვარცმასთან, წინასწარმეტყველთა სიმართლედ მიიჩნევს“ [93, 139-140]. შეიძლება ითქვას, რომ მესიანისტური იდეები, რომლებიც პალესტინაში განსაკუთრებით ძვ.წ. I საუკუნის ბოლოს გავრცელდა და უმთავრესად იუდეის რომის პროკურატორებისაგან განთავისუფლებას და საკუთარი სამეფოს ჩამოყალიბებას საკუთარი მეფით გულისხმობდა, მასობრივ ეიფორიას ქმნიდა მსოფლიო ებრაელობაში. ამის გავლენა, ბუნებრივია, საქართველოს ებრაელობამდეც მოაღწევდა. რაც შეეხება ქრისტეს მოძღვრებას, შეიძლება ითქვას, რომ მას არა მარტო იცნობდნენ ქართლის ებრაულ თემში, არამედ ზოგიერთს იგი მიაჩნდა მესიად, მხსნელად. მათ შორის უნდა ვიგულისხმოთ ელიოზის დედაც (როგორც ვიცით, იერუსალიმში წვეული ელიოზი დედამ, რომელიც ელია მღვდლის ტომისაგან იყო, გააფრთხილა „... რომელსა იგი განიზრახვენ, ნუ შეერთვინ ცნობა შენი, ნუ შეილო“ [86,99]) და დაც.

ელიოზი ცხოვრობდა მცხეთაში, მოგვთა კართან, ქალაქის დასავლეთ მხარეს: „... სახლი ელიოზისი იყო ქალაქსა შინა დასავალითსა, იყო კარსა მოგუეთისასა, მტკუარსა ზედა“ [125, 146], ლეონტი მროველი კიდევ უფრო აზუსტებს „მოქცევამს“ ცნობას: ხოლო სახლი ელიოზისი იყო ქალაქის დასავლით, წიად მოგუთა, ხიდსა ზედა“ [86, 101]. ჩანს, ამ

სახლის არსებობა ლეონტი მროველის დროსაც სცოდნიათ, ვინაიდან იგი უფრო აკონკრეტებს მის ადგილმდებარეობას. ელიოზის სახლთან იყო მოწყობილი „მცირე ბაგინი, სამარხვო მათი (ჭურიათა)“ [125, 146], „... და ფრიად ღიღებულ იყო ადგილი იგი დღეთა ჩუენთა“ [125, 146], ე.ი. აბიათარის დროს (IV ს. დასაწყისი) ელიოზის სახლის შესახებ ბევრმა იცოდა. ე. მამისთვალისშვილის მიხედვით „... ამ ნაგებობის სარდაფში, რომელიც აკლდამის ფუნქციასაც ასრულებდა, ელიას ხალენთან ერთად დამარხული იყო ქრისტეს კვართი“ [93, 141]. ამ ბაგინზე ელიოზის საგვარეულო ფლობდა მღვდლობის უფლებას შთამომავლობით [58, 41], ხოლო ელიას ხალენისა და ქრისტეს კვართის დაკრძალვის ადგილები „...იმთავითვე იქნა გააზრებული პოტენციურ საკულტო ადგილებად, როგორც იუდაისტურ, ისე ქრისტიანულ ტრადიციაში. ელიას ხალენი და ქრისტეს კვართი გამოხატავენ ძველ და ახალ აღთქმათა ეპოქალურ ნიშნებს ქრისტიანიზაციის დასაწყის ხანაში“ [35, 2].

„...საქართველოს ერმა მოციქულების ანდრია და სიმეონ ქანანელის შემოსვლამდე კარგად იცოდა ყველაფერი, რაც გადახდა ფარისევლთა მოწყალებით იესოსა“ [70,7]. ე.ი. საქართველოში ქრისტეს იდეებსა და თავგადასავალს მოციქულებამდეც იცნობდნენ, მაგრამ ქართული ქრისტიანული ტრადიცია საქართველოში ქრისტიანობის ქადაგებას ქრისტეს მოციქულებს ანდრია პირველწოდებულსა და სიმონ ქანანელს (ზოგიერთი ვარაუდით მატათასაც) მიაწერს.

სამი საუკუნის შემდეგ 313 წ. რომის იმპერატორმა კონსტანტინემ გამოსცა მილანოს ედიქტი, რომლითაც მანამდე დევნილი ქრისტიანული რელიგია სხვა რელიგიების თანასწორად გამოცხადდა. ქრისტიანობამ სწრაფად დაიწყო გავრცელება არა მარტო რომის იმპერიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ქართლის გაქრისტიანების შესახებ არსებობს ქართული, ბერძნულ-ლათინური, სირიული (ასურული) და სომხური წყაროები. ქართული წყაროებიდან აღსანიშნავია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც ორი ხელნაწერით – ე.წ. შატბერდულითა და ჭელიშურით არის ჩვენამდე მოღწეული; ლეონტი მროველმა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ნაწილი თავის თხზულებაში შეიტანა [86, 73-103]; ბერძნული წყაროებიდან აღსანიშნავია გელასი კესარიელი (გარდაიცვალა 395 წელს), რომელსაც იყენებენ ან მცირე შესწორება-დამატებით პირდაპირ თარგმნიან რომელიც ისტორიკოსი რუფინუსი („საეკლესიო ისტორიის“ წერა დაუწყია 402

წ.), თეოდორიტე კვირელი (V ს. შუა ხანები) და გელასი კვიზიკელი (V ს. ბოლო). სომხურიდან აღსანიშნავია მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ (V ს.) [123, 170-172]. ყველა ეს წყარო ერთხმად აღნიშნავს ქართლის გაქრისტიანებას ნინო კაპადოკიელის (ქართული), ნუნეს (სომხური), ტყვე ქალის (ბერძნულ-ლათინური) მიერ.

ნინო იყო იერუსალიმის პატრიარქის დისშვილი. იგი ემსახურებოდა იერუსალიმში მცხოვრებ დვინელ სარა ნიაფორს, რომლისაგანაც შეიტყო ქრისტეს კვართის შესახებ: „... ჯუარსა აცვეს (ქრისტე) და სამოსელსა მისსა ზედა წილი იგდეს, და ზუდა წილითა მით ჩრდილოელთა მცხეთელთა მოქალაქეთა“ [86, 78]. ნინოსთვის უცნობია ქართლი, მცხეთა, სარა ნიაფორი კი, რომელიც წარმოშობით დვინელი სომეხია, იცნობს მეზობელ ქვეყანას. იგი ეუბნება ნინოს: „არს აღმოსავლეთით ქალაქი, სახელით მცხეთა, ქუეყანა ქართლისა და სომხითისა-მთეულეთი საწარმართო, არამედ ჟამსა ამას უყიკთა სახელმწიფოდ შექმნილი არს იგი“ [86, 79]. ე.ი. სარა ნიაფორმა იცის არა მარტო ქართლისა და მცხეთის არსებობა, არამედ აქ მიმდინარე პოლიტიკური და რელიგიური მოვლენების საქმის კურსშიც არის (სარა ნიაფორს აინტერესებს ყველაფერი, რაც ქრისტიანობას შეეხება. როგორც კი გაიგო, რომ ეფესოდან იერუსალიმში ვინმე დედაკაცი მოვიდა, მაშინვე გამოჰკითხა ელენე დედოფლის ამბავი, რათა ინფორმაცია თვითმხილველისაგან მიეღო. ცნობა კვართის შესახებაც მას სარწმუნო წყაროდან ექნებოდა მიღებული). ნინომ მიიღო პატრიარქის კურთხევა და თანამზრახველებთან ერთად სომხეთში მოვიდა. აქედან იგი საქართველოში გადმოვიდა. მცხეთისაკენ მომავალ გზაზე იგი შეჩერდა ქალაქ ურბნისში, სადაც „...შევიდა ბაგინსა ჰურიათასა ენისათვის ებრაულისა, და დაყო მუნ (ურბნისში) თუე ერთი“ [86, 87-88].“ ნინო დაულალავად მიიწვეს მცხეთისკენ, სადაც უფლის კვართი ეგულება, მცხეთაში მოსული კვლავ ხშირად დადის ებრაელთა უბანში, რათა გაიგოს კვართის ადგილ-სამყოფელი. მან დაიმოწაფა „...ურია ერთი მღვდელი, სახელით აბიათარ და უქადაგა მას და ასულსა მისსა სიდონიას სახარება უფლისა

* ი. ლავიდი მიუთითებს იეჰუდა ჩორნის მოსაზრებას: (ურბნისი) ადრე დიდი ქალაქი ყოფილა, ...თხუთმეტი საუკუნის წინ იერუსალიმიდან აქ მოსულა ნინო, ერთი თვე უცხოურია აქაურ ისრაელებთან... იმ ადგილას, სადაც უძველესი ებრაული სალოცავი მდგარა, ეხლა ქრისტიანი ქართველების დიდი ტაძარი დგას... ნინოს სწორედ აქ უპოვია პირველი ებრაული ტაძრის განადგურების პერიოდიდან გადმოხვეწილი ებრაელების შთამომავალნი, რომლებსაც ლაშონ პაკოდემზე გამოსაუბრებია [54, 134].

ჩუენისა იესო ქრისტესი. ხოლო მათ რწმენა და დაემოწაფნეს. და ექუსნი დედანი სხუანი ჰურიანი“ [86, 95].

აბიათარი იყო „მღვდელი... წილით ხუედრებული სამღვდლოსა ზედა მის წელიწადისა ოდენ“ [125, 144]. იგი იყო ბენიამინის ტომიდან, მოსეს სჯულზე აღზრდილი და საკმაოდ წიგნიერი ადამიანი. მისი გაქრისტიანება შემთხვევით არ მომხდარა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 70 წ., რომის იმპერატორმა ვესპასიანემ და მისმა შვილმა ტიტემ დაიმორჩილეს იუდეა. დასრულდა ე.წ. იუდეური ომი [186, 238-240]. იერუსალიმის აღება, ტაძრის განადგურება ებრაელთათვის კატასტროფად იქცა. ტაძრის დანგრევით დაირღვა სიმბოლო ერთიანობისა; ისინი, ვინც სიკვდილსა და ტყვეობას გადაურჩნენ, მთელს მაშინდელ მსოფლიოში მიმოიფანტნენ. ამ ტრაგედიის მიზეზი მორწმუნე ებრაელთათვის, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, გამოცანად რჩებოდა.

„მოქცევაჲს“ მიხედვით, მცხეთის ებრაელებს ცხოველი მიმოწერა ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული თანამომხმეებისადმი. აბიათარი ამბობს, რომ ნინოს მცხეთაში მოსვლამდე მას წერილები მიუღია რომში, ეგვიპტესა და ბაბილონში მცხოვრები ებრაელებისაგან, რომლებიც წუხდნენ იმის გამო, რომ მათი წინაპრები რომაელთა ბატონობის ხანაში გაიფანტნენ მთელს მსოფლიოში [125, 144].⁶ ისინი ერთმანეთს ატყობინებდნენ თავიანთ აზრებს და ეძებდნენ უბედურების მიზეზს. ებრაელები ფიქრობდნენ, რომ მათი „განბნევა“ და სახელმწიფო-ებრიობის აღსასრული იმის გამო მოხდა, რომ მათ განარისხეს უფალი. აბიათარიც იმათ შორისაა, რომლებიც ფიქრობენ რა თავიანთი ხალხის ბედზე, ეძებენ გამოსავალს ამ მდგომარეობიდან. მიზეზად მათ მიაჩნიათ ღვთის რისხვა. მაშინაც, როდესაც მათი წინაპრები ივიწყებდნენ ღმერთს, სჯიდა მათ უფალი და ამორებდა აღთქმულ მიწას, მონანიების შემდეგ კი უკან აბრუნებდა. მას შემდეგ კი, რაც „მწირი დედაკაცის“ შვილი ჯვარს აცვეს, უფალმა ხელი აიღო თავის რჩეულ ერზე, გაფანტა ისინი მთელ მსოფლიოში და გააშორა სათაყვანებელ ტაძარს. ეს უნდა ყოფილიყო შედეგი იმისა, რომ ებრაელებმა ვერ იცნეს მესია და სიკვდილი მიაგეს მას. წერილების მიღების შემდეგ, აბიათარმა დაიწყო ნინოსაგან ქრისტეს ამბის გამოკითხვა და ის და მისი ქალიშვილი გაქრისტიანდნენ.

⁶ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია მხოლოდ ანტიოქიიდან მოსული წერილი [86, 95].

მოქცეული აბიათარი და მისი ქალიშვილი სიდონია ქრისტიანობის დაულალავი მქადაგებლები გახდნენ. ისინი მხარში უდგანან ნინოს მთავარი მიზნის განხორციელებაში – ჯერ მეფე-დედოფლის, შემდეგ კი ქვეყნის გაქრისტიანებაში. ძველი წყაროები აბიათარს მეორე პავლეს უწოდებენ თავისი ქადაგებების გამო: „...და ასწავებდნ (ნანა დედოფალს) წმიდა ნინო და აბიათარ, ახალი პავლე, და ასული მისი სიდონია. და იქმნა დედოფალი მორწმუნე და იცნა ღმერთი ჭეშმარიტი“ [86, 105]. აბიათარის ღვაწლს ქრისტიანობის გავრცელებაში აღნიშნავს ასტირონ ვასპურაკანის მთავარიც; ეს უკანასკნელი გაკვირვებულია და მიმართავს აბიათარს: „...არასადა ვის ასმია მათგანსა (იუდეველთა დ.ჩ.) ქებაჲ ქრისტიანეთაჲ... ხოლო აწ ესერა გხედავ, შენ და ასულსა შენსა, რამეთუ ყოველივე დაგიტყვებიეს და ყოველი ერი შენი სიტყვითა შენითა განგიბნევია (!), და ხე იგი შუენიერი დაგიცემია და ბაგინი დაგიმხობია და უფროის ყოველთასა ხარ შენ მოსწრაფე, ქრისტეს მსახურებისა ქადაგ, აწუევ და ასწავებ“ [125, 103]. აბიათარი დაახლოებული ჩანს სამეფო კართან. იგი მთავართა შეკრებაზე თამამად ამბობს ებრაელთა სჯულის მიმართ: „...მოსაწყინებელისა ჰურიათა სჯულისა“ [125, 103]. ქრისტიანობა მარტო აბიათარს და მის ქალიშვილს კი არ მიუღიათ, არამედ „ნათესაეთა მათთა მრავალთა“ და ეს აბიათარის ღვაწლის დიდი ნაყოფი უნდა ყოფილიყო. აღბათ, სწორედ ამიტომ აიღეს ებრაელებმა ხელი თავიანთ სულიერ წინამძღოლზე და მისი პროზელიტიზმით აღმფოთებულნი ცდილობდნენ მის ფიზიკურ განადგურებას. სწორედ აბიათარი იყო ნინოსთვის მთავარი საყრდენი ძალა, რადგან ქართლში ჯერ არ იყო მოწესრიგებული ქრისტიანული მღვდელმსახურება, მთიულეთს მიმავალი ნინო თავის სანაცვლოდ მცხეთის ქრისტიან მრევლს სწორედ აბიათარს აბარებს.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ საუკუნეთა მანძილზე, მიუხედავად ქრისტიანობის მკაცრი დევნისა, ის მაინც ვრცელდებოდა რომის იმპერიასა თუ მის მიმდებარე მხარეებში. ამაშიც უნდა შევნიშნოთ ებრაელთა როლი, რადგან იმ ებრაელთათვის, რომლებმაც მეტ-ნაკლებად მაინც ირწმუნეს ქრისტე „აშკარა გახდა, რომ ის ღმერთი, რომელსაც ემსახურებოდნენ, იგივე ქრისტიანული მამაღმერთი იყო. „აბიათარის ქადაგება, ბუნებრივია, ებრაელთა წრით იქნებოდა ძირითადად შემოფარგლული. მას შეეძლო მათთვის, როგორც ძველი აღთქმის ხალხისათვის, გაეხსენებინა მესიის მრავალსაუკუნოვანი მოლოდინი“ [36, 46]. აბიათარის ღვაწლი ქართულმა

ქრისტიანულმა ეკლესიამ სათანადოდ დააფასა და იგი წმინდანად შერაცხა [95, 269-274].”

„დიდი მცხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ებრაელებმა აქტიური როლი შეასრულეს ქართლის სამეფოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა-გავრცელების საქმეში. ამ ცნობებს გარკვეული საბუთიანობა შემატა დიდი მცხეთის სამაროვნებზე II-III ს.ს. დათარიღებული სამარხთა ჯგუფის გამოყოფამ“ [9, 6-7]. კიდევ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე იგი მინც იკვლევდა გზას ქართლის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში. ამის მაგალითია 1978 წ. მცხეთაში აღმოჩენილი დედა-შვილის III ს.-ის სამარხი, სადაც სანეკე ბეჭდის ინტალიოზე ამოკვეთილი იყო ადრექრისტიანული სიმბოლო თევზისა და ღუზის სახით [78, 741], აგრეთვე ერწოს ველის სოფ. მაგრანეთში III ს. სამარხში აღმოჩენილი ბეჭედი ქრისტიანული მონოგრამით, რომელიც ასე იკითხება Iesus Xristos Palma Emerilta [60, 99]. ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ ქრისტიანობისაკენ მისწრაფება ქართლში, განსაკუთრებით მკვეთრად შეიმჩნევა დომენის ტერიტორიაზე, ე.ი. იქ, სადაც ყველაზე კომპაქტურად სახლობენ ებრაელები.

ქართული ნარატიული წყაროებით სწორედ ებრაელები არიან არა მარტო პირველი ქრისტიანები ქართლში, არამედ ამ რელიგიის დაუღალავი მქადაგებლებიც. ებრაელებს უკავშირებენ ქართული ნარატიული წყაროები უპირველესი ქრისტიანული სიწმინდეების: წინასწარმეტყველ ელიას ხალენისა (მოსასხამი) და ქრისტეს კვართის საქართველოში მოტანას. ებრაული ათნორელიგიური თემები, რომლებიც არსებობდნენ ურბნისში, კარსანში, კოდისწყაროში, ბოდბეში, ხერკში არ უნდა ყოფილიყვნენ იზოლირებულნი ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ისინი წარმოადგენდნენ ებრაული კულტურის, მონოთეისტური რწმენა-წარმოდგენების, განათლებისა და მწიგნობრობის კერებს. ებრაელები იყვნენ წმ. ნინოს ინფორმატორები: სწორედ მათგან იგებდა ის ადგილობრივი მოსახლეობის წესს, ადათს, ჩვეულებას. მცხეთაში ყოფნისას ნინო ხშირად დადიოდა ებრაელთა უბანში, რათა გაეგო, სად ინახებოდა უფლის კვართი.

უფლის კვართის რელიგიური მნიშვნელობა ძალიან დიდია. თავისთავად

* აბიათარი რუსულ მართლმადიდებლურ ენციკლოპედიაში მოხსენიებულია, როგორც აბიათარ მცხეთელი [171, 43], ხოლო ქართული ეკლესია მას მოიხსენიებს, როგორც აბიათარ ურიადყოფილი [83, 269].

ის ფაქტი, რომ ებრაული დიასპორის ტრადიცია თაობათა მანძილზე ინახავდა ხსოვნას, როგორც წინასწარმეტყველ ელიას ხალხის, ისე ქრისტეს კვართის მცხეთაში მოტანის და მისი ადგილსამყოფელის შესახებ, ბევრისმთქმელია. ამ სიწმინდეების მნიშვნელობის ზრდას ხელს უწყობდა წმ. ნინოც: როდესაც მეფე მირიანი გაქრისტიანდა, მან მოციქული გაგზავნა კონსტანტინე კეისართან. იმპერატორმა სიხარულით გამოგზავნა მღვდლები და ხურონი და აგრეთვე, წმინდა ნაწილები: „სიხარულით მიანიჭა (კონსტანტინემ) ნაწილი ძელიცხოვრებისა და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერხნი დაშსჭვალულ იყვნეს უფლისანი და სამსჭუალნი ხელთანი. და წარმოგზავნა მღვდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი“ [86, 117]. წარმოგზავნილებმა ერუშეთს, წუნდას, მანგლისს ააშენეს ეკლესიები და დატოვეს სიწმინდეები. ეს რომ მირიანმა შეიტყო, ძალიან შეწუხდა: „...პირველ არა სამეუფოსა ქალაქსა მოვიდეს, არამედ სხუათა ქალაქთა და ადგილთა იწყეს შენებად ეკლესიათა და დაუტევნეს ნაწილნი“ [86, 118]. წმ. ნინომ დაამშვიდა მეფე: „ნუ სწუხ, მეფეო ... არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი იგი დიდებული უფლისა“ [86, 118]. აღსანიშნავია, რომ „მოქცევაჲ“-ში მირიან მეფეს მთავარეპისკოპოსი აუწყებს კვართის ამბავს: „შენ თანა არს ამას ქალაქსასინა სამოსელი ქრისტესი ყოვლად ზეგარდმო ქსოვილი, რომელი ჯუარის მცემელთა მათ განიყვეს, და კუართი იგი ამათ (ჰურიათა ქართველთა დ.ჩ.) იხუჯდრეს, ვინ უწყის, თუ ადგილიცა იცოდნენ ... აგრეთვე ხალხნი ელიასი აქვე (მცხეთაში დ.ჩ.) დამარხულ არს“ [125, 87]. დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა უფლის კვართის მნიშვნელობა. უკვე ყურადღება მიექცა იმასაც, თუ ვინ იყო ინფორმატორი მისი მცხეთაში არსებობისა. ამიტომ ლეონტი მროველი წმიდა ნინოს ათქმევინებს მირიანისათვის ამ ამბავს, რაც უფრო მეტ დამაჯერებლობას ჰმატებს ამ ფაქტს. მეფე მირიანმა გაიზარა, „ადივსო სიხარულითა“ და „მოხადნა ყოველთა ჰურიათა“. მათ უპასუხეს: „აქეთ წარვიდეს ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კანისელი და თალენავ და მისაელი და კუართისა მის თქუეს წილით ხუედრებაჲ ამათი, ხოლო ადგილი იგი უარყვეს“ [125, 87]. რადგანაც მირიანმა გამოჰკითხა „ურიათა მრავალთა“, ესე იგი ბევრმა ებრაელმა იცოდა უფლის კვართის მცხეთაში არსებობის შესახებ IV ს.-ში, ე.ი. მისი ჩამოტანა იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ ცნობა მის შესახებ თაობიდან თაობას გადაეცა. წყაროში არ არის დაკონკრეტებული, მირიანმა მართო ქრისტიან ებრაელებს გამოჰკითხა

კვართის შესახებ თუ იუდაიზმის აღმსარებლებსაც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორივე მათგანში, რომლებიც ერთ ქალაქში ცხოვრობენ, რომლებმაც იცოდნენ, რომ ერთი ძირიდან იყვნენ, რომლებსაც ერთი სალაპარაკო ენა ჰქონდათ, ცოცხლობდა გადმოცემა ქრისტეს კვართის შესახებ. დარწმუნებულმა მეფემ, რომ სატახტო ქალაქში არანაკლები სიწმინდე ინახება, ვიდრე კეისარმა გამოგზავნა, დაიწყო ეკლესიის აგება.

როგორც ზ. კიენაძე მიუთითებს, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ „ზოგი ადრინდელი ქრისტიანული სალოცავი საქართველოში დაშენებულია ებრაული სალოცავის (ბაგინის, ბომონის) ნაგებობებზე. ეს მეტყველებს ორ შესაძლო მომენტზე: ა. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზე (IV ს.) ებრაელთა ნაწილმა საკუთარი ნებით მიიღო ქრისტიანობა, ნაწილი კი მამა-პაპათა რწმენის ერთგული დარჩა“ [35, 2], ბ. ხდებოდა კონსეკრაცია, მაგალითად, ნინოს მიერ მცირე ბაგინზე ჯვრის აღმართვით ბაგინი ქრისტიანულ ეკლესიად იქცა.

უაღრესად საინტერესოა მირიანის მიერ აგებული პირველი ქრისტიანული ტაძარი, რომლის ნაშთები აღმოჩნდა 1968-72 წ.წ. მცხეთის სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში წარმოებულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დროს (ხელმძღვ. ვ. ცინცაძე). ეს ნაშთები მიჩნეულია წმ. მირიანისა და წმ. ნინოს მიერ აგებული პირველი ქრისტიანული ტაძრის ნაწილად. გ. ბოლქვაძე მიუთითებს, რომ „მირიანის მონათვლამდე მცხეთაში ქრისტიანული ტაძრის აშენება წარმოუდგენელი იყო“, რადგანაც აბიათარმა და სიდონიამ წმ. ნინოსთან ერთად უდიდესი ღვაწლი გასწიეს მეფის გასაქრისტიანებლად, ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ თავად აუცილებლად განიცდიდა მათ გავლენას. მათ აზრს აუცილებლად გაითვალისწინებდა მეფე. ნინო იერუსალიმიდან არის მოსული. მისთვის უცხო არ იქნებოდა წმიდა-წმიდათაგან გარეგნული სახე. ასევე ცნობილი იქნებოდა მისი მიახლოებული არქიტექტურული ფორმები აბიათარისთვისაც. იგი ურიათა მღვდელმსახური იყო“. გ. ბოლქვაძე პარალელს ავლებს მცხეთის პირველ ტაძარსა და წმიდა-წმიდათაგან – სოლომონის მიერ აგებულ ტაძარს შორის [12, 77]. სოლომონის ტაძრის მიბაძვით უნდა ყოფილიყო აგებული მცხეთის ბაგინიც – იგი წარმოადგენდა სტოას-ორსვეტიან ნაგებობას.⁶ გ. ბოლქვაძის აზრით, „ბიბლიური სავანის მაგალითზე ადრექრისტიანული

⁶ ატოვა, სტოა, ანტიკურ არქიტექტურაში იყო გრძელი გალერეა-პორტიკი, რომლის ერთ-ერთ გრძივ მხარეს გასდევდა სვეტების ერთი ან ორი მწკრივი, ხოლო მეორე მხარეს – კედელი. ასეთი უნდა ყოფილიყო იერუსალიმის ის ტაძარი, რომელიც 70 წელს რომაელებმა დაანგრიეს [94, 65].

საკლესიო ნაგებობის მშენებლობა, რომ მხოლოდ ქართლის სამეფოს ორიგინალობასა და ინდივიდუალობას არ წარმოადგენდა, ვფიქრობთ ამის დასტურია ვ. ცინცაძის მიერ ქვემო ეკლესიად მიჩნეულის პარალელურ საილუსტრაციო მასალად მოხმობილი, კოპტურ ქსოვილზე გამოხატული ნაგებობანი, რომელთა ერთი მხარე, მსგავსად ბიბლიური სავანისა და მცხეთის ქვემო ეკლესიისა, მთელ სიმაღლეზეა გახსნილი“ [12, 77].

ამრიგად, როგორც ვნახეთ, მცხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ებრაელებმა აქტიური როლი ითამაშეს ქართლის სამეფოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა-გავრცელების საქმეში. ეს ბუნებრივი იყო, რადგან ქართული ქრისტიანული კულტურა ვერ დაეყრდნობოდა მის წინამორბედ წარმართულ კულტურას. როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, „ამ კულტურის „თანამგზავრი“ შეიძლება ყოფილიყო ებრაული კულტურა არა მარტო იმის გამო, რომ ქრისტიანობას იუდაიზმში ჰქონდა ფესვები გადგმული. ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ებრაული კულტურა საქართველოში ჩატანილი იყო ამ ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებამდე ათი საუკუნით ადრე (VI ს.ძვ.წ.) და ქართველი ხალხისათვის ეს კულტურა ასე თუ ისე უკვე ცნობილი იყო“ [32, 21]. ებრაელებმა ჩამოიტანეს ქრისტიანული რელიგიის უდიდესი სიწმინდე — ქრისტეს კვართი საქართველოში, ისინი იყვნენ პირველი ქრისტიანები ქართლში, აბიათარი, მისი ქალიშვილი სიდონია, ექვსი ურია დედაკაცი სიბოლოური უნდა იყოს ისიც, რომ პირველი სასწაული, რომელიც ცხოველმყოფელმა სვეტმა მოახდინა, ბრმა ებრაელი ჭაბუკისთვის თვალის ახელა იყო. ფიქრობენ, რომ ებრაულ-ქართული მჭიდრო ურთიერთობის ამსახველია ძველი საეკლესიო ტერმინოლოგია: „ქართული ბიბლია თავდაპირველად ებრაულიდან ყოფილა თარგმნილი (პ. ინგოროყვა), ხოლო ქართველ ებრაელებს გარკვეული წელილი შეუტანიათ ქართული საისტორიო მწერლობის განვითარებაში (აბიათარი, სიდონია), „იერუსალიმული წარმოშობისა ქართული ეკლესია. ქართველ მეფეთა წმინდა მიწისკენ (პალესტინა, იერუსალიმი) კონფესიონალურ-სულიერი, კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური სწრაფვა საუკუნეთა მანძილზე ტრადიციად იქცა. ისტორიული მონაცემებით, V ს.-დან მოყოლებული იერუსალიმსა და მის შემოგარენში 30-მდე ქართული ეკლესია-მონასტერი და სამლოცველო იყო [94, 141-157]. როგორც პ. კარბელაშვილი მიუთითებს: „თუ რომელისამე უცხო ენის გალობამ იქონია გავლენა ქართულ გალობაზედ, ეგ გავლენა არის ებრაულის

გავლენისა“ [34, 25]. როგორც ილია II მიუთითებს, „...ებრაელებმა ქართველებს ჭეშმარიტი სარწმუნოება ჩამოგვიტანეს, ერთი ღმერთის რწმენა, მათ უდიდესი სიწმინდე ჩამოგვიტანეს, წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი; ეს ის სამოსია, რომელიც ელია წინასწარმეტყველმა თავის მოწაფეს, ელისეს დაუტოვა, როცა იგი ცეცხლოვანი ეტლით ამაღლდა ზეცად. დიახ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიწმინდე, რაც ებრაელებს გააჩნდათ, მათ საქართველოში ჩამოიტანეს“ [30, 7].

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

ებრაულ-ქართული ისტორიული ურთიერთობები, რომელიც საუკუნეებს მოიცავს, ჩვენი კვლევების შედეგად შემდეგი ძირითადი ასპექტებით წარმოგვიდგება:

1. ებრაელთა ისტორია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიასთან, არანაკლებ აქტიურ კონტაქტებს ავლენს საქართველოსთანაც. ძვ.წ. VI ს-ში, როდესაც ახალბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის რისხვამ შეიწირა იუდეის სამეფო, საქართველოს ტერიტორიაზე მოსულიყო ლტოლვილ ებრაელთა გარკვეული ნაკადი. ქართული ნარატიული წყაროების მტკიცება ებრაელთა მოსვლის შესახებ ძვ.წ. VI ს-ში, უსაფუძვლო არ უნდა იყოს, ამიტომ ებრაელთა ქართლში მოსვლა უტყუარ ამბად უნდა მივიჩნიოთ.
2. მიუხედავად იმისა, რომ ებრაულ ტომებს უკვე გავლილი ჰქონდათ სახელმწიფოებრივი ძლიერების პერიოდი, მათი საზოგადოებრივი წყობა კვლავ ძველი ტრადიციების ერთგული – პატრიარქალური რჩებოდა. ქართლში ამ დროისათვის მამასახლისის ინსტიტუტია დადასტურებული, რომელიც ფაქტიურად მრავალ საერთოს ავლენს ძველი ხალხების პატრიარქალური ყოფის ტრადიციებთან, მიწათმფლობელობის წესებსა და საზოგადოებრივი ურთიერთობების უნარ-ჩვევებთან. ამიტომ, მოსულ ებრაელებს არ უნდა გაძნელებოდათ ადგილობრივ ყოფასთან შეგუება, მით უმეტეს, თუ გარანტირებული ექნებოდათ რელიგიური ხელშეუხებლობა. ჩვენი აზრით, სწორედ ამან განაპირობა შემდგომ საუკუნეებში ებრაელთა რამდენიმე ნაკადის მოსვლა და ქართლის სამეფოში ებრაული თემების სიმრავლე. მართალია, არქეოლოგიური მასალა, რომელიც საქართველოში ებრაელთა კვალზე მიუთითებს, შედარებით გვიანდელია.
3. შეიძლება გამოვით ებრაელთა საქართველოში შესაძლო შემოსვლის

რამდენიმე ეტაპი: I – ძვ.წ. VIII ს, ასურეთის მეფე ტიგლათფილესერის ისრაელზე ლაშქრობის, II – ძვ.წ. VI ს. – ახალბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის იუდეაზე ლაშქრობის შედეგად, III – ძვ.წ. 169წ. (გ. მელიქიშილის მიხედვით) ან ძვ.წ. 136წ. (ე. მაბისთვალის მიხედვით), „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით, IV – ძვ.წ. 70-60-იანი წლები, V – ახ.წ. 70-იანი წლები – ფლავიუსების მიერ იუდეის განადგურების შედეგად, VI – 132-135წ.წ.-ში ბარ-კოხბას ამბოხის დროს. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვთვლით, რომ ლტოლვილთა ნაკადები ყველა ზემოთ ნახსენები შემოსვლის დროს ორგანიზებული, მრავალრიცხოვანი და ერთგვაროვანი იყო; გამოვყავით მხოლოდ ის დასაშვები მომენტები, რომელთა დროს შესაძლებელი იყო ებრაელთა საკუთარი სამშობლოდან გახიზვნა და თუნდაც სპონტანური და მცირერიცხოვანი ლტოლვილთა ჯგუფების ქართლში შემოხიზვნა.

4. საქართველოში შემოსულმა ებრაელებამ თავისი მოკრძალებული ადგილი დაიკავა იმ ჭრელ ეთნიკურ გარემოში, რომელიც ქართლში ყოველთვის არსებობდა. ბუნებრივია, აუცილებლობა მოითხოვდა, როგორც ებრაელთათვის, ისე ქართველებისათვის ურთიერთაღმნიშვნელი ტერმინების დამკვიდრებას. დადასტურებულია, რომ ქართველთა წინაპარი ტომების სახელწოდებანი მრავალგზის არის მოხსენებული ბიბლიაში – ებრაელი ქრონისტებისათვის ქართველურ ტომთა აღმნიშვნელი სახელწოდებანი ცნობილია. ასევე ნაცნობია ებრაელთა ეთნიკური სახელები ქართველური ტომებისათვის. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, სიტყვა ურია, რომლითაც მხოლოდ ქართველები აღნიშნავდნენ ებრაელებს, და სიტყვა გურქი, რომლითაც ებრაელები აღნიშნავდნენ მხოლოდ ქართველებს (კ. წერეთლის აზრით, არაბული გურჯ სწორედ აქედან მოდის), კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ამ ორი უძველესი ხალხის ერთმანეთისადმი ცხოველი ინტერესისა.
5. საღისერტაციო ნაშრომში დადგენილია, რომ ებრაული სამყარო, და მათ შორის მათი აღმნიშვნელი ტერმინოლოგიაც, საქართველოდან გაიცნო ჩრდილოკავკასიელმა ხალხმა.
6. ებრაულ-ქართული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბდა აზრი ამ ორი ხალხის ეთნიკური ნათესაობის შესახებ, რაც საფუძველს მოკლებული არ არის. ებრაული დიასპორისა და აბორიგენი მოსახლეობის შერევის შედეგად ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ანთროპოლოგიური ტიპი, რომელმაც შეინარჩუნა რა ებრაული

ტი პაჟისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, შეითვისა ქართული ანთროპოლოგიური ტიპის პარამეტრები. ჩამოყალიბდა თავისებური ლიმოტროპული ეთნიკური ერთეული. ამ ორი ხალხის ურთიერთ-გავლენა ლექსიკურ მარაგზეც აისახა.

7. ქართლში დამკვიდრებული ებრაელობა, ბუნებრივია, რომელიმე სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდა. როგორც ქართული ნარატიული წყაროები ადასტურებენ, ებრაული მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მოახერხა შედარებით მაღალ სოციალურ საფეხურზე ასვლა და საზოგადოებრივი მდგომარეობით ადგილობრივი მოსახლეობის მოქალაქეთა ფენას გაუთანაბრდა. ქართლის სოციალურ იერარქიაში, (სტრატონის სქემის მიხედვით) ებრაელები შეიძლება მიეკუთვნოთ მესამე (მცირერიცხოვანი ნაწილი), ე.წ. მიწათმოქმედებისა და მხედრების და მეოთხე (მრავალრიცხოვანი ნაწილი), ე.წ. ლაოების, საფეხურებს.
8. ქართული ნარატიული წყაროები ერთხმად მიუთითებენ ებრაელთა წვლილზე ქართლის სამეფოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა-გავრცელების საქმეში. იერუსალიმური წარმოშობისაა ქართული ეკლესია, ქართველ მეფეთა და საზოგადო მოღვაწეთა წმინდა მიწისაკენ კონფესიონალურ-სულიერი, კულტურული, პოლიტიკური სწრაფვა საუკუნეთა მანძილზე ტრადიციად იქცა. ქართული სამეფო დინასტია თავს ებრაელთა ლეგენდარული მეფის დავითის შთამომავლად თვლიდა, რის დასტურადაც დამკვიდრდა ქართველ მეფეთა ტიტულატურაში გამოთქმა „დავითიან-სოლომონიანი“. ქართული ეკლესია სწორედ ებრაელებს უმაღლის ორი უდიდესი ქრისტიანული სიწმინდის წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენისა და ქრისტეს კვართის საქართველოში ჩამოტანას.

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., „მეცნიერება“, 1973
2. აჯიაშვილი ჯ., ისტორიის დამღლელ მარათონებზე, საქართველო-ისრაელი, 2600
3. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), ლორთქიფანიძე ოთ., თბ., „მეცნიერება“, 1968
4. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვასალია ჯ., თბ., „მეცნიერება“, 1983
5. აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის, ჯანაშია ს., შრომები II, თბ., მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა, 1952
6. აზონი, ქავთარია გრ., თბ., თსუ გამ-ბა, 2000
7. ბატონიშვილი თეიმურაზ, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა, ს.პბ., 1848
8. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII თბ., „მეცნიერება“, 1975
9. ბიბილური თ., ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელება ქართლის (იბერიის) სამეფოში და დიდი მცხეთის ებრაული თემი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ებრაელთა ისტორია, საქართველო-პალესტინისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობანი“, თეზისები, თბ., 1996; [6-7]
10. ბიბლია, თბ., საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989
11. ბინიაშვილი ლ., სამოსულის აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, ავტორეფერატი, მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1997
12. ბოლქვაძე გ., პირველი ქრისტიანული ტაძარი მცხეთაში – ქვემო ეკლესია „წმიდა წმიდათა“, „ძიებანი“, საქ. მეცნ. აკად. არქ. კვლევის ცენტრის ჟურნალი, თბ., 1998, №2; [72-79]
13. ბოლქვაძე გ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობის „ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი“-ს განმარტებისათვის, ქრისტიანული არქეოლოგიის V კონფერენცია, თბ., 2001; [42-45]
14. გაბაშვილი ტ., მიმოსვლა, გამოსცა ე. მეტრეველმა, თბ., 1956
15. გაგოშიძე გ., ქართული წარწერები წმინდა მიწაზე, ქრისტიანული

- არქეოლოგიის VI სამეცნიერო კონფერენცია (მოხსენებათა შინა-
არსები), თბ., 2002; [115-116]
16. გაგოშიძე ი., ბატილუმები არადეთიდან, „ძეგლის მეგობარი“, №33, თბ., 1973; [77-82]
 17. გაგულაშვილი ი., ეთნონიმ „სომეხისა“ და „ურიას“ განმარტებისათვის, „იმერეთის მოამბე“, 1995, №45
 18. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., საქ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1952
 19. გეორგიკა, ტ. I, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1961
 20. ვიულდენშტედტი იოჰან ანტონ, მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა, ტ. I, 1962
 21. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა, თბ., „მეცნიერება“, 1966
 22. ებრაელი ხალხის ისტორიიდან, ბათოშვილი ა., თბ., „საქინფორმკინო“, 1991
 23. ელინისტური ხანის ქართლის სამეფოს სოციალური ისტორიიდან, ვაშაიძე ვ., თბ., „მეცნიერება“, 1991
 24. ზაქარაია პ., რას გვიყვება ნაქალაქარ ურბნისის მიწა, „ძეგლის მეგობარი“, №33, თბ., 1973; [83-88]
 25. თაყაიშვილი ე., სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 27, 1949
 26. თუბალ-თაბალი, ტიბარენები, იბერები, ჯანაშია ს., შრომები, ტ. III, თბ., მეცნ. აკად. გამ-ბა, 1959; [1-74]
 27. იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, ხახუტაიშვილი დ., თბ., „მეცნიერება“, 1966
 28. იბერიის საზოგადოების სტრატონისეული სოციალური სტრუქტურა არქეოლოგიური მონაცემების შუქზე, ავალიშვილი გ., ქორიძე თ., თბ., თსუ გამ-ბა, 1993
 29. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია (ქართული პერიოდი), მამისთვალიშვილი ე., გორის სახ. უნივერსიტეტის გამ-ბა
 30. ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ებრაელებმა ქართველებს ჭეშმარიტი სარწმუნოება ჩამოგვიტანეს, „მენორა“, №8 (89), 2000
 31. ინგოროყვა პ., ძველი ქართული მატთანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, საქ. სახ. მუზ. მოამბე,

XI, B, 1941; [259-320]

32. ინგოროცვა პ., გიორგი მერჩულე, ნაწ. I, თბ., 1954
33. ისტორია იწყება შუმერიდან, კრამერი ს., თბ., „ნაკადული“, 1988
34. კარბელაშვილი პ., ქართული საერო და სასულიერო კილოები, ტფ., 1898
35. კიკნაძე ზ., საქართველოს ებრაელთა და საქართველო-პალესტინის ურთ. თეზისები, საერთაშორისო სიმპოზიუმი, იერუსალიმი, 1990
36. კიკნაძე ზ., ორი სამწყსო ადრექრისტიანულ მცხეთაში, ქრისტიანული არქეოლოგიის V კონფერენცია, თბ., 2001; [45-47]
37. ლორთქიფანიძე მ., ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., „მეცნიერება“, 1966, [144-149]
38. ლორთქიფანიძე ოთ., სამეფო მიწისმფლობელობის შესახებ ანტიკური ხანის იბერიაში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXI, №6 თბ., 1958; [759-766]
39. ლორთქიფანიძე ოთ., მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის, ლეონტი მროველის ცნობები მცხეთის მამასახლისის შესახებ, ს.მ.ა.მ.ტ., XXIX, 16, 6, 1962
40. მამისთვლიშვილი მ., ტერმინი „ებრაელი, ისრაელი, ურია“, საქართველოს ებრაელთა მუზეუმის შრომები, ტ. I, 1940; [145-156]
41. მელიქიშვილი გ., აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიკის შესწავლისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, საზოგ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1961, №3; [87-119]
42. მელიქიშვილი გ., ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (ივერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი, საქ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. მოამბე, 1962 [221-237]
43. მელიქიშვილი გ., ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წყობილების საკითხი, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის „მაცნე“, №1/28, თბ., 1966; [52-90]
44. მელიქიშვილი გ., ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელინისტურ ხანაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1970; [445-467]
45. მელიქიშვილი გ., ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1970 [312-357]

46. მელიქიშვილი გ., ადრეკლასობრივ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ელინისტური ხანის ქართლის სამეფოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1, საბჭოთა საქართველო“, 1970 [483-499]
47. მესხია შ., ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., „მეცნიერება“, 1966; [119-130]
48. მგალობლიშვილი თ., ქართულ სიძველეთა მდგომარეობა და მათი შესწავლის პერსპექტივები წმ. მიწაზე, ქრისტიანული არქეოლოგიის V კონფერენცია, თბ., 2001 (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), [20-23]
49. მგალობლიშვილი თ., ექსპედიცია წმ. მიწაზე, ქრისტიანული არქეოლოგიის VI სამეცნიერო კონფერენცია (მოხსენებათა შინაარსები); თბ., 2002; [104-106]
50. ევლია ჩელები, მოგზაურობების წიგნი, წ. I, თბ., „მეცნიერება“, 1971
51. მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, იოსებ ფლავიოსი, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა დაურთო ნ. მელიქიშვილმა, თბ., „მეცნიერება“, 1987
52. ნაქალაქარი ურბნისი, ჭილაშვილი ლ., თბ., საქ. მეცნ. აკად. გამბა, 1964
53. ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, ზაქარაია პ., თბ., „მეცნიერება“, 1965
54. ნაწერები, დავიდი ი., I, ტელ-ავივი, 1976
55. ნაწერები, დავიდი ი., II, ტელ-ავივი, 1979
56. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., „მერანი“, 1991
57. პაპიაშვილი ი., ქართველ ებრაელთა წარმომავლობის და ქართული ასოთმთავრული ანბანის შექმნის საკითხისათვის, „განთიადი“, 1991, №9; [183-191]
58. პატარიძე ლ., მცხეთის ებრაული დიასპორა I-IV ს-ში, ქრისტიანული არქეოლოგიის V კონფერენცია, თბ., 2001; [40-41]
59. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები., თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1975
60. რამიშვილი რ., ადრეულქრისტიანობასთან დაკავშირებული მასალები მაგრანეთის სამაროვნიდან, ქრისტიანული არქეოლოგიის V

- კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2001; [98-99]
61. რა არის ქართლის ცხოვრება, ლორთქიფანიძე მ., თბ., თსუ გამ-ბა, 1989
 62. საგანძური, გოგებაშვილი ი., წ. I, თბ., „განათლება“, 1986
 63. სამი ისტორიული ზრონიკა, თაყაიშვილი ე., ტფ., 1890
 64. სარჯველაძე ალ., კავკასიის იბერიის სახელწოდების შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მაცნე“, ისტორიის სერია, №3, 1989 [118-123]
 65. საქართველოს არქეოლოგია, ჯაფარიძე ოთ., თბ., თსუ გამ-ბა, 1991
 66. საქართველოს ისტორია, ბროსსე მ., ნაწ. I, ტფ., 1895
 67. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, კიკნაძე რ., თბ., 1982
 68. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, მუსხელიშვილი დ., ტ I, თბ., „მეცნიერება“, 1977
 69. საქართველოს მეფეები, რედ. მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, „ნეკერი“, 2000
 70. საქართველოს საეკლესიო ისტორია, ჯანაშვილი მ., 1886
 71. საქართველოს უძველესი კულტურა ახალი აღმოჩენების შუქზე, აფაქიძე ა., თბ., 1956
 72. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, მელიქიშვილი გ., თბ., საქ. სსრ. მეც. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტი, 1955
 73. საძაგლიშვილი კ., ჰურიანი ძველ იბერიაში, საყოველთაო მოლოდინი მესიისა, განთესვილ ებრაელთა გავლენა ჩვენს წარმართ წინაპართა სარწმუნოებაზე და მათ მიერ უფლის კვართის ჩამოტანა მცხეთაში, „კალმასობა“, 1999, №8(38)
 74. სემიტი ხალხის აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში, წერეთელი კ., „ნეკერი“, 2001
 75. სტრაბონის გეოგრაფია, ყაუხჩიშვილი თ., თბ., საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1957
 76. სულამანიძე ლ., ეთნონიმი ჰურია/ურია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: საქართველოს ებრაელთა ისტორია, საქართველო-პალესტინის და ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, თეზისები, თბ., 1996
 77. სულამანიძე ლ., სიტყვა ურია და მისი ეტიმოლოგია, „განთიადი“, 1996, №3-4; [117-119]

78. სურგულაძე თ., ბიბლიური თ., ძნელაძე მ., ადრეული ქრისტიანობის სიმბოლო მცხეთიდან, სმამ, ტ. 101, №3, 1981
79. ურბნისის გლიპტიკური ძეგლები,ჯავახიშვილი ქ.,თბ.,„მეცნიერება“, 1972
80. ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, საგინაშვილი მ., თბ., „მეცნიერება“, 1970
81. უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გიორგაძე გრ., თბ., სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის გამ-ბა, 2002
82. ფარნავაზი, ქავთარია გ., თბ., თსუ გამ-ბა, 1999
83. ქართველ წმინდანთა ცხოვრება, თბ., 2001
84. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, აფაქიძე ა., I, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1963
85. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში ჭილაშვილი ლ., წ. I, თბ., „მეცნიერება“, 1968
86. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., „სახელგამი“, 1955
87. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1973
88. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., თსუ გამ-ბა, 1953
89. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), სანაძე მ., თბ., „საქართველოს მაცნე“, 2001
90. ქართლის სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით (ძვ. წ. IVს. ახ. წ. VIIს. I ნახ.), „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, როგორც საისტორიო წყარო, გოგოლაძე მ. დისერტაცია ისტ. მეცნ. კანდ-ის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999
91. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2, თბ., ქსე გამ-ბა, 1977
92. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბ., ქსე გამ-ბა, 1986
93. ქართველ ებრაელთა ისტორია, მამისთვალისშვილი ე., თბ., „მეცნიერება“, 1995
94. ქართველები და ბიბლიური სამყარო, მამისთვალისშვილი ე., გამ-ბა „ქართლი“, 1998

95. ქართველთ ებრაელნი საქართველოში, ჭიჭინაძე ზ., თბ., 1904
96. ქართული ლიტერატურის ისტორია, კეკელიძე კ., I, თბ., 1960
97. ქურდიანი მ., „ჭურციანი ქართველნი“ და მათი საქართველოში დამკვიდრების დათარიღებისათვის“, ქრისტიანული არქეოლოგიის VI სამეცნიერო კონფერენცია (მოხსენებათა შინაარსები), თბ., 2002; [182-201]
98. ჯავახიშვილი ალ., თხზულებანი, I, თბ., 1990
99. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I., თბ., თსუ გამ-ბა, 1979.
100. ჯავახიშვილი ივ., თხზულებები თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., თსუ გამ-ბა, 1982
101. ჯანაშია ს., შრომები, ტ. II, თბ. საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1952
102. ჯანაშია ს., შრომები, ტ. III, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1959
103. ჯანაშია ს., „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ წყაროებისათვის, ისტორიულწყაროთმცოდნეობითი ნარკვევი, თბ., 1986
104. ჯაფარიძე ოთ., ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა-ზღვისპირეთის უძველესი კონტაქტების ისტორიიდან, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „თბილისი - იერუსალიმი 2“, თბ., 1998 [51-52]
105. ჯინჯიხაშვილი ზ., ტერმინები „იბერი-ებრაელი“, „ურია“ და მათი ურთიერთმიმართება, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თბილისი-იერუსალიმი-2“, თბ., 1998; [52-53]
106. ჩორნი ი., მოგზაურობა საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და არარატის ქვეყნებში (არმენია), „განთიადი“, 1996, №3-4; [16-51]
107. ჩუბინაშვილი ტ., ენოლითური და ადრეული ბრინჯაოს კულტურა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, ტ. I, 1970 [129-200]
108. ჭავჭავაძე ი., ებრაელთა საკითხზე, „განთიადი“, 1996, №3-4
109. წერეთელი გ., მცხეთის ახლად აღმოჩენილი ებრაული წარწერა, ენიშკის მოამბე, ტ. V-VI, თბ., 1940; [419-425]
110. წერეთელი კ., ქართული ეთნიკური ტერმინი მესხი, თბ., 1954
111. წერეთელი კ., ებრაელის აღმნიშვნელი ტერმინები ქართულში, თსუ შრომები, სერია „აღმოსავლეთმცოდნეობა“, ტ. 206, თბ., 1979 [9-26]
112. წერეთელი კ., მცხეთის არამეული ამულეტი, მცხეთა, XI, თბ.,

- „მეცნიერება“, 1996; [95-132]
113. წერეთელი კ., ქართულ-ებრაული ურთიერთობისათვის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია; საქართველოს ებრაელთა ისტორია, საქართველო-პალესტინისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, თეზისები, თბ., 1996; [37-38]
 114. წერეთელი კ., საქართველოს ებრაული წარწერები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თბილისი-იერუსალიმი 2“, თბ., 1998
 115. წერეთელი კ., ბარ ხაზანის ეპიტაფია მცხეთიდან, ენათმეცნიერების საკითხები, 1999, 4; [24-30]
 116. წერეთელი კ., „ქართველისა“ და „საქართველოს“ აღმნიშვნელი ტერმინები არამეულსა და ებრაულში, სემიტილოგიური და ქართველოლოგიური შტუდიები, თბ., „ლოგოსი“, 2001; [235-241]
 117. წერეთელი კ., არამეული წარწერა ურბნისიდან, ქართველოლოგიური და სემიტილოგიური შტუდიები, „ლოგოსი“, 2001
 118. წერეთელი კ., ქართულ-ებრაული ურთიერთობისათვის, სემიტილოგიური და ქართველოლოგიური შტუდიები, თბ., „ლოგოსი“, 2001 [260-273]
 119. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, გამყრელიძე თ., თბ., თსუ გამ-ბა, 1989
 120. ჭილაძე თ., 26 საუკუნის წინათ, 26 საუკუნის შემდეგ, „ლიტერატურული საქართველო“, 1998, 4-11 სექტემბერი
 121. ხაზარაძე ნ., სტრაბონის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მაცნე, ისტორიის სერია, №1, 1984; [104-115]
 122. ხაზარაძე ნ., საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984
 123. ზორნაძე მ., სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., „მეცნიერება“, 1984
 124. ძველი აღმოსავლეთის ისტორია, თბ., „მეცნიერება“, 1988
 125. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1963
 126. ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. 1, თბ., თსუ გამ-ბა, 1975
 127. Антисемитизм в древнем мире, Лурье С., П., изд-во «Былое», 1922
 128. Антропологическая методика, Абдушелишвили М.Г., Тб.,

- Мецниереба”, 1992
129. Антропология древней и современной Грузии, Абдушелишвили М.Г., Тб., “Мецниереба”, 1964
 130. Археологический словарь, Брей У., Трамп Д., М., “Прогресс”, 1990
 131. Афинская полития, Аристотель, М.-Л., Гос. соц. экон. изд., 1980
 132. Болтунова А.И. Описание Иберии в “Географии” Страбона, ВДИ, №4, 1947; [142-160]
 133. Болтунова А.И., Возникновение классового общества и государственной власти в Иберии, ВДИ., №2, 1956; [28-43]
 134. Вейсенберг С.А. Кавказские евреи в антропологическом отношении, Русский Антропологический Журнал, 1912, №2, 3.
 135. Всемирная история, Минск, “Харвест”, 2000
 136. Верлинская коллекция, №3, 106, 109
 137. Гай Светоний Транквилл, Жизнь двенадцати Цезарей, М., “Художеств. лит.”., 1990
 138. Грамматика осетинского языка, Орджоникидзе, 1963
 139. Греческо-Русский словарь, Вейсман А.Д., С.Пб., 1899
 140. Древний Израиль, Никольский Н., т-ва “Мир”, М., 1922
 141. Еврейская энциклопедия, т. III, С.Пб., изд-во Брокгауз-Ефрон
 142. Еврейская энциклопедия, т. VIII, С.Пб., изд-во Брокгауз-Ефрон
 143. Еврейская энциклопедия, т. IX, С.Пб., изд-во Брокгауз-Ефрон
 144. Еврейская энциклопедия, т. XI, С.Пб., изд-во Брокгауз-Ефрон
 145. Еремян С.Т., Развитие городов и городской жизни в древней армении, ВДН, 1953, №3; [11-31]
 146. Ивановский А.А., Об антропологической составе населения России. Труды антропологического отдела, т. XXII
 147. Избранные работы, Марр Н., т.5, М.-Л, Соцэкгиз, 1935
 148. Иессен А.А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, Известия ГАИМК, вып. 120, М., - Л., 1935
 149. Историко-лингвистические работы, Капанцяян Гр., Ер., Изд-во Акад наук Арм. ССР, 1975
 150. Историко-этимологический словарь осетинского языка, Абаев В.И., т. IV, Л., “Наука”, 1989
 151. История древнего Востока, Авдиев В.И, Гос.изд. “Полит. лит.”, 1953

152. История древнего Востока, Турасв Б.А. I, Л., Соц. ЭКГИЗ, 1995
153. История древнего мира, ч. I-Древний Восток, Минск, "Харвест", 1998
154. История древнего Рима, Машкин Н.А., М., Гослитиздат, 1948
155. История евреев на Кавказе, Давид И., I, Тель-Авив, 1989
156. История Израильского народа, Ренан Э., т. I. С.Пб., Изд-во Брокгауз-Ефрон, 1908
157. История Рима, Моммзен Т., Т. V, М., Из-во иностр. лит., 1949
158. К истории древней Грузии, Меликишвили Г. А., Тб., Изд-во Акад. Наук ГССР, 1959
159. Кокителашвили Б., Заметка и Кавказских евреев, "Еврейская жизнь", Санкт-Петербург, 1906 [156-160]
160. Краткая история евреев, Дубнов С.М., М., "Сварог", 1996
161. Крихели А., Стела с еврейской надписью, найденная в Мцхета, საქ-ებრ. ისტ. ეთ. მ. შრ. თ. II, 1941; [111-133]
162. Курдов К.М. Таты Дагестана, Русский Антропологический Журнал, 1907, №3-43.
163. Латино-Русский словарь, Дворецкий И.Х., М., "Русский язык", 2000
164. Леман-Хаупт К.Ф. Вступительная лекция по истории и культуре халдов, თსუ შრომები, „სერია „საზოგადოებათმეცნიერებანი“, 1938, VI; [245-267].
165. Меликсет-Бек Л.М., Аგნეო-იებრაიკა, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. III, 1945; [217-264]
166. На заре этнокультурной истории Кавказа, Джапаридзе О.М., Тб., изд-во ТГУ, 1989
167. Народы Кавказа, под. ред М.О. Коснева, Л. И. Лаврова, Г.А. Персесова, М., Акад. наук. СССР, 1960
168. Новые заметки на древней истории Кавказа и его обитателей, Шопен И., С.Пб., 1866
169. Очерки истории еврейского народа, I, "Библиотека -Алия"; 1990
170. По тропам еврейской истории, Самюэльс Р., "Библиотека - Алия", 1993
171. Православная Энциклопедия, т. I, М., 2000
172. Раннее Христианство, страницы истории, Свенцицкая И.С., М., Изд-во "Полит. лит.", 1989

173. Религия в истории народов мира, Токарев С.А., М., Изд-во "Полит. лит.", 1964
174. Религия и быт Грузинских евреев, Плиссцкий М., М.-Л., Отиз-Моск., рабочий, 1931
175. Сборник еврейских надписей содержащих надгробные и другие надписи из Крыма и из иных мест, Хвольсон Д., С. Пб., 1984
176. Флавий Иосиф, О войне иудейской ч. II, С.Пб, 1818
177. Флавий Иосиф, Древности иудейские, ч., I, Ростов на Дону «Феникс», 2000
178. Флавий Иосиф, Древности иудейские, ч., II, Ростов на Дону «Феникс», 2000
179. Флавий Иосиф, О древности иудейской. Против Апиона, С.Пб., 1895
180. Хрестоматия по истории древнего Востока, под. ред. акад. В.В. Струве, М., 1950
181. Хрестоматия по истории др. Востока ч. I, под. ред. акад. М.А. Коростелцева, д.и.н. И.С. Кацнельсона, проф. В.И. Кузышина, М., "Высшая Школа", 1980
182. Церетели К., Арамейский амулет из Мцхета, ВДИ. 1999. №3; [3-22]
183. Эллинизм и его историческая роль, Ранович А.Б., М.-Л., Изд-во Акад. наук СССР, 1950
184. Юдт И.М., Евреи как физическая раса, «Еврейская жизнь», 1904, №1-3.
185. Maisler B., Stekelis M., Avi-Yonah M. The Excavations at Bet-Yerah 1944-1946, "Israel Exploration Journal", v. II, №2, 1952
186. Romische Geschichte, Berlin, 1979.
187. Gagoshidze I., The Jewis diaspora and arly xhristianiti in Georgia, Iberia-Caucazica, vol 1, Ancient christianity in the Caucasus editete by T. Mgaloblishvili, 1998
188. Gesenius W., Hebraisches und Chaldisches Handwörterbuch, Leipzig, Ver. von F. C. W. Vogel 1878

შინაარსი

შესავალი	3
წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა	7
თავი I	
აალესტინა უკველესი დროიდან კვ.წ.VII-მდე	25
თავი II	
საქართველოში ებრაელთა მოსვლის საკითხისათვის	37
თავი III	
ებრაელის აღმწიფნელი ტერიტორიისათვის ქართულში და ქართველის აღმწიფნელი ტერიტორიისათვის ებრაულში	60
თავი IV	
ქართულ-ებრაული ურთიერთობის ისტორიისათვის	72
თავი V	
ებრაელთა სოციალური მდგომარეობისათვის ანტიკურ საქართველოში	86
თავი VI	
ქართლის გაქრისტიანება და ებრაელები	100
ბოლოთება	114
გამოყენებული ლიტერატურა	117